ლიგა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 მაისი ორშაბათი 2011

№ 100 (13397) ფასი 80 თეთრი

ინტერნეტ-ტოტალიზატორი

www.liderbeti.com

LIDERBETI

ლიდერი ინტერნეტ სივრცეში

დორტმუნდი ზღაპარში

10

გერმანიას ახალი ჩემპიონი ჰყავს

ესპანური შოკი

უჩვეულო ამბავი: რეალი და ბარსელონა წყვილად აგებენ

5

9

არსენალმა პრემიერლიგას ინტრიგა დაუტოვა

ინგლისი საჩემპიონო მატჩის მოლოდინში

დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

U15, U14

ᲝᲥᲠᲝ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝ ᲘᲣᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘᲡᲒᲐᲜ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲨᲘ დასრულებულ **ლენარტ იუჰანსონის** თასის გათამაშებაში საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებმა თავის ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონობა იზეიმა, ხოლო 14-წლამდელები მესამე ადგილზე გავიდნენ.

"ლელოს" შაბათის ნომერში ჩვენი გუნდების მხოლოდ სასტარტო მატჩების შედეგები გაგაცანით, ამიტომ მოკლედ გიამბობთ, რა გზა განვლეს ქართველებმა მას შემდეგ.

15-წლამდელებმა, რომელთაც **ნოდარ აკობია** წვრთნის, ტურნირი ავსტრიულ "შტურმთან" მინიმალური ანგარიშით დაიწყეს, მაგრამ ამის შემდეგ მასინი ველარავინ შეაჩერა. ჯგუფური ეტაპის მეორე შეხვედრაში ქართველებმა ფინური "ჰონკა" 4:0 გაანადგურეს, შემდეგ კი **ნიკა ლაშხიას** ჰეთ-თრიქით ამსტერდამის "აიაქსს" 3:1 სძლიეს. ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა ლაშხიასა და **გიორგი ჯობავას** გოლებით შვედურ აიკ-ს 2:0 აჯობა, ფინალში კი ტურინის "იუვენტუსს" დაუპირისპირდა.

ფინალი ძალიან დაძაბული, ბოლო წუთებამდე უგოლო იყო, მაგრამ მატჩის მიწურულს მეტოქის საჯარიმოში **გურამ გოშთელიანი** შეიჭრა და იტალიელთა კარი შორეულ კუთხეში დალაშქრა.

ამ ასაკში ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად **გიორგი ჯობავა** დაასახელეს, ნიკა ლაშხია კი 4 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ლენარტ იუჰანსონმა გამარჯვებულ-პრიზიორები თავად დააჯილდოვა.

14-წლამდელებში **გოჩა ტყებუჩავას** გუნდმა ტურნირი ფინური ჰიკ-ის 5:1 განადგურებით დაიწყო, იმავე დღეს კი დანიური "ლუნგბიუ" 1:0 დაამარცხა. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ჩვენები "მილანთან" 1:7 განადგურდნენ, თუმცა, ამის მიუხედავად, ნახევარფინალში გავიდნენ, მაგრამ იქაც წააგეს – 0:1 ბერძნულ პაოკ-თან. სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის მატჩში ქართველებმა ამსტერდამის "აიაქსს" 6 უპასუხო ბურთი გაუტანეს.

14-წლამდელთა ტურნირი დამაჯერებლად მოიგო "მილანმა", საქართველოს ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი კი 6 გოლით **ირაკლი ბულრიძე** გახდა.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები ლენარტ იუჰანსონის თასით

U17

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲐ, ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

ნიკა ახვლედიანი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ყახაზეთში, "პრეზიდენტის თასზე" მეხუთე ადგილი დაიკავა. ბოლო მატჩი **ვასილ მაისურაძის** გუნდმა ირანის ნაკრებთან ჩაატარა და 3:2 გაიმარჯვა. ჩვენი გუნდიდან გოლები **ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა, ნიკა ახვლედიანმა** და **ნიკა ჭანტურიამ** გაიტანეს.

ტურნირი აზერბაიჯანის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში უკრაინას პენალტების სერიით სძლია. მესამე ადგილისთვის მატჩში თურქეთმა მასპინძელი ყაზახეთი დაამარცხა.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად კი საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ნიკა ახვლედიანი** დაასახელეს. შეგახსენებთ, ასეთივე წოდება მან მარტში გამართულ "კუშადასის თასზეც" დაიმსახურა.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ᲯᲝᲠᲯᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲡ

30.04. თბილისი. შატილი.
400 მაყურებელი

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ	3
ᲡᲘᲝᲜᲘ	0

1:0 ბეჭვაია (7. გურამ გურეშიძის პასით), 2:0 ჩიმაკაძე (57), 3:0 გიორგი გურეშიძე (75. ზაქრაძის პასით).

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ	ᲡᲘᲝᲜᲘ
4-2-3-1	4-2-3-1
ძაძამია	ბოგლიაშვილი
ხურცილავა	კოგაური
გოგიაშვილი	სვანიძე
კასრაძე	ორგელაძე
ლანიაშვილი	ლომაია
ვასაძე	ადამაშვილი
გურ. გურეშიძე	შალამბერიძე
კორიფაძე	დიღავა
გ. ჯანელიძე	გოგობერიშვილი
ბეჭვაია	ნოზაძე
ჩიმაკაძე	რეხვიაშვილი
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
ზ. ბერიძე	ხ. ძასრაშვილი

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ

14. კასრაძე - **მაისაშვილი**
59. კორიფაძე - **ზაქრაძე**
73. გურ. გურეშიძე - **გიორ. გურეშიძე**

ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲯᲝᲔᲑᲘ: მიქაბერიძე, როსტიაშვილი, ჭანკვეტაძე, გაბრიჭიძე.

ᲡᲘᲝᲜᲘ

26. ადამაშვილი – **თარგამაძე**
41. ორბელაძე - **ნ. კვასხვაძე**
60. რეხვიაშვილი – **ᲘᲡᲘᲐᲜᲘ**

ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲯᲝᲔᲑᲘ: ზუხბაია, მელქაძე, ქორიძე, ქუცურუა.

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ბეჭვაია (7), მაისაშვილი (55), გოგობერიშვილი (71).
ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲘ: ა. კრიჭაშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

გიორგი გურეშიძისა (№18) და მინდია ბობღლიაშვილის ამ დაპირისპირებას ბოლნისელთა კარში მესამე გოლი მოჰყვა

"ᲨᲐᲢᲘᲚᲖᲔ" საკმაოდ სანახაობრივი მატჩი გაიმართა, იყო ბევრი საგოლე მომენტი, ბურთი მოედნის ცენტრში არ ჩერდებოდა. ეს "ვიტ ჯორჯიას" დამსახურება იყო. "გაგრასთან" თასის პირველი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ გუნდის მწვრთნელად დანიშნულმა **ზურაბ ბერიძემ** ვიტელთა თამაში შეცვალა, ისინი უფრო აგრესიულ და შემტევ ფეხბურთს აჩვენებენ.

ხვიჩა ქასრაშვილის დანიშვნის შემდეგ "სიონი" კარგად ათამაშდა და ქულებიც დააგროვა, მაგრამ ამჯერად გუნდმა თამაში ჩაადგო. მართალია, "სიონი" დაცვიდან თამაშობდა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. "ვიტ ჯორჯიამ" აქტიურობით და აგრესიულობით მეტოქეს შეცდომები დააშვებინა.

მასპინძლებმა თავიდანვე აქტიურად შეუტიეს და მე-7 წუთზე ანგარიშიც გახსნეს: **გურამ გურეშიძის** ჩაწოდებული ბურთი **გიგა ბეჭვაიამ** კარში ზუსტი თავურით გაგზავნა – 1:0.

ვიტელებმა კიდევ რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს: გურეშიძემ მეკარესთან პირისპირ **გიგა ბეჭვაია** დატოვა, მაგრამ მან ბურთი ვერ გააჩერა. "სიონის" დაცვის შეცდომების გამოსწორებას **მინდია ბობღლიაშვილი** თუ ახერხებდა. ბეჭვაიამ მასთან პირისპირ **ბესიკ ჩიმაკაძე** რომ დატოვა, სტუმრები ისევ **ბობღლიაშვილმა** გადაარჩინა. რამდენიმე წუთში იგივე განმეორდა, როდესაც მეკარესთან პირისპირ ბეჭვაია დარჩა.

"სიონმა" კი მასპინძელთა მეკარე მხოლოდ რამდენჯერმე შეანუხა: **ალექსანდრე გოგობერიშვილის** შესრულებული ჯარიმა **გიორგი ძაძამიამ** კუთხურზე მოიგერია, ორჯერ კი ცენტრალურ მცველ **გიორგი თარგამაძეს** მიეცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ ჯერ კარის სიახლოვეს ბურთს ვერ მიუსწრო, ტაიმის მიწურულს კი ახლოდან დარტყმული თავური კარს ააცილა.

ქასრაშვილი მიხვდა, რომ ფრთხილი თამაშით "სიონი" ქულასაც ვერ აიღებდა და შეტევის გაძლიერება მცველის ნაცვლად მოედანზე **ნიკა კვასხვაძის** შეყვანით სცადა. თუმცა "სიონს" ამანაც ვერ უშველა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კვლავ მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა ჩიმაკაძე, მაგრამ დარტყმა დაახანა და ბობღლიაშვილმა კუთხე ჩაუკეტა. მაგრამ "ვიტ ჯორჯიას" ფორვარდმა მალე მაინც ივარგა: ბეჭვაიას დარტყმის შემდეგ ბობღლიაშვილმა ბურთი ვერ მოიხელთა და დამატებაზე ყველას ჩიმაკაძემ დაასწრო – 2:0.

"სიონის" კარის ბადე მესამედ **გიორგი გურეშიძემ** შეარხია. ეს ახალგაზრდა ვიტელის უმაღლეს ლიგაში გატანილი პირველი გოლი იყო, რომელიც ბურთთან პირველივე შეხებით ეფექტური დარტყმით გაიტანა – მოედანზე ძმის, **გურამ გურეშიძის** ნაცვლად შესული კარის წინ მცველებს დაუსხლტა, **ბექა ზაქრაძის** კარგი პასით ისარგებლა და ბობღლიაშვილს ბურთი თავზე გადაუგდო – 3:0.

ბოლნისელთა აქტიურობა კვლავ უშედეგო გამოდგა: გოგობერიშვილს ძაძამიამ აუღო, ახლო მანძილიდან **დავით სვანიძის** თავური დარტყმა კი კარს ასცდა.

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ხვიჩა ქასრაშვილი: *"ცხელ გულზე ნაგების მიზეზებზე ლაპარაკი არ მსურს, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ცუდად ვითამაშეთ და ნაგებით მდგომარეობა გავირთულეთ. მონინაალმდეგედ ძლიერი გუნდი გვყავდა, რომელმაც კარგი ფეხბურთი აჩვენა და საგოლე მომენტები გამოიყენა. ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა და ვეცდებით, მიზანს მივაღწიოთ".*

ზურაბ ბერიძე: *"მიხარია, ლამაზი, შემტევი ფეხბურთით საკმაოდ ძლიერ გუნდს რომ მოვუგეთ. კმაყოფილი ვარ თამაშითაც და შედეგითაც. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენი ახალგაზრდული გუნდი ძალიან პერსპექტიულია".*

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ
ᲨᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ᲚᲔᲚᲝ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ,
ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ **ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ: 383-384. *ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲣᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲤᲔᲯᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲔᲭᲓᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ

საქართველოს ჩემპიონატი

რა სჯობია წვიმაში გოლთაცვენას

01.05. თბილისი. ბ. პაიჭაძე
800 მაყურებელი

დინამო	4
კოლხეთი	2

1:0 ფანცხავა (5, ჯუისის პასით), 1:1 გვალია (17), 2:1 არზიანი (26), 2:2 მდივნიშვილი (41), 3:2 კაკუბავა (53), 4:2 ჯუისი (65, ფანცხავას პასით)

დინამო	კოლხეთი
4-2-3-1	4-1-4-1
ლორია	ძაგანია
თომაშვილი	ცხვიტარია
კაკუბავა	მახვილაძე
მ. კვარაცხელია	ინწკირველი
მაროშიჩი	მეგრელიშვილი
არზიანი	გოგონაია
კოშკაძე	ჯანაშია
რობერტინიო	კვირენჩხილაძე
თეძეთურმანიძე	გვალია
ჯუისი	მდივნიშვილი
ფანცხავა	სამადაშვილი
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
ქ. კაჭარავა	ს. ფილია

დინამო

13. კოშკაძე - **კვეკვესკირი**
75. ჯუისი - **კახელიშვილი**
82. ფანცხავა - **ტატანაშვილი**

სათადარიგოები: ზარქუა, ლონლაძე, ფირცხალავა, იელიჩი

კოლხეთი

46. სამადაშვილი - **წიქარიშვილი**
63. გოგონაია - **პ. დათუნაიშვილი**
78. კვირენჩხილაძე - **სიჭინავა**

სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, გელაჭეიშვილი, ლემონჯავა, გულუა

გაფრთხილება: **მახვილაძე** (52), **ცხვიტარია** (68)
გაძევება: **კაკუბავა** (89)
არბიტრი: **ა. ნონიკაშვილი**

„დინამო“ დანებებას არ აპირებს: გუშინდელი არცთუ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ **კახა კაჭარავას** გუნდი კვლავაც ექვსი ქულით ჩამორჩება „ზესტაფონს“. ანუ, გასული ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში არც არაფერი შეცვლილა და ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდის გულშემატკივრები ამიერიდან „კოლხეთის“, „სამტრედიას“, „სიონისა“ და „ვიტ ჯორჯიას“... ქომაგთა ბანაკში „გადაინაცვლებენ“! სეზონის ბოლომდე სწორედ ამ გუნდებთან აქვს დარჩენილი მატჩები დინამოელთა კონკურენტს „ზესტაფონს“; მაგრამ, თვითონ „დინამოს“ შესწევს კი იმის ძალა, რომ თავისი მატჩები უპრობლემოდ მოიგოს? ყოველ შემთხვევაში, ისეთი თამაშით, „დინამომ“ გუშინ რომ უჩვენა, ქულათა მაქსიმუმის აღება დარჩენილ შეხვედრებში გუნდს, ალბათ, გაუჭირდება. რა თქმა უნდა, ნამდვილად „არ გვავიწყდება“ ცნობილი გამოთქმა „გამარჯვებულებს არ ასამართლებენო“, მაგრამ სხვა გუნდებისთვის თუ „ჩვეულებრივი“ მოვლენაა მთელი მატჩის განმავლობაში უამრავი წუნი თუ წამყვანი ფეხბურთელების უწვეულოდ ბევრი პოზიციური შეცდომა, აი, „დინამოსთვის“, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ მეტი მოგვეჩვენა. ეგ კი არა, ვერც ვიხსენებთ ამ სეზონში ისეთ მატჩს, მეტოქეს ამდენი სახიფათო მომენტი რომ შეექმნას „დინამოს“ კართან. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ლაპარაკია გუნდზე, აქამდე სტუმრად ჩატარებულ 15 შეხვედრაში მხოლოდ და მხოლოდ 4 გოლი რომ ჰქონდა გატანილი; აი, გუშინ კი, გამოცდილი სპეციალისტის, **სოსო ფილიას** დამოძღვრილმა გუნდმა ფავორიტი მეტოქე მთელი შეხვედრის განმავლობაში გვარიანად ანერვიულა და ორი შორეული გოლის გარდა, სულ მცირე, ოთხიხუთი უაღრესად სახიფათო მომენტიც შექმნა „დინამოს“ კართან. ჰო, მართლაც არა ვართ განებივრებულნი ისეთი მატჩებით, როცა ექვს გოლს ვიხილავთ და ამას გარდა, ისიც დასაფასებელია სტუმართა ასპარეზობაში, ფავორიტ მეტოქეს არაფერი რომ დაუთმეს და ლამის, აქეთ მოახვიეს აგრესიული თამაში. ისე, „დინამოს“, ერთი შეხედვით, არცთუ დამაჯერებელ ასპარეზობასაც გარკვეული ობიექტური მიზეზები უნდა მოვუძებნოთ: მართლაც არ არის პატარა ამბავი, 28 დღეში გუნდს 7 ოფიციალური მატჩის ჩატარება რომ მოუწევს; ამას გარდა, საკადრო პრობლემებიც გასათვალისწინებელია: **ირჟი ჰომოლასა** და **ლევან ხმალაძის** (ორივე დისკვალიფიცირებული იყო) არყოფნის გამო „დინამოს“ დაცვის ხაზში სერიოზული კორექტივები მოხდა; აღარაფერს ვამბობთ მატჩის დასაწყისშივე **ალექსანდრე კოშკაძის** დაშავებაზე — „დინამოს“ კაპიტანი არა მხოლოდ გასულ თვეში, საერთოდ ამ ჩემპიონატში გუნდის, უდავოდ, ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლავთ.

...მთელი შეხვედრის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა, თუმცა ასეთი ამინდი ორივე გუნდის ფეხბურთელთათვის დამატებითი „სტიმულივით“ გამოდგა და 90 წუთის განმავლობაში მოსაწყენად საქმე არავის ჰქონია. თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უხვგოლიანმა შეხვედრამ, პლუს ერთ-ერთი გვერდითი არბიტრის რამდენიმე, რბილად რომ ვთქვათ, საკამათო გადაწყვეტილებამაც თუ ერთი-ორმა კურიოზულმა სიტუაციამ გუშინდელ პაექრობას კიდევ უფრო მეტი ელფერი შემატა. ჰო, გოლებიც ერთი-მეორეზე ეფექტური გამოდგა, ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ორივე გუნდის მეკარეებს ამ სეზონში ბევრად უკეთესი მატჩებიც ჩაუტარებიათ...

... გოლთაცვენას სათავე „დინამოს“ ახალწვეულმა **ვახტანგ ფანცხავამ** დაუდო — 21 წლის ფორვარდმა **დონალდ ჯუისის** პასით ჩინებულად ისარგებლა და „ერთი შეხებით“ ბურთი მეტოქის კარში გადაგზავნა. თუმცა, ბევრად უფრო ეფექტური გამოდგა სტუმართა საპასუხო გოლი: 19 წლის **ლაშა გვალიამ** 25-მეტრიდან უძლიერესი დარტყმით **გიორგი ლორიას** შანსი არ დაუტოვა! სტუმრებს მალე კიდევ ერთი გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ „სტანდარტულის“ შემდეგ **პაატა ცხვიტარიას** თავური დარტყმა დინამოს კარის ბადეს გარედან მოხვდა. ამას კი დინამოელთა გოლი მოჰყვა, სტუმართა პროტესტი რომ გამოიწვია: მარცხენა ინსაიდის პოზიციიდან **ზურაბ არზიანმა** ბურთი მეტოქის კარისკენ გაგზავნა და ტრიბუნიდან მართლაც ძნელად გასარჩევი იყო, **ლაშა ძაგანიამ** ბურთი კარის ხაზს შიგნიდან მოიგერია თუ გარედან; ყოველ შემთხვევაში, მატჩის არბიტრს კარის აღება არც დაუფიქსირებია, მაგრამ თანამსაჯმა ფოთელებისათვის არასასურველი განაჩენი გამოიტანა. ამის მიუხედავად, „კოლხეთი“ კვლავაც არ შეუშინდა ძლიერ მეტოქეს და ისევ და ისევ შორი თუ საშუალო მანძილიდან ცდილობდა მიზნის მიღწევას. ერთ ეპიზოდში **ზამირ ჯანაშიას** მცირედი დააკლდა, აი, **ლევან მდივნიშვილმა** კი ზუსტად დაარტყა (ეს ბურთი აუღებელთა კატეგორიას ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა) და შესვენებაზე გუნდები საყაიმო ანგარიშით გავიდნენ.

მეორე ტაიმშიც დიდხანს არ მოგვიწია გოლის მოლოდინმა: **გიორგი თექთურმანიძის** სტანდარტულს სტუმართა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, რითაც ყველაზე კარგად **ლევან კაკუბავამ** ისარგებლა და თავისი გუნდი დაანინაურა. ამის შემდეგ სტუმრებს ორი ჩინებული მომენტი შეექმნათ და ორივეჯერ მარცხენა ფლანგიდან შეუტიეს, მაგრამ ლევან მდივნიშვილისა და **გიგა კვერენჩხილაძის** დარტყმები მცირეოდენ არაზუსტი გამოდგა. სამაგიეროდ, ფანცხავამ და ჯუისმა გაცვალეს „როლები“ და როგორც შემდგომ გაირკვა, კამერუნელს მატჩის საბოლოო ანგარიში დაუფიქსირება. თუმცა, ორივე გუნდის ფეხბურთელებმა შეხვედრის დასრულებამდე კიდევ არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ არზიანის, რობერტინიოს, მდივნიშვილისა და დათუნაიშვილის მცდელობები უშედეგოდ დასრულდა; ერთ ეპიზოდში კი ლორიამ იყოჩაღა, თუმცა მანამდე „ბოლო იმედის“ ჯარიმისათვის კაკუბავა გააძევეს და აი, ასე „ხალისიანად“ დასრულდა ეს უხვგოლიანი მატჩი.

გია ტუხაშვილი

დინამოელთაგან ზურაბ არზიანი ერთ-ერთი საუკეთესო იყო

შოთა გრიგალაშვილი

ეჭვი აღარავის ეპარება, რომ...

საჩემპიონო ინტრიგა მალე გაქრება

800 ზესტაფონური

30.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
1 500 მაყურებელი

ზესტაფონი	3
ბაია	0

1:0 დვალი (8. ხიდეშელის პასით), 2:0 გრიგალაშვილი (41. აფციაურის პასით), 3:0 ხიდეშელი (69)

ზესტაფონი	ბაია
4-4-2	4-4-2
რ. კვესიტაძე	სოფრიშვილი
ბენაშვილი	აქუბარდია
ხიდეშელი	აფციაძე
გ. ონიანი	რიგვავა
ფოფხაძე	გამრეკლიძე
დაუშვილი	ნ. შონია
ძარია	შ. ლომია
გრიგალაშვილი	წურწუმია
აფციაური	ეხვაია
დვალი	სიხარულია
გელაშვილი	ქობალია
მწვრთნელი	მწვრთნელი
გ. გეგუჩაძე	ე. ქოგეთიანი

ზესტაფონი

34. ძარია – **გორგიაშვილი**
64. დვალი – **წინამძღვრიშვილი**
72. დაუშვილი – **ბაგუნაშვილი**

სათადარიგოები: მამალაძე, მ. კობახიძე, ჭანკოტაძე, ს. ლომია

ბაია

46. წურწუმია – **სამუშია**
57. გამრეკლიძე – **სვირავა**
78. ეხვაია – **ჩანგელია**

სათადარიგოები: მაქაცარია, ქვარცხავა, კ. ახალაია, გ. ქირია

გაფრთხილება: **რიგვავა** (27), **ქობალია** (51), **ხიდეშელი** (78)
არბიტრი: **გ. ვადაჭკორია**

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ "ზესტაფონის" წევრები და გულშემატკივრები საქართველოს ჩემპიონობას ჩემპიონატის დასრულებამდე იზეიმებენ. სანუკვარ მიზნამდე მისასვლელად **გია გეგუჩაძის** გუნდს დარჩენილ ოთხ ტურში ორი გამარჯვება სჭირდება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მდევარმა "დინამომ" უდანაკარგოდ ითამაშა. მოკლედ, უკვე აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ "ზესტაფონი" არსებობის ისტორიაში პირველად ოქროს მედლებს დაეუფლება.

ამ მატჩზე მოსაყოლი ბევრი არაფერია – მასპინძლებმა თამაშის სადავეები თავიდანვე ხელთ იგდეს და სწრაფი გოლიც გაიტანეს. კუთხურს სტუმართა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, **გიორგი ხიდეშელმა** ბურთი **ჯაბა დვალს** გადაანოდა, რომელმაც ზუგდიდელთა კარის დაუცველი კუთხე აუღელვებლად დალაშქრა.

"ზესტაფონის" მიერ განიავებული საგოლე შანსების აღწერით თავს არ შეგანყენთ და პირდაპირ მეორე ბურთზე გადავალთ, რომელიც პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა. შეტევის მარცხენა ფლანგზე **თორნიკე აფციაურმა** იაქტიურა და ბურთი "ბაიას" საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ყველას **შოთა გრიგალაშვილმა** დაასწრო, მეურვე ჩამოიტოვა და ანგარიში ორამდე გაზარდა. საინტერესოა, რომ ეს იყო დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში ზესტაფონის გუნდების მიერ გატანილი საიუბილეო მე-800 გოლი.

"ზესტაფონის" დომინირება შესვენების შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ მასპინძლებმა მხოლოდ ერთი შანსის გამოყენება შეძლეს. ხიდეშელმა, რომელიც შეტევებში მანამდეც ხშირად ერთვებოდა, კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავი შეაგება და ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

ასე გადადგეს ფეროელებმა კიდევ ერთი ნაბიჯი დამსახურებული ჩემპიონობისკენ, "ბაიას" კი თავი ქუდში აქვს – კლუბმა, რომელიც სეზონის განმავლობაში გამუდმებულ ფინანსურ კრიზისშია, უმაღლეს ლიგაში დარჩენის ამოცანას, ფაქტობრივად, გაართვა თავი.

ნიკა გვათუა
ზესტაფონიდან

ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები გატ	ბაჭ	ქ
1	ზესტაფონი	32	21	6	5	60	16	69
2	დინამო	32	18	9	5	49	19	63
3	ოლიმპი	32	18	6	8	46	26	60
4	ვიტ ჯორჯია	32	14	4	14	34	34	46
5	ტორპედო	32	11	12	9	24	20	45
6	ბაია	32	11	5	16	28	44	38
7	სიონი	32	9	9	14	24	38	36
8	კოლხეთი	32	8	9	15	21	42	33
9	სპარტაკი	32	6	9	17	28	41	27
10	სამტრედია	32	6	7	19	24	58	25

ბომბარდირები	გოლი (პენალტით)
გელაშვილი (ზესტაფონი)	16
მოდებაძე (ოლიმპი)	14 (1)
მეგრელაძე (ტორპედო)	13 (1)
წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი)	12 (1)
დვალი (ზესტაფონი)	11

4 მაისი, ოთხშაბათი

დ. ყიფიანის სახ. თასის
1/2 ფინალის საბასუხო მატჩები

XXXIII ტური. 8 მაისი. კვირა

ბაია-ოლიმპი
სიონი-ტორპედო
სამტრედია-დინამო
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი
კოლხეთი-ზესტაფონი

საქართველოს ჩემპიონატი XXXII ტური

ძნელია ჩემპიონთან

სპარტაკი და აი, საძმე: ოქმი უქმი?

30.04. გორი. ქართლი
200 მაყურებელი

სპარტაკი	0
ოლიმპი	2

0:1 მოდებაძე (47. გენაძის პასით), 0:2 მოდებაძე (81. გენაძის პასით)

სპარტაკი	ოლიმპი
4-4-1-1	4-4-1-1
გრიშიკაშვილი	ბათიაშვილი
სეფიაშვილი	მურველაშვილი
მგელაძე	ძმოკლიძე
ტეტუნაშვილი	რეხვიაშვილი
ჭაფოძე	დოგრეგოლსკი
ჯიშკარიანი	პავლიაშვილი
მაკუხიშვილი	ტყემალაძე
კილასონია	ქავთარაძე
მ. ბარაბაძე	გენაძე
ჯაკობია	დ. გოლუბაძე
მეტრეველი	მოდებაძე
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
გ. კვარაცხელია	ა. ჯულაძე

სპარტაკი

46. ჯიშკარიანი - **ჯაყელი**
49. ტეტუნაშვილი - **შონია**
55. ბარაბაძე - **დეკანოიძე**

სათადარიგოები: დაუშვილი, ალავიძე, ზერეკიძე, კლოვისი

ოლიმპი

46. ქავთარაძე - **გ. ჭელიძე**
87. გენაძე - **ბახტაძე**
87. მურველაშვილი - **ი. კანდელაკი**

სათადარიგოები: ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ქურდობაძე, სეთურიძე

გაფრთხილება: **კილასონია (28), ქემოკლიძე (86), ჯაკობია (88)**
არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

ს.კ სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

თავშივე უნდა ვთქვათ, რომ შეხვედრას საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცი **თემურ ქეცბაია** დაესწრო. რუსთაველებს დისკვალიფიკაციის გამო **რაზმაძე** და **კვახაძე** აკლდათ, მწვრთნელ **თორნიკე მაისურაძეს** კი სათადარიგოთა სკამზე ყოფნის უფლება არ ჰქონდა. „სპარტაკელთაგან" დისკვალიფიცირებულნი იყვნენ **ბოიომო** და **მანჩახავა**, **გრიშიკაშვილი** კი სერიოზული ტრავმით ასპარეზობდა. პირველი ტაიმის ნახევარი ისე მიილია, არც ერთ კართან ხიფათი არ შექმნილა. მერე კი მასპინძლებს რამდენჯერმე შეეძლოთ ეხეირათ. ჯერ **ზვიად მეტრეველმა** გააცუდა მომენტი, შემდეგ **მიხეილ ჯიშკარიანმა.** მანვე 44-ე წუთზეც ვერ ისარგებლა სახეირო ეპიზოდით. ამ მომენტების შუალედში „ოლიმპი" **რეხვიაშვილმაც** გადაარჩინა, როდესაც ორ ცხინვალელ მოიერიშეს ფეხიდან ააცალა ბურთი. პირველ ტაიმს კვალი წვიმამაც დაატყო. სველ მინდორზე ფეხბურთელები ხშირად ცდებოდნენ. წვიმა მეორე ტაიმის დაწყებამდე შეწყდა და თითქოს ამას ელოდაო, „ოლიმპმა" ხელი გამოიღო. მანამდე ინერტულმა **რევაზ გენაძემ** 47-ე წუთზე სწრაფი გარღვევა განახორციელა და **ირაკლი მოდებაძეს** ჩააწოდა, მან კი „სპარტაკის" დაცვის აშკარა ჩავარდნით ისარგებლა და — 0 : 1. მოდებაძეს ორ წუთში ისევ მიეცა გატანის შანსი, თუმცა ხუთიოდ მეტრიდან ერთობ არაზუსტად დაარტყა. ცხინვალელები დათრგუნვილები თამაშობდნენ, მერე კი საერთოდ დაკარგეს ბურთზე კონტროლი. ყველაზე ღირებული, რაც მათ შექმნეს, 67-ე წუთზე დეკანოიძის გააზრებული პასით **ჯაყელის** საგოლე პოზიციაზე გაყვანა იყო, თუმცა ცხინვალელი სველმა მინდორმა დააღალატა, ფეხი დაუცდა და ანგარიშში წონასწორობა ვერ აღადგინა. „სპარტაკის" ქომაგებს ამ ეპიზოდის გამო ნუხილი არ დაემთავრებინათ, რომ რუსთაველმა მარჯვენა მცველმა **გიორგი მურველაშვილმა** ლამის მთელი ფლანგი ჩაირბინა, საჯარიმოში მოდებაძე მოძებნა, მაგრამ მან ისევ უხეიროდ დაასრულა კომბინაცია. სტუმართა ბომბარდირს მე-80 წუთზეც მართებდა გატანა, თუმცა გრიშიკაშვილთან პირისპირ გასულმა გოლკიპერის მოტყუება განიზრახა, მოახერხა კიდეც, მაგრამ მახვილი კუთხიდან ვეღარ გაიტანა. მოდებაძეს ახლა უკვე გენაძემ აღარ მისცა „მოსვენება", მისი პასით ირაკლის ისევ მიეცა შესანიშნავი საგოლე შანსი და მოდებაძემ როგორც იქნა მოახერხა შეტევის შედეგიანად დაგვირგვინება - 0 : 2.

მატჩის მიწურულს „ოლიმპის" მწვრთნლებმა მორიგი ცვლილებები განახორციელეს, რამაც „სპარტაკის" წარმომადგენელთა უკმაყოფილება გამოიწვია. კერძოდ, საქმე ისაა, რომ თამაშის დანყებამდე დარიგებულ ოქმებში „ოლიმპის" მეკარედ **ბედიაშვილი** ეწერა, თუმცა პირველივე წუთებიდან მოედანზე **ბათიაშვილი** იყო. ცხინვალელთა აზრით ეს უკვე უნდა ჩათვლილიყო ერთ ცვლილებად, რასაც მატჩის ბოლომდე სამი მოჰყვა. სპარტაკელებმა ეს თამაშის დასრულებისთანავე გააპროტესტეს მსაჯებთან, რაზეც მათ განაცხადეს, რომ ბედიაშვილის ტრავმის გამო „ოლიმპის" სასტარტოში ბათიაშვილის დაყენება რუსთაველებმა დროულად აცნობეს, რითაც გათამაშების დებულება არ დარღვეულა. მაგრამ, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, ცხინვალელებს კიდევ ერთი პროტესტის საფუძველი მიეცათ - თბილისისკენ გზაზე ისინი კიდევ შეხვდნენ არბიტრებს და ნახეს, რომ მატჩის საბოლოო ოქმი მათ ჯერაც არ შეევსოთ. არადა, რეგლამენტის მიხედვით, როგორც ეს „სპარტაკის" წარმომადგენელმა გვაცნობა, მატჩის ოქმი შეხვედრის დამთავრებისთანავე, ადგილზევე უნდა შეივსოს.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ქართული ფეხბურთი

30.04. ჭუთაისი. ტორპედო
700 მაყურებელი

ტორპედო	2
სამტრედია	1

0:1 მიქაბერიძე (27 ლომაშვილი პასით), 1:1 დიღმელაშვილი (43. გოცირიძის პასით), 2:1 დათუნაიშვილი (50. ჩიკვილაძის პასით)

ტორპედო	სამტრედია
4-4-2	4-1-4-1
მიგინეიშვილი	ბანძავა
ფოფხაძე	გოგია
ს .თოდუა	ენდელაძე
ფარულავა	თუგლიკაშვილი
ჩიკვილაძე	ხუმარაშვილი
დოლიძე	ცხადაია
დიღმელაშვილი	ალავერდაშვილი
გ .დათუნაიშვილი	ლომაშვილი
გ. სეთურიძე	გ .მიქაბერიძე
გოცირიძე	ჩხიკვაძე
ვ. კვარაცხელია	გოგიშვილი
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
გ. გიგაბაძე	ლ. ანჯაფარიძე

ტორპედო

46. ვ. კვარაცხელია - **კემუხტაშვილი**
73. დოლიძე - **თარხნიშვილი**
87. გოცირიძე - **ქებაძე**

სათადარიგოები: ქვილითაია, გუგუჩია, გიგაური, მაჭავარიანი

სამტრედია

46. გოგიშვილი - **რუხაია**
59. შალიკაშვილი - **დვალიშვილი**
68. ალავერდაშვილი - **ხვადაგიანი**

სათადარიგოები: კეკელიძე, ხაჭაპურიძე, კირთაძე, შენგელია

გაფრთხილება: **კემუხტაშვილი (56), შალიკაშვილი (56)**
მსაჯი: **ლ.კვარაცხელია**

„სამტრედიამ", რომელიც, ფაქტობრივად, გასავარდნადაა განნირული, კიდევ ერთხელ გამოავლინა მებრძოლი სული და ამბიციურ „ტორპედოს" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა... შეხვედრა საკმაოდ სწრაფ ტემპში, ორმხრივი შეტევებით დაიწყო. ტორპედოელებს პირველივე წუთზე შეეძლოთ თავის გამოჩენა: **დოლიძემ** საჯარიმოში **გოცირიძეს** მისამართით ჩაანოდა, რომელმაც ახლო მანძილიდან თავური დარტყმით ბურთი ძელს გაარტყა. სამტრედიელებმა მალევე უპასუხეს, **ლომაშვილის** პასის შემდეგ **ალავერდაშვილი** ურტყამდა სახიფათოდ, მაგრამ **მიგინეიშვილმა** ითამაშა საიმედოდ. მე-7 წუთზე მასპინძლებს კვლავ მიეცათ გატანის შანსი. დოლიძის ფლანგურ ჩაწოდებას ამჯერად **დათუნაიშვილის** სახიფათო თავური მოჰყვა და ბურთი ოდნავ ასცდა სამტრედიელთა კარს. სტუმრებიც არ ყოფილან უქმად, **მიქაბერიძის** სახიფათოდ დარტყმულმა ბურთმა „ტორპედოს" კარს ჩაუქროლა, **ცხადაიას** შორიდან გასროლილი ბურთი კი მიგინეიშვილმა მოიგერია. 24-ეწუთზე **სეთურიძემ** შორიდან შეამონმა **ბანძავას** მზადყოფნა. ორმხრივი შეტევების შემდეგ გოლიც გავიდა, 27-ე წუთზე სტუმართა სახიფათო შეტევისას ლომაშვილმა საჯარიმოს გარეთ მიქაბერიძეს დაუტოვა ბურთი, რომელმაც უძლიერესად დაარტყა და ულამაზესი გოლი გაიტანა-0:1. მასპინძლები ანგარიშის გათანაბრებას აქტიურად ცდილობდნენ და ამან შედეგიც მალევე გამოიღო. 43-ე წუთზე გოცირიძემ საჯარიმოს გარეთ **დიღმელაშვილს** დაუგორა ბურთი და მანაც უძლიერესი დარტყმით ბანძავას შანსი არ დაუტოვა-1:1. შესვენების შემდეგ სტუმრებს დაღლა დაეტყოთ და უპირატესობა მთლიანად ქუთაისელთა მხარეს გადავიდა. ამას მასპინძელთა სწრაფმა გოლმაც შეუწყო ხელი. შეხვედრა ხუთი წუთის განახლებული იყო, როცა სამტრედიელთა კარისკენ ჯარიმა დაინიშნა. დიღმელაშვილმა საჯარიმოში ჩაჰკიდა, სეთურიძემ ბურთს თავით ოდნავ შეუცვალა მიმართულება და დათუნაიშვილის მისამართით კარგი პასი გამოუვიდა, ამ უკანასკნელს კი ახლო მანძილიდან ბანძავას კარის აღება არ გასჭირვებია-2:1. მასპინძლებმა ამის შემდეგაც განაგრძეს სამტრედიელთა შევიწროება და არაერთი საგოლე მომენტიც შექმნეს, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა. ახლა ქუთათურები მათთვის უმნიშვნელოვანესი მეორე იმერული დერბისთვის უნდა მზადმზადონ, 4 მაისს თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში „ზესტაფონთან" ერთ-ერთი ფინალისტის ვინაობა უნდა გაირკვეს.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

იმერული დერბი ამბებია, დერბი დერბიზეა

ეს განწირული სულისკვეთება... ალალი სიტყვა სამტრედიელ ფეხბურთელებს

დავით დიღმელაშვილმა ანგარიში შორეული დარტყმით გაათანაბრა

● ფუტსალი

იბერია ჩემპიონია

მოულოდნელი არაფერი მომხდარა – "იბერია სტარი" ზედიზედ მეცხრედ გახდა ფუტსალში საქართველოს ჩემპიონი.

"იბერიას" რომ ტიტულის შენარჩუნება არ გაუჭირდებოდა, კარგა ხნის წინ გახდა ცნობილი, მაგრამ ლიდერის დაწევის თეორიული შანსი უახლოესმა მდევარმა მხოლოდ ბოლო ტურში დაკარგა.

"იბერიამ" ჩემპიონობა სწორედ უახლოეს მდევარ "ალგოსთან" გამარჯვებით გაიფორმა და კლუბის დამაარსებელ **ავთანდილ წერეთელს** დაბადების დღეზე საუკეთესო საჩუქარი უძღვნა.

ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ რამდენიმე მატჩია დარჩენილი, "იბერია" და "ალგო" კი, სავარაუდოდ, სეზონის ბოლო მატჩშიც – თასის ფინალშიც შეხვდებიან ერთმანეთს. თუმცა იქამდე ნახევარფინალებია, სადაც საქართველოს ორი საუკეთესო გუნდის მეტოქეები სამოყვარულო (ბიზნესის) ლიგის გუნდები – "ტექნიკური უნივერსიტეტი" და "გიგაბაიტი" - იქნებიან.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. იბერია	18	18	0	0	159:33	54
2. ალგო	18	14	0	4	104:33	42
3. თსუ	16	10	0	6	75:48	30
4. ქუთაისი	18	6	0	12	85:126	18
5. ბათუმი	19	6	0	13	71:151	18
6. თელავი	19	0	0	19	14:117	0

მერაბ მამულაშვილი

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXIV ტური

ზოგჯერ გრანდებიც ჭირიან

რაც რეალმა ვერ შეძლო, სოსიედადმა მოახერხა

ორი წელიწადია, რაც მსგავსი არ მომხდარა - „ბარსელონამ“ და „რეალმა“ ერთ ტურში წყვილად წააგეს. ასე უცნაურად შენარჩუნდა ლა ლიგაში ლიდერსა და მდევარს შორის 8-ქულიანი სტატუსკვო - „კლასიკოების“ ომში ქანცგაწყვეტილმა „რეალმა“ და „ბარსელონამ“ ექსპერიმენტული შემადგენლობებით ითამაშეს 34-ე ტურში და წააგეს გავარდნის საფრთხის წინაშე მდგარ აუტსაიდერებთან. „რეალმა“ შინ 2:3 დათმო „სარაგოსასთან“, ხოლო „ბარსელონამ“ სან სებასტიანში „რეალ სოსიედადთან“ 1:2 წააგო. ბოლოს მსგავსი 2009 წელს მოხდა, როცა ბოლოსწინა ტურში კატალონიელებმა შინ „ოსასუნასთან“ წააგეს, მადრიდელებმა კი - „მალიორკასთან“.

მიუხედავად მარცხისა, კატალონიელებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს ჩემპიონობისკენ - ლა ლიგის დასრულებამდე 4 ტურიღა რჩება, ტიტულის გაფორმებამდე „ბარსას“ 4 ქულაღა ესაჭიროება (ამ ტურამდე 7 სჭირდებოდა).

დამარცხებულნი და ნირწამხდარნი: ჟოზე და პეპი

ჟოზე მოურინიოს გუნდმა შაბათს ის ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივრებიც გაანბილა, რომლებიც ჯერ კიდევ ოცნებობდნენ ტიტულზე. „რეალის“ მარცხმა 5-გოლიან თრილერში მათ ოცნება საბოლოოდ დაუსამარა. ჩემპიონთა ლიგაზე 0:2 მარცხს „თეთრებმა“ სულ რაღაც ოთხ დღეში კიდევ ერთი წაგება მიაყოლეს და ამით „სარაგოსას“ პრიმერადივიზიონში დარჩენის კარგი შანსი მისცეს. „რეალის“ დამმარცხებელს კი **ანხელ ლაფიტა** ჰქვია - 26 წლის ესპანელმა გარემარბმა, ვგონებ, კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მის ანგარიშზე დუბლი და მოპოვებული პენალტია და ეს ყველაფერი მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“! ამიტომ მასზე ცოტას კიდევ შევჩერდებით - ლაფიტა სარაგოსელია და „სარაგოსას“ აღზრდილია, თუმცა 2007-ში ის არაგონულმა კლუბმა „დეპორტივოში“ 2 მილიონ ევროდ გაყიდა, თუმცა ორი წლის შემდეგ უკან გამოისყიდა. ლაფიტა საფეხბურთო ოჯახიდანაა, მის მამა **ხუანსაც** უთამაშია „სარაგოსაში“, მაგრამ გაცილებით ცნობილი ბიძაა - **ფრანსისკო ვილიაროია**, „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი! რომელმაც 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრების ყველა მატჩში ითამაშა. სხვათა შორის, ვილიაროია „რეალში“ დაცვის მარცხენა ფლანგზე **რობერტო კარლოსმა** შეცვალა. ანხელის უმცროსი ძმა **იგნასიოც** ფეხბურთელია.

მოურინიომ „კლასიკოსთან“ შედარებით 8 ცვლილება განახორციელა შემადგენლობაში (მხოლოდ **კასილიასი, პეპე** და **სერხიო რამოსი** დატოვა) და დაახლოებით ის გუნდი გამოიყვანა, რომელმაც ერთი კვირის წინ „მესტალაიაზე“ გაიბრწყინა. თუმცა ახლა სხვაგვარად წარიმართა ყველაფერი. ტაიმის დასრულებამდე 4 წუთით ადრე იკერ კასილიასმა ენით აუწერელი შეცდომა დაუშვა, დასწრებაზე ითამაშა, მაგრამ საჯარიმოს გარეთ ბურთს ფეხი ააცილა, **უჩემ** პასი ლაფიტას გადააწოდა, რომელმაც „რეალის“ კაპიტნისგან მიტოვებული კარი დალაშქრა. მიუხედავად ასეთი ცუდი დასაწყისისა, მოურინიომ, რომელმაც მატჩის განაცხადშიც კი არ შეიყვანა **კრიშტიანო რონალდო**, შესვენებაზე ცვლილებები არ განახორციელა. მაგრამ პორტუგალიელი თავკაცის მოთმინების ფიალა მალევე ამოიწურა - „სარაგოსამ“ მეორეც გაიტანა. ამ შეხვედრის ანტიგმირმა **რიკარდო კარვალიომ** საჯარიმოში ლაფიტა მოცელა და არაგონელთა კაპიტანმა **გაბიმ** ორამდე გაზარდა სტუმართა უპირატესობა. მოურინიომ **მარსელო** და **დი მარია** მოიხმო, ახალგაზრდების, **კანალესისა** და **ნაჩოს** ნაცვლად. შეცვლაზე შესული **იოზილის** ჩაწოდების შემდეგ სერხიო რამოსმა ერთი თავით გაქვითა, ამას მოჰყვა **ბენზემას** გააქტიურება და ფრანგის ორი მეტად სახიფათო დარტყმა, მაგრამ გოლი ისევ „სარაგოსამ“ შეაგდო - 77-ე წუთზე ლაფიტამ უსწრაფესი კონტრშეტევის წყალობით გაიტანა - ყველაფერი კი... მადრიდელთა კუთხურით დაინყო. „რეალი“ არ შეეგუა მარცხს, მაგრამ **იგუაინის** პასით ბენზემას მიერ გატანილ გოლსღა გამორჩა. ამის შემდეგ რიკარდო კარვალიომ თვალწინ წითელი ბარათი იხილა, ჟოზეს გუნდი კვლავ 10 კაცის ამარა დარჩა. მიუხედავად ამისა, „რეალმა“ შტურმი მოაწყო **დობლასის** კართან, თუმცა წარუმატებელი.

ჟოზე მოურინიო (რეალი): *„უნდა ვაღიაროო, რომ კუდი პირველი ტაიმის შემდეგ ფეხბურთელების მოტივირება ვერ შევძელი. სამი გოლი გავუშვით და მხოლოდ ამის შემდეგ მოვეგეთ გონს. საკვირველია, ზუსტად ასეთი გუნდით ვითამაშეთ ბილბაოსა და ვალენსიაში და იქ იოლად ვიმარჯვეთ. მეტოქემ გოლის მერე ჩაკეტა თამაში და ცოტა გაუმართლა კიდეც, ამ მოგებით „სარაგოსამ“ პრიმერაში დარჩენა თითქმის გაინაღდა. რონალდომ ჩემი გადაწყვეტილების გამო არ ითამაშა, ჩვენ სხვა ფორვარდებიც გვყავს, ბენზემა და იგუაინი მონადინებულნი იყვნენ და მზად იყვნენ საბრძოლველადაც, ხოლო სკამზე ადებაიორი იჯდა“.*

ბასკეთში **ხოსეპ გვარდიოლამ ლეო მესი** კი დააყენა შემადგენლობაში, მაგრამ სასტარტოში ერთბაშად 4 ფეხბურთელი ათამაშა სარეზერვო გუნდიდან (თუმცა **ჟეფრენი** ოფიციალურად პირველი გუნდის ფეხბურთელად ითვლება): **მონტოია, ტიაგო ალკანტარა**, ჟეფრენი და **ფონტასი**. „სოსიედადს“ ჰაერივით ესაჭიროებოდა ქულები წინააღმდეგ შემთხვევაში ბასკური კლუბი გავარდნადარჩენის ზღვარზე დაეშვებოდა. თავიდან სენსაციური დასასრულისა თამაშს არაფერი ეტყობოდა, „ბარსამ“ პირველი ტაიმი ტიაგო ალკანტარას გოლის წყალობით იგებდა კიდევაც, ბურთსაც აკონტროლებდა, მაგრამ ბოლო 20 წუთში რაღაც შეიცვალა, კარგად ჩაერთვნენ შეცვლაზე შესული **იფრანი** და **ზურუტუზა**. საპასუხო გოლი ურუგვაელმა **დიეგო იფრანმა** გაიტანა. შემდეგ კი შეტევაში გართული სტუმრები საეჭვო პენალტით დასაჯეს, იუხეშა თუ არა საჯარიმოში **მასკერანომ**, ძნელი სათქმელია. ასეა თუ ისე, პენალტი **ჩაბი პრიეტომ** შეასრულა, **ხოსე პინტომ** კინაღამ მოიგერია, მაგრამ ფეხბურთში კინაღამ არ ითვლება - 2:1. ასე წაგო „ბარსამ“ სეზონში მეორე მატჩი.

ხოსეპ გვარდიოლა (ბარსელონა): *„დღეს ჩვენ ძალიან კარგი გაკვეთილი მივიღეთ. მეორედ ასეთ შეცდომას აღარ გავიმეორებთ, 4 ქულა გვჭირდება და ეს 4 ქულა უნდა მოვიპოვოთ. ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, მეორე ტაიმში, თითქოს, ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ მაინც ხშირად ვკარგავდით პოზიციებს და, რაც ყველაზე მთავარია, ბურთს ხეირიანად ვერ ვაკონტროლებდით. ახლა მხოლოდ სამშაბათის საპასუხო მატჩზე ვიფიქრებთ „რეალთან“. ძალიან რთული მატჩი გველის ყველა ასპექტში. ჩვენ უდიდესი უპირატესობა გვაქვს და უნდა ყველაფერი გავიღოთ ფინალში გასასვლელად“.*

შაბათის ბოლო შეხვედრაში მადრიდის „ატლეტიკომ“ სტუმრად 10-კაციან „დეპორტივოს“ მოუგო - 1:0. **კიკე ფლორესის** გუნდს „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა - ბოლო ხუთი ტურია, რაც „ატლეტიკოს“ არ წაუგია, მოიგო 4 და ფრედ დაასრულა 1 შეხვედრა. გამარჯვების გოლი ლა კორუნიაში **სერხიო აგუერომ** თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე გაიტანა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

მომდევნო ტური

7 მაისი: ბილბაო-ლევანტე, ხეტაფე-ალმერია, ერკულესი-რასინგი, სპორტინგი-დეპორტივო, ვალენსია-რეალ სოსიედადი, ატლეტიკო-მალაგა, სევილია-რეალი.

8 მაისი: მალიორკა-ვილიარეალი, ბარსელონა-ესპანიოლი, სარაგოსა-ოსასუნა.

პორტუგალია

ლიგა სანტანდერი. XXVIII ტური

ფერეირა-გიმარაეში 2:1
გოლები: 0:1 ფაუზი (18), 1:1 ოლიმპიო (45), 2:1 კაეტანუ (85)
გაძევება: ფაუზი (45. გიმარაეში)

სპორტინგი-პორტიმონენშე 2:1
გოლები: 1:0 ელდერ პომბიგა (20), 2:0 ჟოაო პერეირა (43), 2:1 პირესი (67)
გაძევება: სანტოსი (81. სპორტინგი), ჟ. პერეირა (84. სპორტინგი)

ბეირა მარი-რიუ ავე 1:1
გოლები: 1:0 ტავარეში (14), 1:1 ტარანტინი (49)

ბრაგა-ლეირია 0:0

მარიტიმუ-აკადემიკა 1:0
გოლი: 1:0 ბაბა (4)
გაძევება: ადი (50. აკადემიკა), რობსონი (90. მარიტიმუ)

ნავალი-ნასიონალი 1:2
გოლები: 0:1 ბარსელოსი (24), 0:2 კლაუდემირი (30-პენ), 1:2 ედვალდო (41)

ოლანენშე-ბენფიკა 1:1
გოლები: 0:1 ხარა (4), 1:1 ჯალმირი (90)
გაძევება: ჟარდელი (68. ბენფიკა)

სეტუბალი-პორტუ 0:4
გოლები: 0:1 ვალდომირო (12 ს.კ.), 0:2 ოტამენდი (46), 0:3 ვალტერი (56), 0:4 ვარელა (90)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პორტუ	28	26	2	0	68-13	80
2. ბენფიკა	28	19	2	7	56-27	59
3. ბრაგა	28	13	6	9	45-32	45
4. სპორტინგი	28	12	9	7	40-30	45
5. ნასიონალი	28	10	9	9	26-30	39
6. რიუ ავე	28	10	7	11	32-29	37
7. გიმარაეში	28	10	7	11	32-37	37
8. ფერეირა	28	9	10	9	27-38	37
9. მარიტიმუ	28	9	8	11	33-29	35
10. ბეირა მარი	28	7	12	9	32-33	33
11. ლეირია	28	8	7	13	21-35	31
12. ოლანენშე	28	6	12	10	21-32	30
13. აკადემიკა	28	7	8	13	31-43	29
14. სეტუბალი	28	6	10	12	25-41	28
15. ნავალი	28	5	8	15	26-47	23
16. პორტიმონენშე	28	5	7	16	27-46	22

ბომბარდირები: 22 - ჰალკი (პორტუ); 15 - ჟოაო ტომაში (რიუ ავე); 14 - ფალკაო (პორტუ); 10 - ბ. დიავარა (მარიტიმუ).

რეალი-სარაგოსა 2:3

რეალი (4-2-3-1): კასილასი - სერხიო რამოსი, გარაი, რიკარდო კარვალიო, ნაჩო (53. მარსელო) - პეპე, გრანერო (59. იოზილი) - იგუაინი, კანალესი (52. დი მარია), კაკა - ბენზემა.

სარაგოსა (5-4-1): დობლასი - დიოგო, იაროშიკი, ლანსარო (64. პინტერი), დ. სილვა, ობრადოვიჩი (46. პარედესი) - ხ. ლოპესი, პონსიო, გაბი, ლაფიტა (88. ნდავი) - უჩე.

გოლები: 0:1 ლაფიტა (41), 0:2 გაბი (54-პენ), 1:2 რამოსი (62), 1:3 ლაფიტა (77), 2:3 ბენზემა (85)

გაფრთხილება: კარვალიო, დი მარია - იაროშიკი, ლოპესი, დიოგო, დობლასი

გაძევება: კარვალიო (86)

კუთხური: 7-5; **ჯარიმა:** 12-21; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 18-10 (7-4); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

მაყურებელი: 70 000

სოსიედადი-ბარსელონა 2:1

რეალ სოსიედადი (4-2-3-1): ბრავო - კ. მარტინესი, დემიდოვი, მ. გონსალესი, ესტრადა - რივასი (68. ზურუტუზა), ბერგარა (88. ელუსტონდო) - ჩაბი პრიტო, არანბურუ, გრიზმანი - ტამუდო (68. იფრანი).

ბარსელონა (4-3-3): პინტო - მონტოია (13. დანი ალვეში), პიკე (62. მასკერანო), გ. მილიტო (78. ბუსკეტსი), ფონტასი - ტ. ალკანტარა, ჩავი, კეიტა - აფელაი, მესი, ტეფრენი.

გოლები: 0:1 ტ. ალკანტარა (29), 1:1 იფრანი (71), 2:1 ჩაბი პრიეტო (82-პენ)

გაფრთხილება: ტამუდო, ესტრადა - მასკერანო

კუთხური: 4-5; **ჯარიმა:** 19-10; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-13 (3-7); **ბურთის ფლობა:** 26%-74%.

მაყურებელი: 29 000

დეპორტივო-ატლეტიკო 0:1

დეპორტივო (4-2-3-1): არანსუბია - ლაურე, კოლოტო, ლოპო, მორეელი (31. სეოანე) - აიტამი, ხ. როდრიგესი - ხ. დომინგესი, ვალერონი, გუთადდო (74. ზე კაშტრო) - ხისკო (74. რიკი).

ატლეტიკო (4-4-2): დე ხეა - უიფალუში, პერეა, გოდინი, ფილიპე ლუიში - რეიესი (85. რ. გარსია), მ. სუარესი, ტიაგო, ელიასი (67. ხუანფრანი) -აგუერო, დ. კოშტა (66. ფორლანი).

გოლი: 0:1 აგუერო (80)

გაფრთხილება: ლოპო, ზე კაშტრო - გოდინი, რეიესი, უიფალუში, ფორლანი

გაძევება: ლოპო (59)

კუთხური: 9-6; **ჯარიმა:** 16-8; **თამაშგარე:** 5-7; **კარში დარტყმა:** 10-17 (3-5); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

მაყურებელი: 29 000

ლევანტე-სპორტინგი 0:0

ლევანტე (4-2-3-1): მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი - ხ. ტორესი, იბორა - ვალდო (59. ნადალი), რ. სუარესი (78. მუნიოსი), მონტერო - კაისედო (82. სტუანი).

სპორტინგი (4-2-3-1): ხუან პაბლო - ლორა, ბოტია, ი. ერნანდესი, ანხელი - რივერა (86. ნაჩო კასესი), ეგურენი - ნაჩო ნოვო, დე ლას კუევასი (67. კარმელო), აიოსე - ბარალი (61. ბილიჩი).

გაფრთხილება: იბორა, ნადალი - ნაჩო ნოვო, ბილიჩი

კუთხური: 6-1; **ჯარიმა:** 10-16; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 8-4 (2-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

მაყურებელი: 16 000

მალაგა-ერკულესი 3:1

მალაგა (4-4-2): კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველეგტონი, ელიზუუ - რესიო (54. ნაჩო კამაჩო), აპონიო, ბაპტიშტა, დუდა (76. მარესკა) - ს. ფერნანდესი (81. ფ. პორტილიო), რონდონი.

ერკულესი (4-2-3-1): კალატაიუდი - კორტესი, პასი, ხუანრა, პენია - ფრიტცლერი, აგილარი - კიკო (86. ტომერი), ტ. გომეზი, სენდოა (72. რუფეტე) - ნ. ვალდესი (79. ხ. პორტილიო).

გოლები: 0:1 ვალდესი (3), 1:1 ბაპტიშტა (4), 2:1 რონდონი (72), 3:1 ბაპტიშტა (75)

გაფრთხილება: აპონიო, გამესი - აგილარი, სენდოა, ფრიტცლერი, კალატაიუდი

გაძევება: ფრიტცლერი (66)

კუთხური: 4-5; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 12-11 (3-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

მაყურებელი: 27 000

რასინგი-მალიორკა 2:0

რასინგი (4-4-2): ტონიო - პინილიოსი, ენრიკე, ალვარო (81. ოსმარი), სისმა - ლასენი, კოლსა - კენედი (67. ლუკე), ჯ. დოს სანტოსი, მუნიტისი (78. კრისტიანი) - როზენბერგი.

მალიორკა (4-2-3-1): ავატე (46. ლუქსი) - ჟოაო ვიქტორი, ნუნიეზი, რამისი, აიოსე - დე გუზმანი, მარტი - ნსუე, იენაგა (46. ვიქტორი), გ. კასტრო (60. მ. პერეირა) - ვებო.

გოლები: 1:0 როზენბერგი (12), 2:0 კენედი (42)

გაფრთხილება: კენედი, როზენბერგი, ჯ. დოს სანტოსი, ლასენი - ჟოაო ვიქტორი

კუთხური: 3-5; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 8-12 (3-8); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

მაყურებელი: 15 000

ალმერია-სევილია 0:1

ალმერია (4-2-3-1): დიეგო ალვეში - მასედო, პელერანო, კ. გარსია, იაკობსენი - ბერნარდელო (81. მბამი), კორონა (59. აკასიტე) - პიატი, ვარგასი, კრუსატი (74. ულოა) - კალუ უჩე.

სევილია (4-2-3-1): ვარასი - კასერესი (56. როდრი), ფსიკო, ესკუდე, ფ. ნავარო - მედელი, რომარიკი - კაპელი, რაკიტიჩი (29. რენატო), ჰეროტი (67. დაბო) - ნეგრედო.

გოლი: 0:1 რენატო (57)

გაფრთხილება: ბერნარდელო - რომარიკი, რენატო, მედელი

გაძევება: იაკობსენი (52)

კუთხური: 3-5; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 6-19 (1-10); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

მაყურებელი: 10 000

ვილიარეალი-ხეტაფე 2:1

ვილიარეალი (4-4-2): დ. ლოპესი - მარიო, კიკო (69. მ. რუბენი), მუსაჩიო, კაპდევილა - კასორლა (80. ვაკასო), ბ. ვალერო, ბრუნო, კანი (71. კატალა) - ნილმარი, როსი.

ხეტაფე (4-2-3-1): უსტარი - მ. ტორესი, კატა დიასი, მარკანო, მანე - ვ. სანჩესი (76. კოლუნგა), კასკერო (67. ბოატენგი) - პ. რიოსი, პარეხო, სარდინეროო (72. არისმენდი) - მიკუ.

გოლები: 0:1 პ. რიოსი (31), 1:1 კანი (60), 2:1 როსი (74)

გაფრთხილება: მარიო, კასორლა, კაპდევილა, ვაკასო - მანე, მიკუ, კატა დიასი, ნილმარი

კუთხური: 9-3; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 8-4; **კარში დარტყმა:** 11-16 (5-6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 19 500

ოსასუნა-ვალენსია 1:0

ოსასუნა (4-2-3-1): რიკარდო - ნელსონი, სერხიო, ლოლო, მონრეალი - პუნიალი, ნეკუნანი - სეხუდო (81. სორიანო), კალეხა (65. დამია), კამუნიასი - კიკე სოლა (89. ხოსეიჩო).

ვალენსია (4-2-3-1): გუაიტა - მიგელი (79. პ. ერნანდესი), სტანკევიჩიუსი, რიკარდო კომბა, ბატიო - ალბელდა (63. ბანეგა), მ. ტოპალი - ხოაკინი, ფონსანი (68. ადურისი), მატა - სოლდადო.

გოლი: 1:0 სეხუდო (59)

გაფრთხილება: კალეხა, ნეკუნანი, სორიანო, რიკარდო - ალბელდა, გუაიტა, სტანკევიჩიუსი, რ. კომბა, მატა, ხოაკინი, პ. ერნანდესი

კუთხური: 7-2; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 19-5 (6-1); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

მაყურებელი: 18 000

ესპანიოლი-ბილბაო — დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	34	28	4	2	89-19	88
2. რეალი	34	25	5	4	81-29	80
3. ვალენსია	34	19	6	9	57-42	63
4. ვილიარეალი	34	18	6	10	53-39	60
5. ატლეტიკო	34	15	7	12	55-44	52
6. სევილია	34	15	7	12	52-49	52
7. ბილბაო	33	16	3	14	51-47	51
8. ესპანიოლი	33	14	3	16	40-46	45
9. ლევანტე	34	12	7	15	37-46	43
10. სპორტინგი	34	10	12	12	31-37	42
11. მალიორკა	34	12	6	16	35-47	42
12. სოსიედადი	34	13	2	19	45-58	41
13. რასინგი	34	10	10	14	34-49	40
14. სარაგოსა	34	10	9	15	35-47	39
15. მალაგა	34	11	6	17	47-64	39
16. ოსასუნა	34	10	8	16	38-41	38
17. დეპორტივო	34	9	11	14	27-42	38
18. ხეტაფე	34	10	7	17	44-55	37
19. ერკულესი	34	9	6	19	31-53	33
20. ალმერია	34	5	11	18	32-59	26

ბომბარდირები: 31 - მესი (ბარსელონა); 29 - რონალდო (რეალი); 18 - ვილია (ბარსელონა), როსი (ვილიარეალი); 17 - აგუერო (ატლეტიკო); 16 - ფ. ლორენტე (ბილბაო), სოლდადო (ვალენსია).

სეგუნდა დივიზიონი

XXXVI ტური

ვალიადოლიდი-ბარსელონა B 2:1
გოლები: 1:0 გუერა (52), 1:1 ბარახა (62), 2:1 გუერა (90)
გაძევება: კარმონა (69. ბარსელონა)

სალამანკა-ელჩე 5:4
გოლები: 1:0 ხუანხო (23), 1:1 ანხელი (24), 1:2 ანხელი (34), 2:2 მორატონი (39), 2:3 დ. სანჩესი (58), 2:4 ხ. პერეირა (61), 3:4 ტ. გარსია (68), 4:4 მორატონი (75), 5:4 ჯ. ლოპესი (81)
გაძევება: მორატონი (90. სალამანკა)

უელვა-კორდობა 2:1
გოლები: 0:1 შარლესი (3), 1:1 მარტინი (55), 2:1 უსერო (90)

ვილიარეალი B-ხიმნასტიკი 0:2
გოლები: 0:1 ფელიპე (90), 0:2 მიკი (90)
გაძევება: ხაუმე (87. ვილიარეალი)

ალგასეტე-კარტახენა 1:2
გოლები: 0:1 ტოჩე (31), 1:1 ტატო (55), 1:2 ვიქტორი (65)

პონფერადინა-ხერესი 1:2
გოლები: 1:0 საისარი (41), 1:1 ბერმეხო (57), 1:2 ბერმეხო (72)

ლას პალმასი-სელტა 1:1
გოლები: 0:1 დე ლუკასი (45), 1:1 ხორხე (70)
გაძევება: გომესი (90. ლას პალმასი)

ალკორკონი-უესკა 0:1
გოლი: 0:1 რობერტო (73)

ბეტისი-ნუმანსია 4:1
გოლები: 1:0 რ. კასტრო (10), 1:1 ხაიო (21), 2:1 ჯ. პერეირა (46), 3:1 რ. კასტრო (67), 4:1 რ. კასტრო (80)

ხირონა-რაიო ვალეკანო 1:3
გოლები: 1:0 სერა (30), 1:1 სუსაეტა (64), 1:2 დელიბაშიჩი (74), 1:3 არმენტეროსი (90)

გრანადა-ტენერიფე 2:1
გოლები: 0:1 სისილია (7), 1:1 იგალო (63), 2:1 დ. პრიეტო (76 ს.კ.)
გაძევება: მელი (60. ტენერიფე)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბეტისი	36	22	6	8	72-34	72
2. ვალიადოლიდი	36	21	9	6	62-39	72
3. სელტა	36	16	13	7	55-34	61
4. ბარსელონა B	36	16	10	10	68-51	58
5. გრანადა	36	15	12	9	60-42	57
6. ელჩე	36	15	12	9	43-35	57
7. ვალიადოლიდი	36	16	8	12	52-43	56
8. კარტახენა	36	15	7	14	44-51	52
9. ხერესი	36	14	9	13	51-51	51
10. უელვა	36	11	17	8	42-33	50
11. ალკორკონი	36	15	5	16	48-45	50
12. ხირონა	36	12	12	12	48-46	48
13. უესკა	36	11	15	10	32-36	48
14. ვილიარეალი B	36	14	5	17	39-51	47
15. კორდობა	36	11	12	13	48-51	45
16. ნუმანსია	36	14	3	19	51-57	45
17. ლას პალმასი	36	10	14	12	47-64	44
18. ხიმნასტიკი	36	10	12	14	31-37	42
19. სალამანკა	36	11	5	20	38-57	38
20. ალგასეტე	36	6	11	19	27-50	29
21. ტენერიფე	36	6	10	20	34-58	28
22. პონფერადინა	36	4	15	17	28-55	27

ბომბარდირები: 24 - სორიანო (ბარსელონა B); 23 - გეიხო (გრანადა), გუერა (ვალიადოლიდი); 22 - რ. კასტრო (ბეტისი); 20 - ქუინი (ალკორკონი); 19 - არმენტეროსი (რაიო ვალეკანო); 17 - დ. როდრიგესი (სელტა).

უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXIII ტური

ლილისგან ოსერს მაღლობა

მარსელი-ოსერი

შუა კვირაში "მარსელმა" "ლილის" ბოლოდროინდელი არასტაბილურობით ისარგებლა, "ნიცას" გადადებული მატჩი 4:2 მოუგო და გასულ უქმეებამდე ლიდერობა ხელთ იგდო. საკითხავი ის იყო, შეძლებდნენ თუ არა ზღვისპირელები მოპოვებულის შენარჩუნებას. ყველაფერი, ბუნებრივია, მათზე იყო დამოკიდებული, მაგრამ **დიდიე დეშამმა** და მისმა შეგირდებმა გუშინ საკუთარ კედლებში "ოსერს" ვერ აჯობეს და კვლავ მეორეობას დასჯერდნენ.

"ველოდრომზე" საკმაოდ თვალსასაჩინო სანახაობა გაიმართა, "მარსელმა" ბლომად საგოლე მომენტი ანიავა, მაგრამ ვერავინ იტყვის, "ოსერს" ქულა არ დაუმსახურებიაო. სტუმრებმა თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და მათმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო. მასპინძელთა უპირატესობა კი ვახსენეთ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მატჩის მიწურულს "ოსერის" მორიგი მწვავე კონტრიერიში კინაღამ გამარჯვების გოლით დასრულდა.

"დღევანდელი თამაშის შედეგმა გული ძალიან დაგვწყვიტა, მაგრამ ჩემპიონობისთვის ბრძოლა გრძელდება და მგონია, რომ ბოლო ტურამდე არაფერი გადაწყდება. დღევანდელი დღისთვის კი ჩემს ბიჭებს მადლობას ვუხდი. მათ გამარჯვებისთვის თავი დადეს და მიზანს მხოლოდ უიღბლობის გამო ვერ მივაღწიეთ", - განაცხადა "მარსელის" დამრიგებელმა დიდიე დეშამმა.

თუკი "მარსელს" მეტოქედ კერკეტი კაკალი ჰყავდა, "ლილი" თავისი შეხვედრის აშკარა ფავორიტი იყო – მაჩანჩალა "არლის" მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ხომ დიდი ხნის წინ დაკარგეს ელიტაში დარჩენის იმედი, ამ ცოტა ხნის წინ კი გუნდმა ოფიციალურად დაკარგა ლიგა 1-ში ადგილის შენარჩუნების შანსი.

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი "ლილის" აშკარა უპირატესობით წარიმართა. მასპინძლებმა სტუმრებისგან ქვა-ქვაზე არ დატოვეს და ცოტა მეტი მობილიზებით რომ ეთამაშათ, ორნიშნა სხვაობითაც მოიგებდნენ. სწრაფი გოლის შემდეგ "ლილი" ცოტა მოდუნდა, მაგრამ ზედ შესვენების წინ მეორეც გაიტანა, მეტოქეს თამაშის გადარჩენის ყოველგვარი იმედი მოუსპო და მეორე ტაიმში მაყურებელს უკეთესი სანახაობა შესთავაზა.

"ძალიან გვიხარია, ლიდერობა რომ დავიბრუნეთ. გასაგებია, რომ დღეს არცთუ ძლიერი მეტოქე გვყავდა, მაგრამ პირველ ადგილს სეზონის განმავლობაში ნაჩვენები შედეგებითაც ვიმსახურებთ. კარგია ისიც, რომ გავიუმჯობესეთ გატანილ-მიღებული ბურთების ბალანსი. შესაძლოა, სეზონის ბოლოს ამასაც დიდი მნიშვნელობა მიეცეს. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ "ლილი" ჩემპიონობას იმსახურებს", - თქვა ნამატჩევს "ლილის" თავკაცმა **რუდი გარსიამ**, რომელსაც მეორე დღეს "მარსელმა" და "ოსერმა" კარგი საჩუქარი გაუკეთეს და "ლილი" ცხრილის სათავეში მხოლოდ ერთი დღით კი არა, ერთი კვირით მოექცა. არც ისაა გამორიცხული, ჩემპიონატის დასასრულამდეც...

"ლილმა", რომელმაც ბოლო დროს სერიოზული ჰანდიკაპი გაანიავა, მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, ტრავმირებული **მუსა სოვის** გარეშე ითამაშა და ნინა ხაზში პრობლემები მაინც არ შეჰქმნია. თუმცა სჯობს, უფრო შორსმიმავალი დასკვნები შემდეგი მატჩებისას გავაკეთოთ, "არლის" განადგურება ხომ ამ სეზონში კიდევ არაერთმა გუნდმა შეძლო.

ამ ტურამდე "ლიონს" ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი ჩემპიონობის მცირე შანსი, მაგრამ **კლოდ პიუელის** გუნდი ტულუზში დამარცხდა და ართუ ოქროს მედლებზე ოცნებას დაემშვიდობა, ჩემპიონთა ლიგაზე გასვლაც სათუო გაიხადა. შეგახსენებთ, უპრესტიჟულეს ევროტურნირზე საფრანგეთიდან სამი გუნდი გადის. "ლიონმა" "პარი სენ ჟერმენს" წამოწევის საშუალება მისცა, მომავალ ტურში კი "მარსელს" მასპინძლობს და ტურის ცენტრალური მატჩიც ესაა – ფრე ხელს არავის აძლევს და შესაბამისად, "სტად ჟერლანზე" კარგ სანახაობას უნდა ველოდოთ.

"ლიონს" "ტულუზთან" თამაშის გადასარჩენად ცდა არ დაუკლია, მაგრამ სტუმრებმა თამაში გადაჭარბებული მონდომების გამოისობით ცხრა კაცის შემადგენლობით ჩაამთავრეს. შემდეგ ტურში **ბასტოსისა** და **სისოხოს** სრულფასოვანი შეცვლა იოლი არ უნდა იყოს.

"ლიონისა" და პსჟ-ის გარდა, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსს ინარჩუნებს "რენი", თუმცაღა "ბორდოსთან" ვერმოგებამ **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდი, რომელიც კვირების წინ გაცილებით მეტზე აცხადებდა პრეტენზიას, კონკურენტებს კიდევ უფრო დაუაშორა. "რენის" ბოლო მატჩების სტატისტიკასა და გაჭიანურებულ მოუგებელ სერიას თუ გავითვალისწინებთ, მისი საჩემპიონთალიგო შანსები ძალიან უიმედოდ მოჩანს...

სამაგიეროდ, აშკარაა პარიზელთა პროგრესი, რომელთაც ბოლო ხუთ მატჩში ოთხ გამარჯვებას მიაღწიეს, დაუმარცხებელი სერია კი უფრო შთამბეჭდავი აქვთ. სეზონის პირველი ნახევარი უფრო მაღალ დონეზე რომ ჩაეტარებინა, პსჟ ჩემპიონობის რეალური კანდიდატი იქნებოდა.

"არლის" კვალად, ქვედა ლიგის საგზურს მალე გამოუწერენ "ლანსსაც", რომელმაც შაბათს, როგორც ჩანს, ელიტაში დარჩენის ბოლო შანსი გაანიავა. რაც შეეხება მესამე უიღბლოს, იგი ალბათ ბოლო ტურამდე არ გაირკვევა. ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე დაქვეითების საფრთხე ერთბაშად რვა გუნდს ემუქრება და კაცმა არ იცის, რა მოხდება ფინიშზე.

ლევან ჯანეზაშვილი

მომდევნო ტური:

7 მაისი: არლი-სენტ ეტიენი, ოსერი-მონპელიე, ბორდო-სოში, ბრესტი-ნიცა, კაენი-ლანსი, ლორიანი-ტულუზი, მონაკო-პსჟ, ნანსი-ლილი;

8 მაისი: ვალანსიენი-რენი, ლიონი-მარსელი.

ლანსი-ლორიანი 2:3

გოლები: 0:1 გამეირო (20), 1:1 დემონი (34), 2:1 ედუარდო (35), 2:2 გამეირო (83), 2:3 ამალფიტანო (90. პენ.)

ლილი-არლი 5:0

ლილი: ლანდრო, დებუში (75. ემერსონი), ბერია, რამი, შეჯუ (22. როზენალი), მავუბა (86. გუეიე), კაბაიე, ჟერვინიო, ობრანიაკი, აზარი, ტულიო.

გოლები: 1:0 ჟერვინიო (5), 2:0 ჟერვინიო (45), 3:0 დებუში (49), 4:0 კაბაიე (84), 5:0 როზენალი (89)

გაძევება: კორესე (57. არლი)

სოშო-ნანსი 1:0

გოლი: 1:0 ბუტინი (11)

პსჟ-ვალანსიენი 3:1

პსჟ: ბეტე, სეარა, ტიენე, არმანი, სახო, ბოდმერი (70. კლემანი), მაკელელე, შანტომი, ნენე (90. ს. ტრაორე), ჟიული (70. ბაბეკი), ოარო.

გოლები: 1:0 ნენე (10), 2:0 ბოდმერი (23), 2:1 გ. პუჟოლი (44), 3:1 სახო (88)

მარსელი-ოსერი 1:1

მარსელი: მანდანდა, ფანი, ტაივო, დიავარა, ჰაინცე, ე. სისე, ბენ. შეირუ (62. კაბორი), ლ. გონსალესი, ა. აევუ, ჯ. აევუ, ვალბუენა.

გოლები: 1:0 ვალბუენა (56), 1:1 იუნგი (77)

ნიცა-კაენი 0:4

გოლები: 0:1 ჰამუმა (34), 0:2 მოლო (45), 0:3 ჰამუმა (89), 0:4 ელ არაბი (90)

გაძევება: სიველი (45. ნიცა)

ტულუზი-ლიონი 2:0

ლიონი: ლორისი, რევეიერი, ა. სისოხო, დიაკატე (79. ლაკაზეტი), ლოვრენი, კალსტროომი (46. გომისი), გონალონი, ბასტოსი, დელგადო, გურკუფი (62. კლემანი), ლისანდრო ლოპესი.

გოლები: 1:0 ჩეტო (28), 2:0 ა. სისოხო (68. ს.კ.)

გაძევება: ბასტოსი (63. ლიონი), ა. სისოხო (86. ლიონი)

სენტ ეტიენი-მონაკო 1:1

გოლები: 1:0 პაიე (11), 1:1 ველქამი (30)

გაძევება: ჭურზავა (59. მონაკო)

მონპელიე-ბრესტი 0:0

რენი-ბორდო 0:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ლილი	33	17	12	4	59-31	63
2. მარსელი	33	17	11	5	51-30	62
3. ლიონი	33	15	11	7	55-33	56
4. პსჟ	33	15	11	7	50-34	56
5. რენი	33	14	10	9	33-36	52
6. ლორიანი	33	12	11	10	42-39	47
7. სოშო	33	13	7	13	48-40	46
8. ბორდო	33	10	15	8	40-35	45
9. სენტ ეტიენი	33	11	12	10	41-50	45
10. მონპელიე	33	11	11	11	29-36	44
11. ტულუზი	33	12	6	15	34-35	42
12. ბრესტი	33	10	11	12	34-37	41
13. ვალანსიენი	33	8	15	10	38-37	39
14. მონაკო	33	8	15	10	33-33	39
15. ოსერი	33	7	18	8	37-38	39
16. კაენი	33	10	9	14	40-47	39
17. ნიცა	33	9	12	12	27-41	39
18. ნანსი	33	10	8	15	32-45	38
19. ლანსი	33	6	12	15	32-51	30
20. არლი	33	1	11	21	16-63	14

ბომბარდირები: 21 – სოვი (ლილი), 20 – გამეირო (ლორიანი), 16 – ელ არაბი (კაენი), 15 – ლ. ლოპესი (ლიონი), გ. პუიოლი (ვალანსიენი).

შოტლანდიის პრემიერლიგა

XXXV ტური

მოზერუელი-რეინჯერსი 0:5

გოლები: 0:1 ლეფერტი (18), 0:2 დევისი (51), 0:3 იელავიჩი (64), 0:4 ნეისმითი (76), 0:5 ნეისმითი (90)

აბერდინი-ინვერნესი 1:0

გოლები: 1:0 პოულეტი (75)

ჰიბერნიანი-სტ. ჯონსტონი 1:2

გოლები: 1:0 სოდიე (23), 1:1 კრეიგი (74), 1:2 მუნი (90)

კილმარნოკი-ჰარტსი 2:2

გოლები: 1:0 ფაულერი (54), 1:1 სკაცელი (67), 1:2 პასკალი (76 ს.კ.), 2:2 აქარდი (86)

სელტიკი-დანდი 4:1

გოლები: 1:0 ჰუპერი (23), 2:0 კაიალი (54), 3:0 კომონსი (85), 3:1 რასელი (90), 4:1 მერფი (90)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რეინჯერსი	35	27	3	5	77-28	84
2. სელტიკი	34	26	5	3	74-19	83
3. ჰარტსი	35	18	9	8	52-36	63
4. დანდი	35	15	10	10	49-47	55
5. კილმარნოკი	35	13	9	13	51-47	48
6. მოზერუელი	36	13	6	16	39-51	45
7. ინვერნესი	34	10	11	13	44-41	41
8. ჰიბერნიანი	35	10	7	18	38-55	37
9. სტ. ჯონსტონი	35	9	10	16	20-43	34
10. აბერდინი	35	10	5	20	36-55	35
11. სტ. მირენი	34	7	8	19	32-55	29
12. ჰემილტონი	34	3	11	20	21-56	2

ბომბარდირები: 21 – მილერი (რეინჯერსი); 17 - ჰუპერი (სელტიკი); 16 - გუდვილი (დანდი); 15 - სემონი (კილმარნოკი), სტოკსი (სელტიკი); 14 - ჰიგდონი (სენტ მირენი); 13 - იელავიჩი (რეინჯერსი), რუნი (ინვერნესი), სკაცელი (ჰარტსი); 12 – ბლექმენი (აბერდინი), 10 - ნეისმითი (რეინჯერსი), რიორდანი (ჰიბერნიანი), სატონი (მოზერუელი); 9 - ვერნონი (აბერდინი); 8 - ჰემილი (კოლმარნოკი), ელიოტი (ჰარტსი). *კენი მილერი 2011 წლიდან „ბურსასფორში" გადავიდა, ხოლო კონორ სემონი „უიგან ატლეტიკში".*

ილია ბაბუნაშვილი

თურქეთი. სუპერლიგა

XXXI ტური

სივასი-გენჩლერი 1:1

გოლები: 1:0 ნავრატილი (31), 1:1 დელიბატა (63)

კასიმფაშა-კონია 2:2

გოლები: 1:0 ჩოლაქი (21), 1:1 სედეფი (67), 2:1 მარტინი (75), 2:2 რობაკი (90)

ანთალია-ბუკა 3:3

გოლები: 0:1 მენდი (5), 1:1 ათესი (16-პენ), 1:2 მ. აიდინი (49), 1:3 ოზგენი (70), 2:3 ჩიჰანი (80), 3:3 ათესი (90-პენ)

გეშიძთაში-გალათასარაი 2:0

გოლები: 1:0 მეჰმეთ აურელიო (59), 2:0 სიმაო (61)

მანიშა-ესკიშეჰირი 3:1

გოლები: 1:0 კაჰე (59), 2:0 მ. ერდოღანი (69), 3:0 კაჰე (75), 3:1 იოზთურქი (83)

ფენერბაჰჩე-გუიუძთეჰირი 2:0

გოლები: 1:0 შტოხი (2), 2:0 ალექსი (45)

ტრაბზონი-გაზიანთეფი 3:0

გოლები: 1:0 ბ. ილმაზი (24), 2:0 ბროძეკი (36), 3:0 ბ. ილმაზი (44)

ძაისერი-ბურსა 1:0

გოლი: 1:0 სანტანა (52)

ანკარაგიუჯუ-ძარაგიუძი დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ფენერბაჰჩე	31	23	4	4	73:31	73
2. ტრაბზონი	31	22	7	2	60:21	73
3. ბურსა	31	15	10	6	46:26	55
4. გაზიანთეფი	31	15	7	9	41:32	52
5. გეშიძთაში	31	13	8	10	47:35	47
6. ძაისერი	31	13	8	10	40:38	47
7. ესკიშეჰირი	31	11	11	9	35:35	44
8. გუიუძთეჰირი	31	12	4	15	38:41	40
9. ძარაგიუძი	30	11	7	12	44:47	40
10. ანკარაგიუჯუ	30	10	9	11	49:52	39
11. მანიშა	31	12	3	16	45:49	39
12. ანთალია	31	9	11	11	36:43	38
13. გენჩლერბირ.	31	9	10	12	39:46	37
14. გალათასარაი	31	11	4	16	33:43	37
15. სივასი	31	8	9	14	38:51	33
16. ბუკა	31	6	7	18	31:56	25
17. კონია	31	4	11	16	26:44	23
18. კასიმფაშა	31	5	8	18	30:61	23

ბომბარდირები: 21 - ალექსი (ფენერბაჰჩე); 15 - ბ. ილმაზი (ტრაბზონი), ნიანგი (ფენერბაჰჩე); 14 - ემენიკე (ქარაბიუქი).

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXXV ტური

პაცინიმ ფიესტა გაიმართა

თუმცა სკუდეტო კიდევ უფრო ახლოა

ჯამპაოლო პაცინიმ არ მისცა "მილანს" იმის საშუალება, რომ სკუდეტო ამავე უქმეებზე, "სან სიროს" პრაქტიკულად გადაჭედილი ტრიბუნების ფონზე ეზეიმა. დიახ, "ინტერმა" სწორედ „პაცოს" გოლების წყალობით მოიგო თავისი შეხვედრა "ჩეზენასთან" და "შავ-წითელთა" ტრიუმფი როგორც მინიმუმ ერთი კვირით გადადო.

"ჩეზენამ" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია "ინტერს" და ძალიან ახლოს იყო არა თუ ქულასთან, არამედ გამარჯვებასთანაც კი. მსაჯის მიერ დამატებული მეორე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **იგორ ბუდანის** გოლით მასპინძლები იგებდნენ შეხვედრას და იმდენი მოახერხეს, რომ დარჩენილ სამ წუთში დამარცხდნენ (!!!). პირველი გოლი პაცინიმ ფეხით გაიტანა, მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს მიმართულება შეუცვალა და ბადეში გაახვია – რაც შეეხება გამარჯვების გოლს, ჩაწოდება უკვე მარჯვენა ფრთიდან გაკეთდა და ამ შემთხვევაში, ჯამპაოლომ უკვე თავური დარტყმით დაამწუხრა მასპინძელთა კიპერი. ნამატჩევს, პაცინი შესანიშნავ განწყობაზე იყო:

"ძალიან გვინდოდა ამ შეხვედრის მოგება და ბედნიერი ვარ, რომ საწადელს მივაღწიეთ. ამით ორი კურდღელი დავიჭირეთ, მეორე ადგილი შევინარჩუნეთ სატურნირო ცხრილში და "მილანს" მივეცით სკუდეტოს მოპოვების საშუალება. უკვე არაერთხელ ითქვა და მეც ვიტყვი, რომ იქამდე ვიბრძოლებთ სკუდეტოსთვის, სანამ თუნდაც მიზერული შანსი გვექნება. რაც შეეხება ჩემს გოლებს, უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან 40-დღიანი მშრალი სერია შევწყვიტე და ყველაზე ცუდი უკან მოვიტოვე. იმედია, დარჩენილ სამ შეხვედრაშიც არ შევირცხვენ თავს და გუნდს ქულათა მაქსიმუმის მოპოვებაში დავეხმარები".

ტრადიციულად, კომენტარი გააკეთა **ხავიერ ძანეტიმაც** და აღნიშნა, რომ ამ "ინტერს" სასწაულების მოხდენა შეუძლია - ეს არაერთხელ დავამტკიცეთ და გამომდინარე აქედან, არც სკუდეტოს მოპოვებაზე ჩაგვიქნევია ხელიო. მოკლედ, კაპიტანი ყველანაირად ცდილობს, რომ გუნდის საბრძოლო განწყობა აამაღლოს და ალბათ, სწორადაც იქცევა.

შაბათს გამართა თავისი შეხვედრა "ნაპოლიმ" და ზედიზედ განცდილი ორი მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, გაიმარჯვა. **ვალტერ მაძარის** შეგირდებმა "ჯენოა" დაამარცხეს საკუთარ მოედანზე და პრაქტიკულად გაინაღდეს კიდეც ადგილი ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში. ერთადერთი გოლი **მარეკ ჰამშიკის** ანგარიშზეა, რომელსაც იმდენი მომენტი ჰქონდა, რომ ჰეთთრიკის შესრულებაც თავისუფლად შეეძლო. ზოგადად, "ნაპოლი" ბევრს უტევდა, ძალიან ბევრს და ამან შედეგი მატჩის დასრულებამდე ათიოდე წუთით ადრე გამოიღო. ტრადიციულად, "ნაპოლის" მხურვალე გულშემატკივრობა ჰქონდა და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მაძარიმ ტიფოზებს მადლობა გადაუხადა – თუმცა, იქვე ისეთი რამ თქვა, რომ იმავე გულშემატკივრებს მაინცდამაინც არ ესიამოვნებოდათ:

"სეზონი მართლაც ფანტასტიკურია და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. ერთი ხანობა, სკუდეტოც კი დავიჯერეთ, მაგრამ ეს უფრო ოცნება იყო, ვიდრე რეალობა – აი, ჩემპიონთა ლიგა კი მართლაც მიზანი იყო და ამ მიზანს აუცილებლად შევწვდებით. დიახ, კლუბთან სეზონის დასრულებისთანავე მისრულდება კონტრაქტი, მაგრამ დღეს თანამშრომლობის გაგრძელებაზე საუბარი ადრეა. ჯერ სეზონი უნდა დასრულდეს, დავჯდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ. თუ ჩვენი აზრები დაემთხვევა ერთმანეთს და ისეთივე ერთსულოვნები ვიქნებით როგორც გასულ ზაფხულს, მაშინ ახალ კონტრაქტს უპრობლემოდ გავაფორმებთ. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, დღეს ამაზე საუბარი ადრეა".

აი, ასეთი მოულოდნელი განცხადება გააკეთა მაძარიმ და იტალიურ პრესაში უკვე აქტიურად დაიწყეს საუბარი მისი "იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელად შესაძლო დანიშვნის შესახებ. **ლუიჯი დელ ნერი** რომ დატოვებს ტურინს, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია და ისიც არ არის საიდუმლო, რომ "ბიანკონერის" მესვეურები ახალ მწვრთნელს ეძებენ. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

"უდინეზემ" კიდევ ერთხელ წააგო და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გუნდს ჩავარდნა აქვს. **ფრანჩესკო გვიდოლინის** შეგირდები ფლორენციაში შერცხვნენ, სადაც უმოტივაციო "ფიორენტინასათან" დიდი ანგარიშით წააგეს. გოლების აღწერას აღარ მოვყვებით – მთავარი სათქმელი აქ ის არის, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდი ასე არ უნდა ანიავებდეს ქულებს.

პაცინიმ დუბლი შეასრულა

ეს შესანიშნავი შანსია "ლაციოსთვის", რომ გაზარდოს უპირატესობა მდევართან და ოთხეულში მყარად დაიმკვიდროს ადგილი. "ბიანკოჩელესტე" თავის შეხვედრას დღეს გამართავს "იუვენტუსთან" და ვნახოთ, რა ბედს ეწევა...

სანამ "მილანის" გამარჯვებაზე ვიტყოდეთ, გენუაში გამართულ შეხვედრაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. "სამპდორიამ" "ბრეშა" მიიღო, ანუ, ერთმანეთის პირისპირ ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლი უშუალო კონკურენტები წარდგნენ. შეხვედრა ორმხრივ იერიშებში ნარიმართა, თუმცა გამარჯვებასთან უფრო ახლოს სტუმრები იყვნენ. **ანდრეა კარაჩოლოს** შესანიშნავი თამაშის წყალობით, "ბრეშა" უკანასკნელ წუთამდე უგებდა "სამპდორიას", მაგრამ სწორედ მსაჯის მიერ კომპენსირებულ წუთზე გაუშვა გოლი და მხოლოდ ქულას დასჯერდა. დიდია შანსი, **მანინისგან** მიღებული გოლი "ბრეშას" სერია B-ში დაქვეითებად დაუჯდეს.

და მივადექით "მილანს", გუნდს, რომელსაც კიდევ ერთი ქულა სჭირდება იმისთვის, რომ ნანატრი სკუდეტო მოიპოვოს. დიახ, ნანატრი, რადგან ბოლო წლებში შეუცვლელი ჩემპიონი "როსონერის" თანაქალაქელი და მთავარი კონკურენტი "ინტერი" გახლდათ. "შავ-წითლებს" ეტყობათ, რომ ძალიან ახლოს არიან რაღაც განსაკუთრებულთან – აშკარად ნერვიულობენ, რაც "ბოლონიასთან' მატჩში თვალსაჩინო გახლდათ. მასპინძელთა თამაშში საკმაოდ დიდი იყო ტექნიკური წუნი, რომელსაც უფრო ძლიერი და უფრო მოტივირებული მეტოქე გაცილებით უკეთ გამოიყენებდა. "ბოლონიამაც" გამოიყენა, არც კი უბრძოლიათ ხეირიანად და მხოლოდ მინიმალური სხვაობით წააგეს, რაც საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს. განსაკუთრებული იყო **მატიო ფლამინის** ერთადერთი გოლი – რამდენი ხანია "როსონერის" რიგებშია ფრანგი შუახაზელი და მისი შესრულებით, მსგავსი არაფერი გვინახავს: მეტოქის საჯარიმოში შეირბინა, პასი დროულად მიიღო და მცველის პირისპირ აღმოჩნდა, მარჯვნივ გაუგდო ბურთი, თვითონ მარცხნიდან შემოურბინა ელვის სისწრაფით და უძლიერესად დაარტყა – მეკარემ მოასწრო რეაგირება და უკუაგდო ბურთი, თუმცა წამგებიანი პოზიციის მიუხედავად, ყველას ისევ ფრანგმა დაასწრო და გამარჯვების გოლი გამოჭედა, 1:0. ბრავო ფლამინი, ასეთები თუ შეეძლო, არც კი ვიცოდით... ერთი სიტყვით, "მილანმა" ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა და მომდევნო ტურში "რომას" საჩემპიონო განწყობით ესტუმრება.

ლაშა წიკლაური

მომდევნო ტური:

7 მაისი: პალერმო-ბარი, რომა-მილანი;

8 მაისი: ბრეშა-კატანია, კალიარი-ჩეზენა, უდინეზე-ლაციო, ბოლონია-პარმა, ინტერი-ფიორენტინა, ლეჩე-ნაპოლი, ჯენოა-სამპდორია;

9 მაისი: იუვენტუსი-კიევო.

პოლანდია

ერედივიზიონი. XXXIII ტური

ალკმაარი-დე გრაააფშხაპი 5:1

გოლები: 1:0 სიგტორსონი (16), 2:0 პოლმანი (45), 3:0 სიგტორსონი (52), 4:0 პელე (66), 5:0 პელე (71), 5:1 იუნგშლაგერი (83).

დენ ჰააგი-გრონინგენი 2:4

გოლები: 0:1 ანდერსონი (13), 1:1 ბულიკინი (25), 1:2 სტენმანი (28), 2:2 ბულიკინი (42), 2:3 ანდერსონი (52), 2:4 ჰაირი (85).

ექსელსიორი-უტრეხტი 3:1

გოლები: 1:0 რურდა (24), 2:0 ბერგკამპი (30), 3:0 რურდა (64), 3:1 დემიჯი (86).

ტვენტე-ვილემი 4:0

გოლები: 1:0 ჯონი (39), 2:0 დუგლასი (50), 3:0 ჯელინი (63-საკ. კარში), 4:0 იანსენი (77-პენ.).

ბრედა-ჰერაკლესი 1:2

გოლები: 1:0 ამოა (17), 1:1 ფილენდერუსი (69), 1:2 პლედი (73).

ნიიმეგენი-როდა 5:0

გოლები: 1:0 ვლემინკი (18), 2:0 ამიე (28), 3:0 ვლემინკი (55), 4:0 ვლემინკი (69), 5:0 ვლემინკი (90).

პსვ-ვიტესი 2:1

გოლები: 1:0 ბერგი (36), 2:0 მარსელო (63), 2:1 ფერპეტო (78).

ჰეერენვეენი-აიაქსი 1:2

გოლები: 1:0 ვაირონენი (19), 1:1 სულეიმანი (20), 1:2 ერიკსენი (46).

ვენლო-ფეიენოორდი 3:2

გოლები: 1:0 მუსა (34), 1:1 ვინალდუმი (66), 2:1 მუსა (70), 2:2 კასტაიონსონი (74), 3:2 უჩებო (77).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ტვენტე	33	21	8	4	64-31	71
2. აიაქსი	33	21	7	5	69-29	70
3. პსვ	33	20	8	5	79-34	68
4. ალკმაარი	33	17	8	8	54-39	59
5. გრონინგენი	33	17	5	11	65-52	56
6. როდა	33	14	12	7	65-50	54
7. დენ ჰააგი	33	16	6	11	63-52	54
8. ჰერაკლესი	33	13	7	13	62-56	46
9. უტრეხტი	33	12	8	13	50-50	44
10. ფეიენოორდი	33	12	7	14	52-53	43
11. ნიიმეგენი	33	10	12	11	56-55	42
12. ჰეერენვეენი	33	10	10	13	60-54	40
13. ბრედა	33	11	5	17	43-60	37
14. ვიტესი	33	9	8	16	41-57	35
15. დე გრაააფშხაპი	33	8	11	14	30-56	35
16. ექსელსიორი	33	9	5	19	41-65	32
17. ვენლო	33	6	3	24	34-75	21
18. ვილემი	33	3	6	24	37-97	15

ბომბარდირები: 23 – ვლემინკი (ნიიმეგენი); 21 – ბულიკინი (დენ ჰააგი); 20 – იანკერი (როდა); 16 - მატავეი (გრონინგენი), ჯუჯაკი (პსვ); 15 – ევერტონი (ჰერაკლესი), ტოვონენი (პსვ).

ჩეზენა-ინტერი 1:2

ჩეზენა (4-4-2): ანტონიოლი – ფონ ბერგენი, პელეგრინი, სამარკო, ლაური – ხიმენესი, პაროლო, კაზერტა, ჩეკარელი (83. პიანჯერელი) – ჯაკერინი (73. ბენალუანე), ბუდანი (77. მალონგა).

ინტერი (4-3-1-2): ფულიო სეზარი - მაიკონი, რანოკია, ლუსიო, ნაგატომო – ძანეტი, კამბიასო, ტიაგო მოტა (64. მარიგა) – პანდევი (59. პაცინი) – ეტოო, მილიტო.

გოლები: 1:0 ბუდანი (56), 1:1 პაცინი (90), 2:1 პაცინი (90).

გაფრთხილება: კაზერტა, ჩეკარელი, ბუდანი – ლუსიო, მარიგა.

გაფრთხილება: 3-2; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 11-11; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 7(2)-9(5); **ბურთის ფლობა:** 40%-50%.

მაყურებელი: 16 000

ნაპოლი-ჯენოა 1:0

ნაპოლი (4-3-2-1): დე სანკტისი - დოსენა, აროლიკა, კანავარო, კამპანიარო (90. სანტაკროჩე) – პაციენცა (60. იენდა), გარგანო, მაჯო – ჰამშიკი (86. მარესკა), ლავეზი – კავანი.

ჯენოა (4-4-2): ედუარდო – რაფინია, მორეტი, **კალაძე**, კონკო (66. დესტრო) – კუჩკა, ანტონელი, კრიშიტო, მესტო (73. პოლენტა) – ფლორო ფლორესი, პალასიო (78. იელენიჩი).

გოლი: 1:0 ჰამშიკი (83).

გაფრთხილება: რაფინია – გარგანო, მასკარა.

გაფრთხილება: 1-2; **კუთხური:** 14-6; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 19(5)-9(1); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

მაყურებელი: 46 000

მილანი-ბოლონია 1:0

მილანი (4-3-1-2): აბიატი – აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, ძამბროტა – ამბროზინი, ფლამინი, ბოატენგი (81. პირლო) – ზეედორფი – რობინიო, კასანო (86. ბერეტა).

ბოლონია (4-3-1-2): ვივიანო – ბრიტოსი, პორტანოვა, რუბინი (54. რამირესი), ჩერუბინი – მორასი, მუდინგაი, ეკდალი (71. ხიმენესი) – მუტარელი – მეჯორინი (54. დელა როკა), დი ვაიო.

გოლი: 1:0 ფლამინი (8).

გაფრთხილება: ბოატენგი – ვიავიანო, მუტარელი, მუდინგაი, მეჯორინი.

გაძევება: დელა როკა (82).

გაფრთხილება: 1-4; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 11(4)-5(1); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

მაყურებელი: 75 000

კატანია-კალიარი 2:0

კატანია (4-2-3-1): ანდუხარი – სილვესტრი, ალვარესი, სპოლი, კაპუანო – ისკო, გომესი (71. შელოტო) – ბერგესიო, ლედესმა (62. ლოდი), კარბონი - მაქსი ლოპესი (78. პოტენცა).

კალიარი (4-3-2-1): აგაცი – პერიკო (88. ლანერი), კანინი, ასტორი, აგოსტინი – ბიონდინი, ნაინგოლანი, ლაძარი – კონტი (80. რაგაცუ), კოსუ – აკვაფრესკა (63. მისიროლი).

გოლი: 1:0 სილვესტრი (78), 2:0 ბერგესიო (82).

გაფრთხილება: სილვესტრი, ლედესმა – ასტორი, კოსუ.

გაძევება: ალვარესი (74).

გაფრთხილება: 2-2; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 10(3)-8(1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

მაყურებელი: 13 000

კიევო-ლეჩე 1:0

კიევო (4-3-1-2): სორენტინო - სარდო, ცეზარი, ანდრეოლი, მანტოვანი - ფერნანდესი, კონსტანტი (79. მარკიონი), რიგონი – ბოლიაჩინო (70. მორერო) - პელისიერი, მოსკარდელი (76. თერეუ).

ლეჩე (4-5-1): როზატი – ტომოვიჩი, ფერარიო, ფაბიანო, ბრივიო (70. პიატი) – მუნარი, მესბა, ოლივერა (83. ჩეკანტონი), ჯაკომაცი (61. კორვია), ვიესი - დი მიკელე.

გოლი: 1:0 რიგონი (58).

გაფრთხილება: ფერნანდესი, რიგონი – ვიესი.

გაფრთხილება: 2-1; **კუთხური:** 3-10; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 11(4)-8(2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 12 000

ფიორენტინა-უდინეზე 5:2

ფიორენტინა (4-3-1-2): ბორუჩი – დე სილვესტრი, გამბერინი (88. ნატალი), კროლდრუპი, პასკუალი – მონტოლივო, ბეჭარამი, დიგოსტინო (89. გულანი) – ვარგასი (79. მარკიონი) – ჩერჩი, ჯილარდინო.

უდინეზე (4-3-1-2): ჰანდანოვიჩი – ბენეტია, ზაპატა, კოდა (8. ანჯელა), პასკუალე – ისლა, კუადრადო (83. ვედრა), პინეი - ასამოა – დი ნატალე, აგიემანგი (39. დენისი).

გოლები: 1:0 ვარგასი (9), 2:0 დიგოსტინო (21), 2:1 პინეი (29), 3:1 დიფოსტინო (51), 3:2 ასამოა (57), 4:2 ჩერჩი (71), 5:2 ჩერჩი (86).

გაფრთხილება: მონტოლივო – ბენეტია, კუადრადო, აგიემანგი.

გაფრთხილება: 1-3; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 17-21; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 15(7)-10(5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 24 000

პარმა-პალერმო 3:1

პარმა (4-4-2): მირანტე (30. პავანი) – პალეტა, ლუკარელი, ჯემაილი, ფელტჩერი – მორონე, მოდესტო, გობი, ვალიანი – ჯოვინკო (77. კანდრევა), კრესპო (69. ბოჟინოვი).

პალერმო (4-3-1-2): სირიგუ – კასანი, მუნოზი, გუანა, ბალეკარტი – მილიაჩო, ნოჩერინო, ბასინოვიჩი (46. პინილია) - პასტორე – ერნანდესი, ილიჩიჩი (46. აკვა).

გოლები: 1:0 ჯემაილი (2), 2:0 მოდესტო (18), 2:1 პასტორე (56), 3:1 კანდრევა (89).

გაფრთხილება: 0-0; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 8-12; **თამაშგარე:** 13-1; **კარში დარტყმა:** 11(5)-13(6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 15 000

სამპდორია-ბრეშა 3:3

სამპდორია (4-4-2): კურჩი – ციგლერი, ძაური, ლუკინი, გასტალდელო - პალომბო, მანინი, ტისონე, ლეტკო (59. გუბერტი) – პოცი (84. მაკედა), ბიბიანი (66. მაკარონე).

ბრეშა (3-5-2): არკარი – ძობოლი (79. ძენნა), ძამბელი, ბეგა – ბერარდი, ა. ფილიპინი (64. ვასი), ბაიოკო (75. კონე), ჰეტემაი, დიამანტი – ედერი, კარაჩოლო.

გოლები: 0:1 ედერი (50), 1:1 პოცი (55), 1:2 კარაჩოლო (58), 2:2 ტისონე (78), 2:3 კარაჩოლო (82), 3:3 მანინი (90).

გაფრთხილება: ლეტკო, პოცი – ბერარდი, ჰეტემაი.

გაფრთხილება: 2-2; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 16-24; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 13(7)-5(4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

მაყურებელი: 24 000

ბარი-რომა 2:3

ბარი (4-4-2): [illegible] – ბენტივოლიო – ჰუსეკლეპი (82. როსი), რომერო (80. ალვარესი).

რომა (4-2-3-1): დონი – კასეტი (89. როსი), ჟუანი, 6. ბურდისო, რიისე – პიზარო, დე როსი – პეროტა, ვუჩინიჩი (54. ტადეი), მენეზი (46. ბორიელო) – ტოტი.

გოლები: 1:0 ბენტივოლიო (25-პენ.), 1:1 ტოტი (30), 2:1 ჰუსეკლეპი (42), 2:2 ტოტი (57-პენ.), 2:3 როსი (90).

გაფრთხილება: პარიზი, რომერო.

გაძევება: დე როსი (48), პეროტა (90) – გლეკი (79).

გაფრთხილება: 2-0; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 6(2)-11(5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 15 000

ლაციო-იუვენტუსი დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მილანი	35	23	8	4	61-23	77
2. ინტერი	35	21	6	8	62-39	69
3. ნაპოლი	35	21	5	9	55-34	68
4. ლაციო	34	18	6	10	46-32	60
5. უდინეზე	35	18	5	12	61-42	59
6. რომა	35	17	8	10	55-49	59
7. იუვენტუსი	34	14	11	9	52-42	53
8. პალერმო	35	15	5	15	53-58	50
9. ფიორენტინა	35	12	13	10	45-38	49
10. ჯენოა	35	12	9	14	38-40	45
11. კალიარი	35	12	8	15	42-46	44
12. კიევო	35	10	12	13	33-35	42
13. პარმა	35	10	11	14	37-46	41
14. კატანია	35	10	10	15	35-47	40
15. ბოლონია	35	11	10	14	34-47	40
16. ჩეზენა	35	9	10	16	33-47	37
17. სამპდორია	35	8	12	15	30-42	36
18. ლეჩე	35	9	8	18	40-61	35
19. ბრეშა	35	7	10	18	31-47	31
20. ბარი	35	4	9	22	22-52	21

ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა

ბომბარდირები: 26 – დი ნატალე (უდინეზე), კავანი (ნაპოლი); 20 - ეტოო (ინტერი); 19 - დი ვაიო (ბოლონია); 18 - მატრი (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ჰატო (მილანი), პაცინი (ინტერი).

სერია B

XXXVIII ტური

ლივორნო-ატალანტა 2:1

გოლები: 0:1 ბონავენტურა (49), 1:1 დიონისი (56), 2:1 დანილევიჩუსი (63).

ალბინოლეფე-რეჯინა 1:0-ზე შეწყდა

ასკოლი-ფროზინონე 3:1

გოლები: 1:0 ბუპოლი (3), 1:1 მასუჩი (30), 2:1 ფეშეზინი (37-პენ.), 3:1 ანტონიო (90).

ჩიტადელა-მოდენა 1:1

გოლები: 0:1 სტანკო (50), 1:1 პიოვაკარი (65).

გროსეტო-ტრიესტინა 2:0

გოლები: 1:0 სფორცინი (6), 2:0 კარიდი (35).

პორტოგრუარო-პესკარა 1:2

გოლები: 0:1 სოდიმო (9), 0:2 ბონანი (59), 1:2 ალტენერი (90).

სასუოლო-ემპოლი 1:0

გოლი: კუადრინი (2).

ტორინო-პიაჩენცა 1:1

გოლები: 0:1 გუზმანი (36), 1:1 ბიანკი (48-პენ.).

ვარეზე-პადოვა 0:0

ვიჩენცა-კროტონე 1:2

გოლები: 1:0 აბრუსკატო (28), 1:1 ვინეტოტი (47), 1:2 იურიჩი (55).

ნოვარა-სიენა 2:2

გოლები: 1:0 გონსალესი (31), 1:1 კალაიო (47), 1:2 კალაიო (59-პენ.), 2:2 ლუდი (75).

ალბინოლეფე-რეჯინა შეწყდა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სიენა	38	20	13	5	58-29	73
2. ატალანტა	38	20	11	7	51-29	71
3. ნოვარა	38	15	16	7	54-33	61
4. ვარეზე	38	14	19	5	46-28	61
5. რეჯინა	37	13	14	10	39-35	53
6. ტორინო	38	14	11	13	44-43	53
7. პესკარა	38	14	10	14	39-40	52
8. პადოვა	38	11	17	10	54-45	50
9. ლივორნო	38	12	14	12	43-42	50
10. კროტონე	38	12	14	12	42-44	50
11. ემპოლი	38	11	16	11	40-36	49
12. ვიჩენცა	38	14	7	17	40-47	49
13. მოდენა	38	10	18	10	39-44	48
14. გროსეტო	38	12	12	14	41-47	48
15. სასუოლო	38	11	12	15	37-41	45
16. ჩიტადელა	38	10	14	14	42-47	44
17 ასკოლი	38	12	13	13	37-43	43
18. ალბინოლეფე	37	11	10	16	47-56	43
19. პიაჩენცა	38	10	13	15	48-58	43
20. პორტოგრ.	38	10	10	18	35-52	40
21. ტრიესტინა	38	7	16	15	31-49	37
22. ფროზინონე	38	7	14	17	39-58	35

ასკოლის დაკლებული აქვს 6 ქულა

ბომბარდირები: 20 – პიოვაკარი (ჩიტადელა); 18 – ბიანკი (ტორინო); 17 - კაზა (პიაჩენცა); 16 – აბრუსკატო (ვიჩენცა); 15 - სუჩი (პადოვა), კორალი (ემპოლი), ბონაკოლი (რეჯინა); 14 – გონსალესი (ნოვარა); 13 – ბერტანი (ნოვარა), კუტოლო (კროტონე), კალაიო (სიენა).

სერია C1/A

ბასანო-რეჯანა 0:0, ლუმეცანე-სუდტიროლი 1:0, მონცა-ალესანდრია 2:0, პაგანეზე-სპეცია 0:1, პავია-ვერონა 1:1, პერგოკრემა-კრემონეზე 2:1, სალერნიტანა-კომო 2:0, სორენტო-გუბიო 2:1, სპალრავენა 3:0.

სერია C1/B

ბარლეტა-ჯელა 0:0, ბენევენტო-ფოჯა 4:3, კავეზეიუვე სტაბია 2:0, კოზენცა-ვიარეჯო 2:1, ლუკეზე-ლანჩანო 2:0, ნოჩერინა-ფოლინო 3:1, ტარანტო-სირაკუზა 2:2, ტერნანა-ატლეტიკო 1:2, პიზა-ანდრია გაფიშვა.

უცხოური ფეხბურთი

გერმანია

რეგიონალიგა (ჩრ)

XXX ტური

ჰამბურგი A-ხემნიცი	3:4
ვოლფსბურგი A-ჰერბა A	2:0
ალაუენი-ლიუბეკი	0:1
ლაიფციგი-კობაუსი	3:2
ვილჰელმსჰაფენ-ჰანეფერი	0:1
მაგდებურგი-ჰაველსე	1:2
ოზნაბრუკელანდი-ბოიხელფინგენი	4:1
კილი-თურინგია	8:0

რეგიონალიგა (სამ)

XXVII ტური

პოფენჰაიმი A-ფრაიბურგი A	1:1
ნიურნბერგი A-ჰასელი	1:2
აუფენლეონრეფი-ფრანკფურტი A	3:0
შბ. კიკერსი-ჰარლერუე A	2:2
მეგინგენი-ვორმატია	0:3
დარმშტადტი-ფიურთი A	3:1
ზონენჰოფი-ინგოლშტატი A	2:2

რეგიონალიგა (დას)

XXIX ტური

ბოხუმი A-მაინი A	4:2
ელვერსბერგი-ფუნსტერი	0:2
კიოლნი A-ალიზერი A	2:2
ლევერკუზენი A-ალენია A	6:2
პომბურგი-ბერერი	0:3
ფლადბახი A-ეუფერბალი	0:2
ვიდენბრუკი-დორტმუნდი A	1:3
შალკე A-ლიბე	0:1
ფერლი-ფორტუნა A	2:0

ბელგია

საჩემპიონო პლეი ოფი

სტანდარდი-ბენჩი	1:0
ანდერლეხტი-ბრუგე	0:0
ლოკერენი-ბენჩი	0:2

უეფას პლეი ოფი

A ჯგუფი

ლიერსი-სერალი	3:0
სტ. ტრუიდენი-ზულენი	2:1

B ჯგუფი

ჭარეგემი-ბეერსხოტი	1:0
კორტრეიკი-ვესტერლო	1:1

გასავარდნი პლეი ოფი

ეუენი-შარლუა	გადაიდო

ბელგია

II დივიზიონი

XXXIV ტური

რუელი-ვაალენდერ	4:2
ვიზე-ანგეელენი	3:1
მონსი-რუხელარე	3:0
ბრიუსელ-ბორინაჟი	0:0
სტანდარდ (ბ)-ჰაინაუტი	0:3
ოსტენდე-დენდერ	2:3
ეუეერლე-ლოუელ	2:0
გენაპეგი-ბერნე	1:1
გუბეკე-ბინენი	1:1

პორტუგალია

II დივიზიონი

XXVI ტური

კოვილია-ვარზიმი	1:2
ფეირენსე-ფაგიმა	2:1
არუკა-ეშტორილი	0:0
ლეიქსოეში-აველი	0:0
ფრეამენდე-ტროფენსე	1:0
მორეირენსე-ოლივეირენსე	2:0
ე�ე ვისენტე-ბელენენსეში	1:1
სანტა კლარა-ეენაფიელ	0:3

შოტლანდია

I დივიზიონი

XXXV ტური

კოუდენბეთი-სტირლინგი	1:0
დენდი-პარტიკი	3:2
ფალკირკი-როსი	0:1
მორტონი-დანფერმლინი	0:2
რეითი-ქუინი	0:1

II დივიზიონი

XXXV ტური

ეირი-ეირდრი	3:1
ისტ ფაიფი-ალოა	3:1
ფორფარი-პეტერჰედი	2:1
ლეიტონსტონი-დუმბარტონი	1:1
სტენჰაუზმური-ბრეხინი	1:3

III დივიზიონი

XXXV ტური

ალბიონი-სტრანრაერი	1:0
ანანი-არბროუთ	3:0
კლაიდი-ქუინზ პარკი	0:2
ელგინი-ბირუნსი	3:2
მონროუზი-ისტ სტირლინგი	3:0

საბერძნეთი

XII ტური

ხანიასია (ლ-ა)-ნიუელსი	1:2
ბანფილდი-კილვინი	3:4
ოლ ბოისი-არგ. ხუნიორსი	0:0
სან ლორენსო-ფრაკანი	3:0
რასინგი-რივერი	0:1
გოდოი-არსენალი	1:4
ესტუდიანტესი-ველესი	0:4
ოლიმპო-ბიგრე	გვ. დასრულდა
კოლონი-ლანუსი	გვ. დასრულდა
ბოკა-ინდეპენდიენტე	დღეს

ავსტრია

XXXI ტური

გიროლი-კაუფენბერგი	1:1
შტურმი-მაბერსბურგი	4:0
ვინერი-აუსტრია	4:2
რაიდი-ზალცბურგი	1:2
ლინცერი-რიდი	1:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შტურმი	31	16	7	8	59-30	55
2. აუსტრია	31	14	9	8	53-32	51
3. ზალცბურგი	31	13	11	7	38-25	50
4. რიდი	31	14	7	10	44-34	49
5. რაიდი	31	13	9	9	48-35	48
6. გიროლი	31	12	10	9	39-36	46
7. ვინერი	31	13	6	12	41-45	45
8. კაპფენბერგი	31	8	10	13	37-52	34
9. მატერსბურგი	31	6	8	17	25-51	26
10. ლინცერი	31	3	9	19	21-65	18

კვიპროსი

IV ტური

საჩემპიონო

აეკ-ოლიმპია	1:2
აპოელ-ანორთოსისი	0:1

უეფა

აეელ-ოლიმპიაკოსი	2:1
აპოელი-ენოსისი	3:0

გასავარდნი

აეკ-ერმისი	1:1
ეთნიკოსი-აღლი	0:3

დანია

XXVIII ტური

ოლბორგი-ბიდბიუანდი	2:0
ბრონდბი-ორესანი	0:0
კოპენჰაგენი-სონდერიისკი	3:0
სილკებორგი-რანდერსი	2:2
ლინგბიუ-ნორდსიელანდი	1:0
ოლენსე-ესბერგი	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. კოპენჰაგენი	28	23	4	1	68-22	73
2. ოდენსე	27	13	5	9	46-35	44
3. ბრონდბიუ	28	11	10	7	46-35	43
4. ბიდბიუელანდ	28	11	8	9	43-34	41
5. სილკებორგი	28	8	12	8	35-41	36
6. ორესანი	28	9	8	11	23-31	35
7. ლინგბიუ	28	8	8	12	37-47	32
8. ოლბორგი	28	7	10	11	32-39	31
9. ნორდსილანდ	28	8	7	13	32-44	31
10. სონდერიისკი	28	8	6	14	26-40	30
11. რანდერსი	28	5	14	9	34-40	29
12. ესბერგი	27	5	10	12	29-43	25

II დივიზიონი

XXV ტური

ფინი-აკადემისკი 2:3; ბრონსპაო-ვესტსილანდი 2:2; ჰობრო-კიოლდინგი 3:2; კიოგე-ვიბორგი 3:1; ჰვიდოვრე-ჰიორნინგი 4:2; აგფ ორჰუსი-სკივე 1:0; ვეიღე-როსკილდე 2:0; ნაესტვედი-ფრედერისია 0:0.

ფინეთი

II დივიზიონი

I ტური

პიფკ-ვიიკინგიერი	3:2
კპვ-პოპა	1:0
პკ 35-ჯგპ	1:0
კემი-ოპს	0:1

საბერძნეთი

II დივიზიონი

XXXII ტური

ეთნიკოსი (ა)-პანაიგოლიკოსი	0:1
იონიკოსი-დიაგორასი	2:1
პანთრაკიკოსი-ილუპოლი	3:1
კალითეა-ტრიკალა	0:2
ოფი-აგროტიკოსი	1:0
ანაგენისი-ლეველია	0:0
ეთნიკოსი (ა)-პიერიკოსი	1:0
ვერია-ტრაკეზელოსი	1:0
დოქსა-იანინა	2:0

ისლანდია

I ტური

ბრეიდაბლიკი-რეიკიავიკი — გადაიდო

დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება

ირლანდია

II დივიზიონი

IX ტური

ლონგფორდი-სლიგაილი	2:0

ბელარუსი

VI ტური

ვიტებსკი-გომელი	1:0
ბეშენკოვიჩი-ბაბუ	2:2
ზასლავლი-ბაბუ	0:2
ბორანეფო-ნაფტანი	3:2
დინამო (მნ)-ნემანი	0:1
დინამო (ბ)-დნეპრი	2:0

ბოსნია

XXIV ტური

სლობოდა-ბორაცი	1:0
ბუდუჩნოსტი-რუდარი	1:3
ქრენსკი-ოლიმპიკი	1:0
სარაევო-ქვიეზდა	2:1
ჩელიკი-ქელუნენიკარ	1:1
დრინა-შიროკი ბრიეგი	0:2
სლავია-ბრაკენიკი	1:1
ველეჟი-ლეობარი	0:2

შვედეთი

VI ტური

გაის-ელფსბორგი	0:2
ნორრბოტენი-მიალბიუ	0:3
ბრელეგორგი-ოურგორდენი	3:2
ჰელსინგბორგი-ჰაკენი	1:1
ქალმარი-სირიანსკა	2:0
აიკ-ეროებრო	დღეს
გუფლე-ჰალსტადი	დღეს
მალმიო-მიოტეგორგი	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჰელსინგბორგი	6	4	2	0	7-3	14
2. მალმიო	5	4	0	1	9-6	12
3. ნორრბოტენი	6	4	0	2	9-7	12
4. ელფსბორგი	6	3	1	2	10-6	10
5. გაის	6	3	1	2	9-6	10
6. ეროებრუ	5	3	1	1	7-5	10
7. ქალმარი	6	3	1	2	7-6	10
8. აიკ	4	2	2	0	7-2	8
9. ჰაკენი	6	2	2	2	11-7	8
10. მიოტეგორგი	5	2	2	1	7-5	8
11. მიალბიუ	6	2	1	3	5-6	7
12. ტრელეგორგ	6	2	1	3	9-14	7
13. მიოტეგორგი	5	1	0	4	4-8	3
14. ჰალსტადი	5	0	2	3	2-8	2
15. ოურგორდენი	6	0	1	5	6-12	1
16. სირიანსკა	5	0	1	4	2-10	1

II დივიზიონი

IV ტური

ჰამარბიუ-ბრაგე 1:0; ფალკენბერგი-ვასტერასი 3:4; ვარნამო-ბრომაპიოკარნა 2:1; დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება.

შვეიცარია

XXXI ტური

ბელინცონა-ციურიხი	0:1
გრასჰოპერსი-ლუცერნი	2:1
ქსამაქსი-სტ. გალენი	2:1
სიონი-ბაზელი	3:0
იანგ ბოიზი-თუნი	0:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ციურიხი	31	19	7	5	63-37	64
2. ბაზელი	31	18	8	5	64-41	62
3. სიონი	31	14	7	10	42-28	49
4. იანგ ბოიზი	31	13	9	9	55-43	48
5. ლუცერნი	31	12	8	11	55-45	44
6. თუნი	31	8	16	7	37-34	40
7. გრასჰოპერსი	31	7	10	14	35-48	31
8. ქსამაქსი	31	8	6	17	40-57	30
9. ბელინცონა	31	6	10	15	37-66	28
10. სტ. გალენი	31	7	5	19	27-56	26

ჩელენჯლიგა

XXV ტური

ბილი-სერვეტი 0:5; ნიონე-კიასო 1:0; ვადუცი-შაფჰაუზენი 1:0; ვილი-ლოკარნო 3:1; ვოლენი-არაუ 2:2; ივერდონი-კრინსი 1:2; დელემონი-ლოზანა 1:3; ლუგანო-ვინტერთური დღეს.

თურქეთი

II დივიზიონი

XXXII ტური

ადანა-რიზე	2:1
ბოლუ-ალთაი	1:0
დიარბაქირი-ორდუ	0:3
გირეზუნი-დენიზლი	2:0
ქარსიაკა-ერჩიესი	1:0
სამსუნი-ბიუნგორენი	3:0
ვერსინი-ქართალი	2:1
თაშლანი-ბბ გაზიანთეფი	0:0

ჭილი

საჩემპიონო ზონა

X ტური

ბანგორი-ბნს	1:0
ლანელი-პორტ ბელეზი	2:3
ნითი-პრესბაბინი	1:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბანგორი	10	4	2	4	80-44	70
2. ბნს	10	5	3	2	87-34	68
3. ნითი	10	3	4	3	62-41	58
4. ლანელი	10	5	2	3	58-41	53
5. პრესტატინი	10	2	3	5	44-46	40
6. ბ. ტელფორტი	10	1	6	3	37-48	36

გასავარდნი ზონა

VIII ტური

ეზერისტვიჩი-კარმარგენი	1:0
ვირგასი-ნიუთაუნი	0:3
ბალა-აუეერფორდშაირი	2:0

ბულგარეთი

XXIV ტური

ჩერნო მორე-ლოვეჩი	0:1
აპადემიკი-კალიაკრა	0:1
ლოკომოტივი (ს)-ვიტოშა	3:0
პირინი-ბარეკი	2:0
ც

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXV ტური

ერთ კვირაში ისეთი თამაშია...

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** „ჩელსისთან“ მარცხს თანამსაჯ **მარტინ კეირნსს** აბრალებს. პირველ ტაიმში, როდესაც **სანდროს** გოლით მისი გუნდი 1:0-ს იგებდა, **ფრენკ ლემპარდმა** საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან დაარტყა. მეკარე **გომეშმა** ბოლოდროინდელ „ტრადიციას“ არ უღალატა, ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა, ფეხებს შორის გაუძვრა და... მერე დაიჭირა, მაგრამ სად? ხაზს შიგნით? რედნაპს სწორედ ამაში შეეპარა ეჭვი:

„დროა ფეხბურთში ტექნოლოგიები შემოვიღოთ. ჩვენს კარში პირველი გოლი ისე ჩათვალეს, რომ ბურთს ხაზი არ გადაუკვეთავს. მსგავს ეპიზოდებში მსაჯს გადაწყვეტილების მისაღებად ერთი წამი ეძლევა, ასეთ მოკლე დროში კი დედამიწის ზურგზე ვერავინ შეამჩნევს გავიდა გოლი თუ არა.

კეირნსს ერთი შანსი რჩებოდა, ალალბედზე უნდა გამოეცნო ბურთმა ხაზი გადაკვეთა თუ არა. მან ვერ გამოიცნო. იმავე ლემპარდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბურთი კარში შეაგდო, მაგრამ გოლი არ ჩაუთვალეს. მერწმუნეთ, სანამ ტექნოლოგიებს არ დავნერგავთ, ასეთი შეცდომები დაუსრულებლად გაგრძელდება. ხომ გახსოვთ, რა წერია წესში? ბურთმა ხაზი მთლიანად უნდა გადაკვეთოს. თუ მსაჯს ოდნავ მაინც ეპარება ეჭვი, გოლი არ უნდა ჩათვალოს, მაგრამ როდესაც მთელი სტადიონი ღრიალს და ზეიმს იწყებს, მსაჯი წინააღმდეგობას ვეღარ უწევს. არადა, ფეხბურთში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება“.

საინტერესოა, რომ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით კოლეგას „ჩელსის“ თავკაცი **კარლო ანჩელოტიც** დაეთანხმა:

„სამწუხაროდ, მსაჯებს ჩანაწერის ნახვის საშუალება არ აქვთ, ვფიქრობ, ტექნიკა მათ დიდ დახმარებას გაუწევდა. მე ეპიზოდი ჩანაწერში ვნახე და როგორც პატიოსანი ადამიანი ვალიარებ, რომ მსაჯი შეცდა, მაგრამ ამ ეპიზოდში სწორი გადაწყვეტილების მიღება ძნელი იყო. ჩვენ ვალდებულნი ვართ ობიექტურობა არც მაშინ დავკარგოთ, როდესაც მოვლენები ჩვენს სასარგებლოდ ვითარდება“.

„ჩელსის“ გამარჯვების გოლი **ფერნანდო ტორესის** მაგივრად შესულმა **სალომონ კალუმ** 89-ე წუთზე ოდნავი ოფსაიდიდან გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ეს გოლიც ჩათვალა. დასრულდა თუ არა შეხვედრა, კალუ გასახდელში შევარდა — ბოლო წამს მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვება თანაგუნდელებთან ერთად არ უზეიმია. ანჩელოტიმ თქვა:

„ბედნიერი ვარ გამარჯვების გოლი რომ გავიტანეთ, ხოლო კალუმ გამარჯვება იზეიმა თუ არა, არ მაინტერესებს. ეს პრობლემა არც არის. ჩემი საქმე მაღალი დონის პროფესიონალების ხელმძღვანელობაა, ხოლო ის, რომ ზოგიერთ მათგანს სათადარიგოთა სკამზე მოუნევს ჯდომა და ეს არ მოეწონება, ჩვეულებრივი ამბავია. გუნდში 11 ფეხბურთელი თამაშობს, და ამ ადგილებზე დიდი კონკურენციაა“.

საინტერესოა, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ შეხვედრას „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** ესწრებოდა, მაგრამ მან სტადიონი კალუს გოლამდე დატოვა. ამაზე ანჩელოტიმ იხუმრა: *„ის ცოტა ადრე წავიდა და ჩვენი მეორე გოლის ამბავი არ იცის. არა უშავს, მესიჯს გავუგზავნი და შევატყობინებ“.*

შაბათის სხვა შეხვედრებში ასეთი ამბები დატრიალდა: „ბლექბერნმა“ „ბოლტონს“ 1:0 მოუგო. ეს გახლდათ ბლექბერნელთა პირველი მოგება იანვრის შემდეგ, რომლის წყალობითაც მათ პრემიერლიგაში დარჩენის იმედი კიდევ უფრო გაუღვივდათ. მწვრთნელმა **სტივენ კინმა** მატჩის შემდეგ ასე თქვა:

„ჩვენ უშუალო კონკურენტებთან, „ვესტ ჰემსა“ და „ვულვზთან“ შეხვედრები ჯერ კიდევ წინ გვაქვს. ამ მატჩებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ვფიქრობ, 40 ქულითა და გატანილ-გაშვებულთა კარგი ბალანსით პრემიერლიგაში დარჩენა შეიძლება“.

„ბლექპულმა“ „სტოკს“ უმასპინძლა, მაგრამ ვერ მოიგო და გავარდნის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად რჩება. მეტიც, შეხვედრის საუკეთესო მომენტი სტუმრებს ჰქონდათ: პირველი ტაიმის დამატებულ წუთებში თავდასხმელმა **კინუაინ ჯონსმა** „ბლექპულის“ მეკარე **მეტიუ გილკსი** მოატყუა, მაგრამ ბურთი კარში ვეღარ შეაგდო.

„ფულჰემმა“ სანდერლენდში დამაჯერებლად გაიმარჯვა, 3:0. საინტერესოა, რომ სტუმრად, 2009 წლის მერე ეს დასავლეთლონდონელთა მხოლოდ მეორე გამარჯვება იყო. არადა, თავიდან თითქოს „სანდერლენდი“ უფრო ყოჩაღობდა, მაგრამ მომენტები ვერ გამოიყენა.

როი ჰოჯსონის „ვესტ ბრომვიჩს“ დიდებული დღე ჰქონდა: ისინი „ასტონ ვილას“ 26 წლის განმავლობაში ვერ უგებდნენ და აი, ნანატრი დღეც დადგა. თან როგორ — თავიდან ჩამორჩნენ, მერე გაათანაბრეს; მეორე ყვითლის გამო კაცი გაუგდეს და მაინც შეძლეს გამარჯვების გოლის შეგდება. „ვესტ ბრომვიჩს“ პრემიერლიგიდან გავარდნა აღარ ემუქრება.

„უიგანისა“ და „ევერტონის“ შეხვედრა 1:1 დასრულდა. თავიდან მასპინძლები იგებდნენ, შემდეგ **მიკელ არტეტამ** მათ კარში პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ საბოლოოდ სტუმრებმა მაინც გაქვითეს ანგარიში — ლივერპულელთა მარცხენა მცველმა **ლეიტონ ბეინსმა** ყოფილი გუნდის კარში დანიშნული კიდევ ერთი პენალტი შეაგდო.

კვირას კი ტურის მთავარი შეხვედრა შედგა — „არსენალმა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უმასპინძლა და 1:0 მოუგო. ეს რას ნიშნავს? იმას, რომ ერთ კვირაში, „ოლდ ტრეფორდზე“ დიდი მატჩი გაიმართება, „იუნაიტედი“ კვალში ჩამდგარ „ჩელსის“ უმასპინძლებს და იმ შეხვედრაში გამოჩნდება საჩემპიონო დოღი ბოლო წამამდე გაგრძელდება თუ... თუმცა „მეთოფეთა“ გუშინდელმა გამარჯვებამ თრილერებით სავსე ინგლისის ჩემპიონატს კიდევ ერთი დიდი ინტრიგა რომ შემატა, ფაქტია.

პირდაპირ უნდა ითქვას: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ უელნოდ ითამაშა. არც „არსენალი“ გახლდათ გადასარევ ფორმაში, მაგრამ როგორც ჩანს ბოლოდროინდელი წარუმატებლობებით შეურაცხყოფილმა ჩრდილოლონდონელებმა მაინც უფრო მეტი მოსთხოვეს თავს. „იუნაიტედის“ გადაღლა (თუ რაიმე არ გვეშლება) კი გასაკვირი არ არის: ჩემპიონთა ლიგაში თამაში „შალკესთან“, მერე „არსენალთან“ პრინციპული დაპირისპირება, რასაც რამდენიმე დღეში გერმანულ გუნდთან საპასუხო მატჩი უნდა მოჰყვეს...

არსენალი-მანჩესტერი 1:0

შეხვედრის ერთადერთი გოლი **არონ რემსიმ** გაიტანა. ეს მისი პირველი შედეგიანი დარტყმა გახლდათ 2010 წლის დეკემბრის შემდეგ. იყო რამდენიმე სადავო ეპიზოდიც, როდესაც ფეხბურთელები პენალტს ითხოვდნენ. მათგან ყველაზე მკაფიო პირველი ტაიმის მომენტი გახლდათ, როდესაც მანჩესტერელთა მცველმა **ნემანია ვიდიჩმა თეო უოლკოტის** ჩაწოდებულ ბურთს ხელი გაჰკრა. კანტიკუნტი სახიფათო სიტუაცია ორივე კართან შეიქმნა. ერთი სიტყვით, ამ შეხვედრაში ყველაზე საინტერესო შედეგი იყო, თამაში კი ამ გუნდების მონაწილეობით გაცილებით უკეთესი გვინახავს.

კვირას გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა. „ბირმინგემმა“ „ვულვერჰემპტონს“ უმასპინძლა და 1:1 ითამაშა. გამარჯვების შემთხვევაში „ვულვზი“ გასავარდნ ზონას დატოვებდა, მაგრამ ვერ მოახერხა. არადა, მასპინძელთა გუნდი 29-ე წუთიდან უმცირეებაში დარჩა, ორი ყვითლის გამო **კრეიგ გარდნერი** გააძევეს მოედნიდან.

ფორმაში შესულმა „ლივერპულმა“ „ნიუკასლს“ 3:0 მოუგო. მერსისაიდელთა ეს გამარჯვება იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მათ მეხუთე ადგილზე გადაინაცვლეს — „ტოტენჰემს“ გაუცვალეს ადგილი. საინტერესოა, რომ „ლივერპულმა“ შინ ჩატარებულ ბოლო სამ შეხვედრაში 14 გოლი გაიტანა.

ამ მატჩში ყველა სეირს ელოდა: **ენდი ქეროლი** თავის ყოფილ გუნდს უნდა დაპირისპირებოდა და ეს მოხდა კიდეც, მაგრამ როდესაც ქეროლი მოედანზე შევიდა ანგარიში უკვე 3:0 იყო.

„მანჩესტერ სიტიმ“ აუტსაიდერ „ვესტ ჰემს“ 2:1 აჯობა. ისტლენდელები მე-15 წუთზე უკვე 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ **დემბა ბამ** ერთი ხნის მერე სხვაობა შეამცირა. **რობერტო მანჩინის** გუნდს კიდევ ჰქონდა საგოლე მომენტები — **მარიო ბალოტელიმ** ძელს გაარტყა ბურთი, **დავიდ სილვამ** კი მეკარესთან პირისპირ შესვლა ვერ გამოიყენა.

და კიდევ ერთი: მომავალ სეზონში, პრემიერლიგაში „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ ითამაშებს. ჩემპიონშიპის ბოლო ტურში, „უოტფორდთან“ სტუმრად 2:0 გამარჯვება საკმარისი აღმოჩნდა, რათა დასავლეთლონდონელთა 129 წლის გუნდი მიუწვდომელი გამხდარიყო. „რეინჯერსი“ უმაღლეს ინგლისურ ლიგას თხუთმეტი წელინადი აკლდა. ამგვარად, აგვისტოდან პრემიერლიგაში ინგლისის დედაქალაქის ერთ უბანს სამი გუნდი ეყოლება: „ჩელსი“, „ფულჰემი“ და „ქუინზ პარკი“.

ილია ბაბუნაშვილი

მოგზაურული ტური

7 მაისი: ასტონ ვილა-უიგანი, ბოლტონი-სანდერლენდი, ევერტონი-მანჩესტერ სიტი, ნიუკასლ იუნაიტედი-ბირმინგემი, ვესტ ჰემი-ბლექბერნი, ტოტენჰენმი-ბლექპული.

8 მაისი: ვულვზი-ვესტ ბრომვიჩი, სტოკი-არსენალი, მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი;

9 მაისი: ფულჰემი-ლივერპული.

ბლექბერნი-ბოლტონი 1:0

ბლექბერნი (4-4-2): რობინსონი - სალგადო (76. მ.ბ. დიუფი), ფ. ჯონსი, სამბა, ფიუე - ემერტონი, ნზონზი, ჯ. ჯონსი, ოლსონი - ბენჯანი (65. კალინიჩი), რობერტსი (80. ჰედერსენი).

ბოლტონი (4-4-2): ბოგდანი - უიტერი, ნაითი, გ. კეჰილი, რობინსონი - ელმანდერი (68. კლასნიჩი), კოენი, გარდნერი, ტეილორი (68. მ. პეტროვიჩ) - როდრიგო (60. ლი), კ. დევისი.

გოლი: 1:0 ოლსონი (20)

გაფრთხილება: ფ. ჯონსი, ჯ. ჯონსი - კ. დევისი

კუთხური: 3-10; **ჯარიმა**: 8-10; **კარში დარტყმა**: 21-12 (6-0); **თამაშგარე**: 6-3; **ბურთის ფლობა**: 43%-57%

მაყურებელი: 28 985

გლექპული-სტოკი 0:0

ბლექპული (4-3-3): გილკსი - ერდლი, ივეტი, ბაბტისტი, კრეინი - ვუგანი, ადამი, საუთერნი - ფილიპსი (73. ვერნი), ტეილორ-ფლეტჩერი (73. კორნილიუსი), დ. ჯ. კემპბელი.

სტოკი (4-4-2): ბეგოვიჩი - უილკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, უილსონი (56. შოტონი) - პენანტი (90. დიაო), უაიტჰედი, უოლანი, დილეპი (81. კარეუ) - უოლტერსი, კ. ჯონსი.

კუთხური: 4-8; **ჯარიმა**: 12-12; **კარში დარტყმა**: 14-9 (3-1); **თამაშგარე**: 0-1; **ბურთის ფლობა**: 56%-44%

მაყურებელი: 16 003

სანდერლენდი-ფულჰემი 0:3

სანდერლენდი (4-5-1): მინოლე - ალ მუჰამადი, ონოუაზა, ტერნერი, ბერდსლი - ჰენდერსონი (76. ლიმჩა), კოლბეკი, კატერმოული, მალბრანკი (76. ზენდენი), მუნტარი (66. ა. ფერდინანდი) - სესსენონი.

ფულჰემი (4-4-2): შვარცერი - ბეირდი, სენდეროსი, ჰიუზი, სალსიდო - ს. დევისი, მერფი (79. ეტუჰუ), სიდუელი, კაკუტა (62. გრინიჩი) - ზამორა (79. ე. ჯონსონი), გუდიონსენი.

გოლები: 0:1 კაკუტა (33), 0:2 ს. დევისი (61), 0:3 ს. დევისი (73)

გაფრთხილება: სესსენონი (სანდერლენდი)

კუთხური: 5-4; **ჯარიმა**: 7-14; **კარში დარტყმა**: 16-10 (4-3); **თამაშგარე**: 4-5; **ბურთის ფლობა**: 52%-49%

მაყურებელი: 39 576

ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა 2:1

ვესტ ბრომვიჩი (4-4-2): კერსონი - ხარა (51. ტამასი), ოლსონი, მეიტე, შორი - ველა (76. ფორტუნი), მულუმბუ, შარნერი, მორისონი - კოქსი, ოდემვინგიე (90. ტჩოი).

ასტონ ვილა (4-4-2): ფრიდელი - უოტერი, დანი (51. კლარკი), კოლინზი, იანგი - დაუნინგი, რიო-კოკერი (68. პირესი), ს. პეტროვი (85. ოლბრაიტონი), ე. იანგი - აგბონლაპორი, ბენტი.

გოლები: 0:1 მეიტე (4 ს.კ.), 1:1 ოდემბინგე (60), 2:1 მულუმბუ (84)

გაფრთხილება: შარნერი, მულუმბუ, ტამასი - აგბონლაპორი

გაძევება: შარნერი (62)

კუთხური: 3-7; **ჯარიმა**: 13-10; **კარში დარტყმა**: 11-12 (4-3); **თამაშგარე**: 2-4; **ბურთის ფლობა**: 40%-60%

მაყურებელი: 25 889

უიგანი-ევერტონი 1:1

უიგანი (4-3-3): აღ ჰაბსი - ბოისი, ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა - მაკარტი, უოტსონი, დიამე (44. მაკარტური) - ნ'ზოგბია (54. მოზესი), კლივერლი (79. დი სანტო), როდალეგა.

ევერტონი (4-4-2): ჰოვარდი - ჰიბერტი, დისტინი, ჯეგიელკა, ბეინესი - ოსმანი, როდუელი, ფ. ნევილი, არტეტა (66. ბეკფორდი) - ენიჩიბე (82. გუეიე), ტ. კეპილი (66. კოულმენი).

გოლები: 1:0 ნ'ზოგბია (21), 1:1 ბეინესი (78)

ვერ გაიტანა პენალტი: არტეტა (36)

გაფრთხილება: დიამე, ფიგეროა-ჰიბერტი, როდუელი

კუთხური: 3-8; **ჯარიმა**: 14-15; **კარში დარტყმა**: 15-8 (8-6); **თამაშგარე**: 1-1; **ბურთის ფლობა**: 51%-49%

მაყურებელი: 17 051

ჩელსი-ტოტენჰემი 2:1

ჩელსი (4-4-2): ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, ლუიზი, ე. კოული - ესიენი (57. რამირესი), მიკელი, ლემპარდი, მალუდა (73. ანელკა) - ტორესი (63. ჯალუ), დროგბა.

ტოტენჰემი (4-4-2): გომეში - კაბული, დოუსონი, გალასი, ჩორლუკა (79. პიენაარი) - ლენონი, მოდრიჩი, სანდრო, ბეილი - ვან დერ ვაარტი (85. ჯენასი), პავლიუჩენკო (58. დეფო).

გოლები: 0:1 სანდრო (19), 1:1 ლემპარდი (45), 2:1 კალუ (89)

გაფრთხილება: ივანოვიჩი, დროგბა, ტერი - პავლიუჩენკო

კუთხური: 6-5; **ჯარიმა**: 12-14; **კარში დარტყმა**: 20-13 (10-1); **თამაშგარე**: 0-0; **ბურთის ფლობა**: 53%-47%

მაყურებელი: 41 681

ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი 1:1

ბირმინგემი (4-4-2): ფოსტერი - კარი, რ. ჯონსონი, ფერნანეკი, რიჯუელი - ლარსონი, ფერგიუსონი, გარდნერი, ბოიერი - ფილიპსი (32. ბიუსეფერი), ჯერომი.

ვულვერჰემპტონი (4-4-2): ჰენესი - სტერმენი (45. ჰემილი), მენსიენი, კრედოკი, ელოკობი - ფოუული, ჰენრი, ო'ჰარა, ჯერვისი (67. ჰანტი) - უორდი (83. ვოუსი), ფლეტჩერი.

გოლები: 0:1 ფლეტჩერი (7-პენ), 1:1 ლარსონი (27)

გაფრთხილება: გარდნერი, ბოიერი - ო'ჰარა, კრედოკი, ჰენრი

გაძევება: გარდნერი (29)

კუთხური: 0-2; **ჯარიმა**: 12-17; **კარში დარტყმა**: 8-11 (1-2); **თამაშგარე**: 1-3; **ბურთის ფლობა**: 43%-57%

მაყურებელი: 26 072

ლივერპული-ნიუკასლი 3:0

ლივერპული (4-4-2): რეინა - ფლინაგანი (81. შილვი), შერტელი, კარაგერი, გ. ჯონსონი - მერეზეში, ლუკასი, სპორინგი, მაქსი როდრიგესი (70. ქეროლი) - სუარესი (87. ჯ. კოული), კუიტი.

ნიუკასლი (4-5-1): კრული - სიმპსონი, კოლოჩინი, უილიამსონი, ენრიკე (90. ფერგიუსონი) - ბარტონი, ნოლანი, ტიოტე, ლოვენკრანდსი (74. რეინჯერი), ბონასი - ამეობი (83. კუქი).

გოლები: 1:0 მაქსი როდრიგესი (10), 2:0 კუიტი (59-პენ), 3:0 სუარესი (65)

გაფრთხილება: ფლეინაგანი - ტიოტე

კუთხური: 3-12; **ჯარიმა**: 16-10; **კარში დარტყმა**: 13-11 (5-1); **თამაშგარე**: 4-0; **ბურთის ფლობა**: 46%-54%

მაყურებელი: 44 923

არსენალი-მანჩესტერ იუნ. 1:0

არსენალი (4-4-2): შჩესნი - სანია, კოშელნი, ჯურუ (69. სკილაჩი), ალენი - უოლკოტი (78. ებუე), უილშირი, სონგი, ნასრი (45. არშავინი) - რომსი, ვან პერსი

მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2): ვან დერ სარი - ფაბიო, ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა - პარკი, ანდერსონი (56. ვალენსია), ქერიკი (85. ოუენი), ნანი - ერნანდესი (74. ბერბატოვი), რუნი.

გოლები: 1:0 რომსი (56)

გაფრთხილება: სონგი, რომსი - რუნი, პარკი, ფაბიო

კუთხური: 3-6; **ჯარიმა**: 16-8; **კარში დარტყმა**: 10-12 (2-4); **თამაშგარე**: 2-4; **ბურთის ფლობა**: 55%-45%

მაყურებელი: 60 107

მანჩესტერ სიტი-ფულჰემი 2:1

მანჩესტერ სიტი (4-4-2): �[illegible] - ბარალიუ, [illegible] - ბალოტელი (86. ბიუეირა), ი. ტურე.

ვესტ ჰემი (4-4-2): გრინი - აპსონი (26. მ. და კომბა), ტომკინსი, გეგბადონი, იაკობსენი - ჰიცშპერგერი, სპექტორი, ბოა მორტე (78. ობინა), სორსი - კინი (66. კ. კოული), ბა

გოლები: 1:0 ბეიერი (10), 2:0 სალალეტა (15), 2:1 ბა (33

გაფრთხილება: სალალეტა, ბერი, ჯონსონი - გეგბიდონი

კუთხური: 9-5; **ჯარიმა**: 13-8; **თამაშგარე**: 5-2; **კარში დარტყმა**: 21-9 (9-3); **ბურთის ფლობა**: 60%-40%.

მაყურებელი: 44 511

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩესტერი	35	21	10	4	71-33	73
2. ჩელსი	35	21	7	7	66-28	70
3. არსენალი	35	19	10	6	68-36	67
4. სიტი	34	18	8	8	53-31	63
5. ლივერპული	35	16	7	12	54-39	55
6. ტოტენჰემი	34	14	13	7	50-43	55
7. ევერტონი	35	11	15	9	48-43	48
8. ბოლტონი	35	12	10	13	48-48	46
9. ფულჰემი	35	10	15	10	43-36	45
10. სტოკი	35	12	7	16	43-43	43
11. ვესტ ბრომვიჩი	35	11	10	14	51-65	43
12. ნიუკასლი	35	10	11	14	49-51	41
13. ასტონ ვილა	35	10	11	14	44-57	41
14. სანდერლენდი	35	10	11	14	39-52	41
15. ბირმინგემი	35	8	15	12	35-52	39
16. ბლეკბერნი	35	10	8	17	41-55	38
17. ბლეკპული	35	9	8	18	48-70	35
18. უიგანი	35	7	14	14	35-58	35
19. ვულვზი	35	9	7	19	38-61	34
20. ვესტ ჰემი	35	7	11	17	40-63	32

ბომბარდირები: 21 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 19 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 15 - ბენტი (ასტონ ვილა), ვან პერსი (არსენალი).

ინგლისი. ჩემპიონშიპი

XXXXV ტური

ლიდსი-ბარნლი 1:0

გოლი: 1:0 მაკორმაკი (33)

ქოვენთრი-რედინგი 0:0

დერბი-ბრისტოლი 0:2

გოლები: 0:1 სტიდი (6), 0:2 სკუსი (66)

დონკასტერი-ლესტერი 1:1

გოლები: 1:0 ბრუკერი (50), 1:1 იაკუბუ (76)

ჰალი-კრისტალ პალასი 1:1

გოლები: 1:0 ჯერარდი (31), 1:1 სეკაია (88)

იფსვიჩი-პრესტონი 2:1

გოლები: 1:0 სკოტლანდი (10), 2:0 ნორისი (19), 2:1 კოუტსი (52)

მილუოლი-სუონსი 0:2

გოლები: 0:1 პრეტლი (30), 0:2 დობი (47)

ნოტინგემი-სკანთორპი 5:1

გოლები: 1:0 ბოიდი (9), 2:0 ჩემბერსი (25), 2:1 ო'კონორი (36-პენ) 3:1 ანდერსონი (48), 4:1 ჩემბერსი (82), 5:1 ბოიდი (90)

შეფილდი-ბარნსლი 2:2

გოლები: 0:1 ჰეინესი (15), 1:1 ლოუტონი (39), 2:1 უილიამსონი (59), 2:2 ჰეინესი (84)

უოტფორდი-ქუინზ პარკი 0:2

გოლები: 0:1 ტაარაბტი (77), 0:2 სმითი (90)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ქუინზ პარკი	45	24	16	5	70-30	88
2. ნორვიჩი	44	22	14	8	80-56	80
3. კარდიფი	44	23	10	11	75-50	79
4. სუონსი	45	23	8	14	65-42	77
5. რედინგი	45	19	17	9	75-50	74
6. ნოტინგემი	45	19	15	11	66-50	72
7. ლიდსი	45	18	15	12	79-69	69
8. მილუოლი	45	18	13	14	62-47	67
9. ბარნლი	45	18	13	14	64-60	67
10. ჰალი	45	16	17	12	52-48	65
11. ლესტერი	45	18	10	17	72-69	64
12. იფსვიჩი	45	18	8	19	60-64	62
13. უოტფორდი	45	16	13	16	76-68	61
14. ბრისტოლი	45	16	9	20	59-65	57
15. პორტსმუთი	44	15	12	17	52-58	57
16. მიდლსბრო	44	15	11	18	62-68	56
17. ქოვენთრი	45	14	12	19	52-56	54
18. ბარნსლი	45	13	14	18	54-66	53
19. დერბი	45	13	10	22	57-69	49
20. კრ. პალასი	45	12	12	21	44-66	48
21. დონკასტერი	45	11	15	19	55-78	48
22. შეფილდ იუნ.	45	11	9	25	44-75	42
23. სკანთორპი	45	12	5	28	42-86	41
24. პრესტონი	45	9	12	24	51-78	39

ბომბარდირები: 24 - გრემი (უოტფორდი); 21 - ლონგი (რედინგი); 20 - ჰოლტი (ნორვიჩი); 19 - ბეკიო (ლიდსი), ტაარაბტი (ქუინზ პარკი);

პირველი ლიგა

XXXXV ტური

ექსეტერი-პლიმუთი 1:0, ბრენტფორდი-საუთჰემპტონი 0:3, ბრაიტონი-ჰადერსფილდი 2:3, ბრისტოლი-შეფილდ უენსდი 1:1, დაგენჰემი-კერლისლი 3:0, ჰარტლპული-ბურნმუთი 2:2, ლეიტონი-ტრანმერი 0:3, მილტონი-ნოტს ქაუნთი 2:1, როჩდეილი-პიტერბორო 2:2, სუინდონი-ოლდჰემი 0:2, უოლსოლი-ჩარლტონი 2:0, იეოვილი-კოლჩესტერი 4:2.

მეორე ლიგა

XXXXV ტური

ეკრინგტონი-ბერნლეტი 3:1, ოლდერშოტი-როტერჰემი 2:2, ბერი-უიკომბი 1:3, ჩელტენჰემი-შრუსბერი 0:1, ქრუ-სტოკპორტი 2:0, ჯილინგემი-მეკსფილდი 2:4, ჰერეფორდი-ბრედფორდი 1:1, ნორთემპტონი-სგივინჯი 2:0, ოქსფორდი-ლინკოლნი 2:1, პორტ ვეილი-მორკეიმბი 7:2, საუთენდი-ბარტონი 1:1.

კონფერენსი

XXXXVI ტური

უიმბლდონი-გრიმსბი 2:1, ელტრინჰემი-ისტბერნი 3:4, ბეროუ-ჰეიესი 2:0, ბათი-მენსფილდი 2:0, კემბრიჯი-ფლიტვუდი 0:1, ქროული-იორკი 1:1, დარლინგტონი-რაშდენი 2:0, გეიტსჰედი-ნიუპორტი 1:7, კეტერინგი-საუთპორტი 3:1, კიდერმინსტერი-ჰისტონი 2:2, ლუტონი-ვრექსჰემი 1:1, ტემფორთი-ფორესტ გრინი 2:1.

BUNDES LIGA

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტური

ბორუსია ზღაპარში!

ზელოგიკური ჩემპიონობა, რომელიც დორტმუნდში ისე სწყურიოდათ...

„ნიურნბერგთან“ მატჩი ოთხი წუთის დამთავრებული იყო, კიოლნიდან ჯნობა მოვიდა, რომ „ლევერკუზენი“ დაპარცხდა, „ვესტფალენშტადიონზე“ კი ბაგიური სიტყვები Deutsche Meister აკიაფდა, რაც იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ დორტმუნდის „ბორუსია“ გერმანიის ჩემპიონი გახდა. ორწუთიანი შეშლილი ზეიმის შემდეგ, პირველი, რაც ჩემპიონებმა გააკეთეს, იყო ის, რომ მწვრთნელი **იურგენ კლოპი** აიტაცეს და გამაყრუებელი ოვაციების ფონზე, რამდენიმე წუთის განმავლობაში ზეკისკენ ისროდნენ. ლოგიკურია და სიმბოლურიც, რადგან „დორტმუნდის“ თითოეული ფეხბურთელი მიხვდა: მათი სასწაული, საოცნებო ჩემპიონობა, პირველ რიგში, სწორედ გენიალური მწვრთნელის, კლოპის დამსახურებაა.

მაშ ასე: „ბორუსიამ“ ჩემპიონობა სეზონის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა, კლოპი კი ამ სეზონის უმთავრესი გმირია. იურგენმა ძალიან ახალგაზრდული და ნარმოუდგენლად ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული BVB ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ, პირველად აზიარა ჩემპიონობას.

კლოპის დაფასების შემდეგ, „ვესტფალენშტადიონზე“ ყველაზე მთავარის, გერმანიის ჩემპიონობისთვის ტრადიციული ლუდის შხაპის დრო დადგა. ფეხბურთელები ერთმანეთს უდიდესი კათხებით დასდევდნენ, გულშემატკივრებმა კი მოედანზე „ვერცხლის სინის“ ასლები გადმოყარეს (ორიგინალს „ბორუსია“ მხოლოდ 34-ე ტურის შემდეგ მიიღებს), ბრაზილიელი მცველი **ფელიპე სანტანა** კი უცებ კატაკომბებში გაუჩინარდა - მას ზეიმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი. სანტანამ საპარსი გამოიტანა და ლუდში ნაბანავებ, თავიდან ფეხებამდე სველ **კევინ გროსკროიტცს** თავისთან უხმო. კევინს ჯერ კიდევ ოქტომბერში ჰქონდა ნათქვამი, თმას მანამდე არ შევიჭრი, სანამ ჩემპიონობას არ გავინაღდებთო და სანტანამ გროსკროიტცი ჩემპიონურად გაპარსა!

„დაუჯერებელია ყველაფერი, რაც ჩემმა ბიჭებმა ამ სეზონში გააკეთეს. სიტყვებით ვერ გადმოვცემ იმ მონდომებას და შრომას, რაც ამ ყველაფერში ჩავაქსოვეთ. ერთადერთი და განუმეორებელი ფეხბურთელები მყავს - ნეტა იცოდეთ, როგორ მუშაობენ, როგორ მისმენენ, როგორ მიჯერებენ... სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ უფრო ეიფორიულად ვიზეიმებდი, მაგრამ ასე არ არის და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ეს ასი პროცენტით დავიმსახურეთ! იმიტომ, რომ უბრალოდ არ შეიძლებოდა, სხვანაირად ყოფილიყო. ისე ვიშრომეთ, ისე ვიწვალეთ, რომ ჩვენი ჩემპიონობა გარდაუვალი იყო. ამიტომაც ვარ შედარებით მოკრძალებული,“ - უბედნიერესი იყო „ბორუსიას“ ჩემპიონობის უმთავრესი შემოქმედი კლოპი.

ეს ჩემპიონობა პირადად კლოპისთვისაც განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან ეს არის მისი პირველი ტიტული მწვრთნელის რანგში. და მერე როგორი - დორტმუნდელებმა ხომ მთელი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარეს! თანაც, „ბორუსია“ დაუჯერებლად ახალგაზრდული გუნდია - გაგახსენებთ, რომ „ბაიერნთან“ მატჩში, რომელიც BVB-მ 3:1 მოიგო, შემადგენლობის საშუალო ასაკი სულ რაღაც 22.7 წელი გახლდათ. ესეც რომ არ იყოს, დორტმუნდელებმა მთელი სეზონის განმავლობაში შემტევი, ბრწყინვალე ფეხბურთი ითამაშეს და ფაქტობრივად მთელი გერმანია მათ ქომაგობდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხანია, ბუნდესლიგა ასეთი დამსახურებით არავის მოუგია.

აუცილებლად ხვდება, როგორი დაუჯერებელია ჩვენი ჩემპიონობა იმ კრიზისიდან სულ რაღაც 6 წლის შემდეგ და რაოდენ ბედნიერები ვართ დღეს,“ - ეს კლუბის პრეზიდენტ **რაინჰარდ რაუბალის** სიტყვებია.

„ეს ჩემპიონობა კლუბის ისტორიაში ყველაზე გასაოცარი, ზღაპრული მოლწევაა. „დორტმუნდს“ არაერთი უდიდესი ტიტული აქვს მოგებული, მათ შორის ჩემპიონთა ლიგაც 1997 წელს, მაგრამ ეს ყველაზე დაუჯერებელი, ზღაპრული ტიტულია,“ - ესეც მენეჯერ **მიხაელ ცორკის** განცხადება.

რაც ყველაზე, სულ ყველაზე და ყველაფერზე მთავარია, გერმანიის 2011 წლის ჩემპიონს უდიდესი მომავალი აქვს. ერთადერთი ფეხბურთელი, რომლის წასვლა თითქმის გადაწყვეტილია, 23 წლის თურქი ნახევარმცველი **ნური შაჰინი** გახლავთ. ესპანური პრესის ინფორმაციით, დორტმუნდის ერთ-ერთი ლიდერი და ამ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კარიერას მადრიდის „რეალში“ გააგრძელებს. ნური მიდის, სხვები კი რჩებიან და დორტმუნდის „ბორუსია“ ჩემპიონთა ლიგაშიც ბრუნდება - თანაც, გერმანიის ჩემპიონის რანგში!

პირველად 2002 წლის შემდეგ: დორტმუნდელები გერმანიის ჩემპიონობას ზეიმობენ

ჰანოვერი მაინც აიჭრა, გლადბახი ცოცხალია!

BVB-ს ჩემპიონობის გარდა, 32-ე ტურის სხვა მოვლენებიდან, პირველ რიგში აღსანიშნავია „ჰანოვერის“ მარცხი „გლადბახთან“, თანაც საკუთარ მოედანზე. მიუნხენის „ბაიერნმა“ როგორც მოსალოდნელი იყო, „შალკეს“ იოლად მოუგო და ისევ მესამე ადგილზე აღზევდა, რასაც ბავარიელები სწორედ „გლადბახს“ უნდა უმადლოდენ, რომელიც თავის მხრივ გადარჩენისთვის გააფთრებით იბრძვის. აი, „ზანკტ პაულის“, სავარაუდოდ, ვეღარაფერი უშველის. „მაინცმა“ კი თითქმის გაინაღდა ევროპის ლიგაში თამაში...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

მომდევნო ტური

7 მაისი. შალკე-მაინცი, ვერდერი-ბორუსია (დ), ლევერკუზენი-ჰამბურგი, შტუტგარტი-ჰანოვერი, ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი, აინტრახტი-კიოლნი, ბორუსია (მ)-ფრაიბურგი, ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი, ზანკტ პაული-ბაიერნი.

ვერდერი-ვოლფსბურგი 0:1

ვერდერი (4-1-2-1-2): ვიზე - ფრიტცი, მერტეზაკერი, პასანენი, სილვესტრი - ფრინგსი (77. სტევანოვიჩი) - ვესლი (65. ჰანტი), ბარგფრედე (65. დ. შმიდტი) - მარინი - არნაუტოვიჩი, პისარო.

ვოლფსბურგი (4-1-2-1-2): ბენაალიო - რიტერი, კიაერი, ა. ფრიდრიხი, მ. შეფერი - ჟოსუე - პოლაკი (52. მადლუნგი), სისერო (66. ჰასებე) - დიეგო (79. თუნჯაი) - გრაფიტე, მანჯუკიჩი.

გოლი: 0:1 რიტერი (22)

გაფრთხილება: მერტეზაკერი, ფრინგსი - ა. ფრიდრიხი, სისერო, მანჯუკიჩი, გრაფიტე

კუთხური: 9-5; **ჯარიმა:** 11-22; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 14(4)-10(2); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

მაყურებელი: 40 000

კაიზერსლაუტერნი-ზტ. პაული 2:0

კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2): ტრაპი - კირხი, აბელი, როდნი, იესენი - პეცოსი, დე ვიტი (76. მორავეკი) - ტიფერტი (86. ბუგერა), ჰლუშეკი - ლაკიჩი, ჰოფერი (70. ნემეცი).

ზანკტ პაული (4-2-2-2): ალიკე - ლეხნერი, თორანდტი, ეგერი, გიუნეში (72. ებერსი) - დაუბე (72. ნაკი), მ. ლემანი - მ. კრუსე, ბარტელსი - ასამოა, ტაკი (85. ბრუნსი).

გოლები: 1:0 ტიფერტი (28), 2:0 აბელი (68)

გაფრთხილება: თორანდტი

კუთხური: 5-3; **ჯარიმა:** 19-15; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 17(5)-15(6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

მაყურებელი: 49 780

ბორუსია (დ)-ნიურნბერგი 2:0

ბორუსია დ. (4-2-3-1): ვაიდენფელერი - პიეჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, და სილვა (83. ფელიპე სანტანა) - გიოტცე, ლევანდოვსკი (78. ბლაშჩიკოვსკი), გროსკროიტცი (89. დედე) - ბარიოსი.

ნიურნბერგი (4-2-3-1): რ. შეფერი - იუდტი, ვოლშაიდი, ვოლფი, პინოლა (71. პლატენჰარდტი) - კოენი, სიმონსი - აიგლერი, ექიჩი, მაკი (46. გიუნდოგანი) - შიბერი (71. ჰეგელერი).

გოლები: 1:0 ბარიოსი (32), 2:0 ლევანდოვსკი (43)

გაფრთხილება: ბარიოსი - სიმონსი, იუდტი

კუთხური: 4-4; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 11(5)-8(2); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

მაყურებელი: 80 720

ჰამბურგი-ფრაიბურგი 0:2

ჰამბურგი (4-2-2-2): ფ. როსტი - დიკმაიერი, ბენჯამინი, ვესტერმანი, აოგო - იაროლიმი (78. ტროხოვსკი), ზე რობერტო - ბენ-ჰატირა (56. პიტროიპა), ელია - სონი, გერერო.

ფრაიბურგი (4-1-4-1): ბაუმანი - მუიჯა, კრმასი, ტოპრაკი, ბუტშერი (30. ვილიამსი) - შუსტერი - ნიკუ (74. კალიჯური), როზენტალი, მაკიადი (83. რაიზინგერი), პუცილა - სისე.

გოლები: 0:1 სისე (16), 0:2 სისე (87)

გაფრთხილება: იაროლიმი, ზე რობერტო, აოგო - მუიჯა

კუთხური: 4-1; **ჯარიმა:** 26-14; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 16(5)-9(5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 52 985

მაინცი-აინტრახტი 3:0

მაინცი (4-2-3-1): ვეტკლო - ბუნგერტი, სვენსონი, კირხპოფი, ფუხსი (58. ფათი) - პოლანსკი, სოტო - ჰოლტბი, ივანშიტცი (76. რისსე), შიურლე - ფ. ჰელერი (67. ალაგუე).

აინტრახტი (4-2-3-1): ფერმანი - ს. იუნგი, როდე, რუსი, კიოლერი - შვეგლერი (85. ვასოსკი), კლერკი (21. ფენინი) - ოხსი, ა. მაიერი (60. კაიო), ჰალილ ალთინთოფი - გეკასი.

გოლები: 1:0 ივანშიტცი (26), 2:0 სოტო (38), 3:0 სოტო (45)

გაფრთხილება: ფ. ჰელერი - შვეგლერი, ფენინი

გაძევება: როდე (43. აინტრახტი)

კუთხური: 5-1; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 12-0; **კარში დარტყმა:** 23(11)-7(2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

მაყურებელი: 20 300

ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი 1:2

ჰოფენჰაიმი (4-2-3-1): შტარკე - ბეკი (79. იბიშევიჩი), ვორსა, კომპერი, ბრააფჰაიდი - რუდი, ალაბა - რობერტო ფირმინიო (64. იბერტსბერგერი), სიგურდსონი, ბაბელი - მლაპა.

შტუტგარტი (4-2-3-1): ულრაიხი - ბულარუზი, ტასკი, ნიდერმაიერი, ბოკა - ტრეში, კუუმანოვიჩი - ჰარნიკი, ჰაინალი (84. გენტნერი), ოკაზაკი (59. პოგრებნიაკი) - კაკაუ (90. დელპიერი).

გოლები: 1:0 მლაპა (14), 1:1 კაკაუ (63), 1:2 კუუმანოვიჩი (68-პენ)

გაფრთხილება: ბეკი, ვორსა - ჰაინალი, კაკაუ

კუთხური: 3-4; **ჯარიმა:** 19-14; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 14(5)-14(4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 30 150

კიოლნი-ლევერკუზენი 2:0

კიოლნი (4-2-2-1-1): რენზინგი - ბრეჩკო, ჟერომელი, მოჰამადი, აიხნერი - პეცონი (85. მატუშიკი), პეტიტი (87. მაკენა) - ჩიჰი (79. ფრაისი), ჟაჟალო - პოდოლსკი - ნოვაკოვიჩი.

ლევერკუზენი (4-2-3-1): ადლერი - ვიდალი, შვაბი, ჰიიპია, კადლეცი - ლ. ბენდერი (77. როლფესი), ბალაკი - სემი (70. დერდიოკი), რენატო, კასტრო (70. ბარნეტა) - კისლინგი.

გოლები: 1:0 ნოვაკოვიჩი (67), 2:0 ნოვაკოვიჩი (82)

გაფრთხილება: ჟერომელი, აიხნერი - კისლინგი, ლ. ბენდერი

კუთხური: 1-6; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 4(4)-16(4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

მაყურებელი: 50 000

ჰანოვერი-ბორუსია (მ) 1:1

ჰანოვერი (4-2-3-2): ცოლერი - ფირნდორფერი, ჰაგი, პოგატეტი, ... - ... - ... -

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი გოლი და უფრო მნიშვნელოვანი ამბები

ამ უქმეებზე სამმა ქართველმა ლეგიონერმა გაიტანა: ისრაელში - ლადო დვალიშვილმა, კვიპროსში - ლევან მაღრაძემ და აზერბაიჯანში - გიორგი ადამიამ. თუმცა ამ სამ გოლზე მნიშვნელოვანი ამბებიც გვაქვს მოსაყოლი - მაგალითად, ზურაბ ხიზანიშვილის „რედინგმა" პრემიერლიგაში აღზევებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა, ხოლო დანიაში დავით დევდარიანის „ორჰუსმა" ქვეყნის ელიტაში თამაში უკვე დაიბევა. სამწუხაროდ, ვერც ტრავმებს გავექეცით, რომელთა შესახებაც მიმოხილვაში წაიკითხავთ.

ხიზანიშვილმა (მარცხნივ) და რედინგმა პლეი ოფში თამაში გაინაღდეს

ლადო დვალიშვილმა (მარჯვნივ) თვენახევრიანი პაუზის შემდეგ გაიტანა

ზურამ უემბლის გახედა

ზურაბ ხიზანიშვილს პრემიერლიგაში დაბრუნების კარგი შესაძლებლობა მიეცა - მისმა „რედინგმა" პლეი ოფი გაინაღდა. ჩემპიონშიაში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდი ავტომატურად ადის ელიტაში, 4 კი პლეი ოფში არკვევს მესამე საგზურის მფლობელს, ჯერ ორმატჩიან ნახევარფინალებში, ბოლოს კი - ფინალში, რომელიც 30 მაისს „უემბლიზე" გაიმართება. „რედინგის" მეტოქე, სავარაუდოდ, „სუონსი" იქნება, თუმცა ეს ბოლო ტურში დაზუსტდება. მანამდე კი „როიალსმა" ძალზე მნიშვნელოვანი საგარეო ქულა მოიპოვა „ქოვენთრისთან" - 0:0. ამ შეხვედრაში ჩვენმა გამოცდილმა თანამემამულემ დაცვის ცენტრში კაპიტან **მილსთან** შექმნა დუეტი, რომელმაც კარის „მშრალად" შენახვაში დიდი წვლილი შეიტანა. „რედინგმა" კი ბოლო 15 მატჩი საოცრად ითამაშა, 12 თებერვალს გუნდი მე-12 ადგილზე იყო, მაგრამ მას მერე მხოლოდ ერთი მატჩი წააგო და პლეი ოფში გავიდა.

იაშვილის ორები

ის, რისთვისაც ხიზანიშვილის „რედინგი" ჯერ კიდევ იბრძვის, ბერლინის „ჰერტას" უკვე მიღწეული აქვს - **ლევან კობიაშვილი** და კომპანია ახალ სეზონს ბუნდესლიგაში დაიწყებს. ამიტომაც ბერლინელებმა შინ (გულშემატკივრები ფეხბურთელებს ტრიუმფით დახვდნენ) თავს მოდუნების უფლება მისცეს და „მიუნხენთან" 1:2 წააგეს. „ჰერტა" 68 ქულით მაინც ერთპიროვნული ლიდერია. მარცხენა მცველად მოთამაშე კობიაშვილმა 26-ე წუთზე ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი, თუმცა კობის ამ გმირობამ საბოლოოდ მაინც ვერ უშველა გუნდს. ქართველი 76-ჯერ შეეხო ბურთს და 42-დან 34 ზუსტი პასი მიითვალა, ერთხელ კი კარშიც დაარტყა. „შპორტალმა" ჩვენებურს 3 ბალი დაუწერა.

მე-2 ბუნდესლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" გავარდნის საფრთხის წინაშეა - გუნდს 30 ქულა აქვს და მხოლოდ 2-ით უსწრებს „ოსნაბრიუკს". ამ ტურში „კარლსრუემ" 2-ბურთიანი სხვაობა გაატანა ქარს და შინ „ფორტუნას" 2:2 ეთამაშა. „შპორტალმა" ქართველ კაპიტანს 2,5 ბალი დაუწერა. ამ თამაშში ჩვენი თანამემამულე ძველ, ჩვეულ პოზიციაზე ათამაშეს - წინ წასნიეს.

ნუკრის 10 დღე

რუსულ პრემიერლიგაში ყველაზე ქართულმა გუნდმა „ვოლგამ" უხეიროდ წააგო გროზნოში „ტერეკთან" - 0:1. **ომარ თეთრაძემ** ქართული სიქსტეტიდან სასტარტოში სამი ათამაშა (**გრიგალავა**, **სალუქაძე**, **გოგუა**), ბოლო წუთებზე კი თავის გამოჩენის შანსი **მათე ვაწაძესაც** მისცა. ტრავმის გამო არ იყო **გოჩა ხოჯავა**, ხოლო **ოთარ მარცვალაძის** უთამაშებლობა მწვრთნელმა ვირუსით ახსნა. მეორე ტაიმში მასპინძელთა რიგებშიც გამოჩნდა ქართველი, თამაშში **ლევან გვაზავა** ჩაერთო. ბოლო წუთზე მას „ვოლგას" კარში მეორე გოლის გატანაც შეეძლო. „ჩემპიონმა" ჩვენებურთა შორის სწორედ გვაზავა გამოარჩია (6 ბალი), სხვებს კი 5,5-5,5 აკმარა (ვანაძე შეფასების გარეშე დატოვეს). მეორე ტაიმის დასაწყისში გოგუა დაშავდა, ტრავმა სერიოზულს კი ჰგავდა, მაგრამ გოგიტამ შეძლო დაბრუნება.

ჯანო ანანიძე კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ **ვალერი კარპინმა** ცსკა-სთან მისი დაყენება ვერ გარისკა. ქართველი სათადარიგო იყო. შეგახსენებთ, რომ მას თვე-ნახევარია, არ უთამაშია. ტრავმების პრობლემა ისევ აქტუალურია ჩვენს ლეგიონერებში - „ანჟის" კარს სეზონში პირველად არ იცავდა **ნუკრი რევიშვილი**, მახაჩყალელთა ოფიციალური საიტის მტკიცებით, საქართველოს ნაკრების გოლკიპერი ტრავმის გამო კლუბს 10 დღით დააკლდება.

კახა კალაძე (№13) ნაპოლისთან

თორნიკე თუ მათე?

უკრაინის პრემიერლიჰის დასრულებამდე 3 ტურიღა რჩება და უკვე ცხადია, რომ ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" ერთად ერთი ისეთი გუნდი გავარდება, სადაც ქართველი თამაშობს - ყველაზე ცუდად საქმე **თორნიკე ოქრიაშვილის** „ილიჩივეცს" (23 ქულა) და **მათე ღვინიანიძის** „სევასტოპოლს" (24) აქვთ. დალხენილად ვერც **ჯაბა კანკავას** „კრივბასი" (26) და **ჯაბა ლიპარტიას** „ზარია" (27) გრძნობენ თავს. ბოლო ტურში კანკავას „კრივბასმა" უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება მოუგო ღვინიანიძის „სევასტოპოლს" - 3:1. მე-15 წუთზე ჯაბას თავით გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ მეტოქის მცველმა დაასწრო მას.

ტურის მსხვერპლთა შორის მოხვდა ჯაბა ლიპარტია, მას „ვორსკლასთან" დაპირისპირებაში ფეხი გადაუტრიალდა და შესაცვლელი გახდა. გუშინ ქართველს ერთობ ხიფათიანი დღე ჰქონდა, ამ ტრავმამდე ის თავით შეეჯახა მეტოქეს. აღსანიშნავია, რომ ამ ტურში სექტემბრის შემდეგ პირველად ვიხილეთ ოფიციალური მატჩის განაცხადში **სანდრო კობახიძე** (კიევის „არსენალი"), ჯერ მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე.

ჩვენ დავბრუნდით

„ჩვენ დავბრუნდით", - იუწყებოდა წუხელ „ორჰუსის" ოფიციალური საიტი. დიახ, „სკივეს" დამარცხების შემდეგ **დავით დევდარიანი** და კომპანია დანიის უმაღლეს ეშელონს დაუბრუნდა.

კახა კალაძის თამაში ნეაპოლში საეჭვო იყო, თუმცა ქართველთა კაპიტანმა შეძლო გამოსვლა და ნორმალურადაც გაისარჯა. ოლონდ, ერთ ეპიზოდში (23-ე წუთზე) უნებლიეთ ხელით შეეხო ბურთს საჯარიმოში, რის შემდეგაც ბურთი „ჯენოას" კარში გავიდოდა, რომ არა მეკარე **ედუარდო**. „ჯენოა" 0:1 დამარცხდა „ნაპოლისთან". სერია ბ-ში თავი არაფრით გამოუჩენია **ლევან მჭედლიძეს**.

ლადომ გოლი გაიხსენა

თვენახევრიანი „შიმშილობის" შემდეგ გოლი გაიტანა **ლადო დვალიშვილმა**. მან თავი „მაქაბისა" და თელ ავივის „ჰაპოელის" დაპირისპირებაში გამოიჩინა. 66-ე წუთზე ქართველმა ფორვარდმა დამატებაზე იყოჩაღა. ეს მისი მე-12 გოლია ჩემპიონატში. უშუალო კონკურენტის დამარცხების შემდეგ „მაქაბი" პირველ ადგილზე გადავიდა და 2 ქულით გაუსწრო „ჰაპოელს".

შესაძლოა, სწორედ **ლევან მაღრაძის** ფანტასტიკური გოლის წყალობით დარჩეს უმაღლესში „ერმისი" - კვიპროსის ჩემპიონატის მორიგ ტურში სტუმრად „პაფოსთან" ქართველის გუნდმა მაღრაძის შორეული დარტყმის შემდეგ გაათანაბრა ანგარიში და ქულა იხსნა - 1:1. ლევანის დარტყმული ჯერ ხარიხას მოხვდა და ისე შევარდა მასპინძელთა კარში. ახლა „ერმისი" პირველობის დასრულებამდე 2 ტურით ადრე 4 ქულით უსწრებს გასავარდნ ზონას. მარჯვენა მცველის პოზიციაზე მოთამაშე მაღრაძისთვის ეს მე-5 გოლია ჩემპიონატში. აზერბაიჯანის ჩემპიონატში მე-14 გოლი გაიტანა **გიორგი ადამიამ** (ყარაბახი).

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ფეხბურთელი	ასაკი	კლუბი	მეტოქე	ანგ.	შენიშვნა	სეზონი
იტალია. სერია A						
კახა კალაძე	33	ჯენოა	ნაპოლი	0:1 (გ)	90 წთ	24 თ, 1 გ.
სერია B						
ლევან მჭედლიძე	21	ემპოლი	სასუოლო	0:1 (გ)	90 წთ, გააფრთხ.	18 თ, 2 გ
ინგლისი. ჩემპიონშიპი						
ზურაბ ხიზანიშვილი	29	რედინგი	ქოვენთრი	0:0 (გ)	90 წთ	22 თ
გერმანია. II გუნდესლიგა						
ლევან კობიაშვილი	33	ჰერტა	მიუნხენი	1:2 (შ)	90 წთ	30 თ, 2 გ
ალექსანდრე იაშვილი	33	კარლსრუე	ფორტუნა	2:2 (შ)	86 წთ (შეცვალეს)	29 თ, 7 გ
საფრანგეთი. ლიგა II						
გიორგი მაკარიძე	21	ლე მანი	ევიანი	დღეს	-	0 თ
ნასიონალი						
ამირან სანაია	21	გასტია	ალფორვილი	4:0 (გ)	არ უთამაშია	8 თ
რუსეთი. პრემიერლიგა						
ლაშა სალუქვაძე	29	ვოლგა	ტერეკი	0:1 (გ)	90 წთ	7 თ
გოგიტა გოგუა	27	ვოლგა	ტერეკი	0:1 (გ)	90 წთ	5 თ
გოჩა ხოჯავა	26	ვოლგა	ტერეკი	0:1 (გ)	ტრავმა	6 თ, 2 გ
ოთარ მარცვალაძე	26	ვოლგა	ტერეკი	0:1 (გ)	გაცივება	6 თ, 1 გ
მათე ვაწაძე	22	ვოლგა	ტერეკი	0:1 (გ)	11 წთ (შეცვლაზე)	3 თ
გია გრიგალავა	21	ვოლგა	ტერეკი	0:1 (გ)	90 წთ, გააფრთ.	7 თ
ალეკო ამისულაშვილი	28	კრასნოდარი	ზენიტი	0:0 (შ)	ტრავმა	5 თ
დავით სირაძე	29	ნალჩიკი	დინამო	დღეს		4 თ
ნუკრი რევიშვილი	24	ანჟი	როსტოვი	1:0 (შ)	ტრავმა	4 თ
ირაკლი კლიმიაშვილი	22	ანჟი	როსტოვი	1:0 (შ)	დუგლეგი	0
ლევან გვაზავა	30	ტერეკი	ვოლგა	1:0 (შ)	31 წთ (შეცვლაზე)	5 თ
ჯანო ანანიძე	18	სპარტაკი	ცსკა	1:0 (გ)	სათადარ.	1 თ
უკრაინა. პრემიერლიგა						
უჩა ლოგჟანიძე	24	დნიპრო	მეტალურგი ზ.	3:0 (შ)	სათადარ.	16 თ
სანდრო კობახიძე	24	არსენალი	მეტალურგი დ.	5:1 (გ)	სათადარ.	1 თ
ვასილ გიგიაძე	33	ტავრია	ვოლინი	0:0 (შ)	33 წთ (შეცვლაზე), გააფრთ	20 თ
ჯაგა ლიპარტია	23	ზარია	ვორსკლა	0:1 (გ)	73 წთ (შეცვალეს)	8 თ
თორნიკე ოქრიაშვილი	19	ილიჩივეცი	ოგოლონი	0:2 (გ)	7 წთ (შეცვლაზე)	7 თ
ჯაგა კანკავა	25	კრივბასი	სევასტოპოლი	3:1 (შ)	83 წთ (შეცვალ.), გააფრთ	7 თ
მათე ღვინიანიძე	24	სევასტოპ.	კრივბასი	1:3 (გ)	90 წთ	6 თ
სანდრო გურული	25	კარპატი	მეტალისტი	1:1 (გ)	1 წთ (შეცვლაზე)	15 თ
ჰოლანდია. ერედივიზიე						
გურამ კაშია	23	ვიტესი	ჰსვ	1:2 (გ)	90 წთ	27 თ, 3 გ
დანია. ვიასატდივიზიონი						
დავით დევდარიანი	23	ორჰუსი	სკივე	1:0 (შ)	90 წთ	22 თ, 9 გ
რუმინეთი. პროლიგა						
აკაკი ხუგუტია	25	გაზ მეთანი	ოცელული	2:2 (გ)	არ უთამაშია	26 თ, 1 გ
ისრაელი. ლიგათ ჰაალი						
ლადო დვალიშვილი	24	მაქაბი თ.	ჰაპოელი თ.	2:0 (შ)	90 წთ, 1 გოლი	27 თ, 12 გ
კვიპროსი. I დივიზიონი						
ლევან მაღრაძე	33	ერმისი	პაფოსი	1:1 (გ)	90 წთ, 1 გოლი	27 თ, 5 გ
ლევან ძეგაძე	36	ეთნიკოსი	ალკი	0:3 (შ)	არ უთამაშია	25 თ, 2 გ
ბელარუსი. პრემიერლიგა						
ზაზა ჭელიძე	24	ბრესტი	დნეპრი	2:0 (შ)	არ უთამაშია	3 თ, 1 გ
უჩა გოგოლაძე	21	ბრესტი	დნეპრი	2:0 (შ)	1 წთ (შეცვლაზე)	2
პოლონეთი. ექსტრაკლასა						
ნიკა ძალამიძე	19	ვიძევი	ლეგია	0:1 (გ)	80 წთ (შეცვალეს)	9 თ, 2 გ
სერბეთი. სუპერლიგა						
გიორგი მერებაშვილი	24	ვოივოდინა	რადი	2:0 (შ)	არ უთამაშია	20 თ, 7 გ
ბოსნია. პრემიერლიგა						
ლევან კუტალია	21	ზრინსკი	ოლიმპიკი	1:0 (შ)	90 წთ, 1 საგოლე პასი	8 თ, 2 გ
უნგრეთი. შოპრონილიგა						
რატი ალექსიძე	32	ეტო	პაკში	1:1 (შ)	დისკვალიფ.	20 თ, 7 გ
გიორგი განუგრავა	23	ეტო	პაკში	1:1 (შ)	სათადარიგო	11 თ, 1 გ
ლაშა თოთაძე	22	ეტო	პაკში	1:1 (შ)	24 წთ (შეცვლაზე)	3 თ
თემურ შარაშენიძე	19	ეტო	პაკში	1:1 (შ)	დუგლეგი	6 თ
იაპონია. ჯეი ლიგა						
დავით მუჯირი	33	სანფრეჩე	ჯუგილო	1:1 (გ)	26 წთ (შეცვლაზე)	3 თ

ფიგურული ციგურაობა

კარგი დასასრული მოსკოვში

ელენეს რეკორდი

ელენე გედევანიშვილი

პირველი საშეჯიბრო დღის ჩაგდების შემდეგ, 21 წლის **ელენე გედევანიშვილმა** მაქსიმუმს მიაღწია, რისი მიღწევაც კიდევ შეიძლებოდა - თავისუფალ პროგრამაში ბრწყინვალედ ისრიალა და მე-15 ადგილიდან მეათეზე გადაინაცვლა. ელენემ მოსკოვის მსოფლიოს ჩემპიონატი საუკეთესო ათეულში დაასრულა, რაც მისი მიღწევის გამეორებაა - ჩვენებური ორი წლის წინათ ლოს ანჯელესშიც მეათე იყო. ელენეს თავისუფალ პროგრამაში მცირე სასნაული დასჭირდა. სასიხარულოა ისიც, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა გედევანიშვილი მოკლე პროგრამაში ყოჩაღობდა, მაგრამ უმთავრეს სეგმენტში, თავისუფალ პროგრამაში კარგავდა პოზიციებს. ამჯერად, სწორედაც პირიქით მოხდა. ჩვენებურმა მსაჯებისგან 104,63 ქულა დაიმსახურა ეს კი თითქმის ქულით სჯობს მის აქამდელ პერსონალურ რეკორდს. არადა, მას დაცემისთვის ქულა ჩამოაკლდა. ასეთმა კარგმა პროგრამამ კი ერთბაშად ხუთი ადგილით დანინაურების შანსი მისცა.

თავისუფალი პროგრამა საუკეთესოდ იაპონელმა **მიკი ანდომ** შეასრულა, მან 130,21 ქულა მოაგროვა. ეს კი თითქმის 2 ქულით უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე მოკლე პროგრამის შემდეგ დანინაურებული ოლიმპიური ჩემპიონის, კორეელი **იუნა კიმის** შედეგი. ვინაიდან, გოგონებს შორის სხვაობა უმცირესი იყო, მსოფლიოს ჩემპიონი ანდო გახდა. ახლა იაპონელი უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია, 23 წლის სპორტსმენი პირველად 2007 წელს გახდა პლანეტის საუკეთესო მოციგურავე. თავისუფალი პროგრამა დიდებულად შეასრულა **კანადელ როლინა კოსტნერმა**, იტალიელმა 124,93 ქულა მიიღო, რისი წყალობითაც მსოფლიოს პოდიუმზე ავიდა. 24 წლის კოსტნერი ევროპის 3-გზის ჩემპიონია, მსოფლიოს ჩემპიონატებში ერთხელ მეორე იყო, ორჯერ კი - მესამე.

ელენემ ჯამში 156,24 ქულა დააგროვა, თუმცა სულ რომ პირადი რეკორდი გაემეორებინა (164,54 ქულა), მეტით ვერ დაწინაურდებოდა, რადგან მე-9 ადგილზე გასულ **კიირა კორპის** 8 ქულაზე მეტით ჩამორჩა. შეგახსენებთ, რომ ორივე სეგმენტის ჯამში საუკეთესო შედეგი გედევანიშვილმა შარშან იანვარში საქართველოსთვის ისტორიულ ევროპის ჩემპიონატზე აჩვენა, მაშინ ტალინში ჩვენებურმა ზამთრის სახეობებში ქვეყანას ისტორიაში პირველი მედალი მოუტანა - ევროპული ბრინჯაო.

ქალები		
1. მიკი ანდო	იაპონია	195,79
2. იუნა კიმი	კორეა	194,50
3. კაროლინა კოსტნერი	იტალია	184,68
4. ალიონა ლეონოვა	რუსეთი	183,92
5. ალისა ჩჩისნი	აშშ	182,25
6. ჰაო ასადა	იაპონია	172,79
7. ძსენია მაკაროვა	რუსეთი	167,22
8. კანაკო მურაკამი	იაპონია	167,10
9. კიირა კორპი	ფინეთი	164,80
10. ელენე გედევანიშვილი	საქართველო	156,24



ელისონისა და ოთარის რეკორდი

ქალთა შორის მედლების გათამაშების შემდეგ მოსკოვის ყინულზე მოცეკვავე წყვილებში დასრულდა შეჯიბრება. მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები გამოვლინდნენ თავისუფალი ცეკვების შემდეგ. აქაც კარგად იასპარეზა ქართულმა - **ელისონ რიდისა** და **ოთარ ჯაფარიძის** წყვილმა. ბუნებრივია, ჩვენი დუეტი მედლებისთვის არ იბრძოდა - ის პირველად გავიდა ფინალურ სეგმენტზე და სულაც, რომ ბოლო ადგილი დაეკავებინა, მაინც საუკეთესო შედეგი იქნებოდა ჩვენთვის. მაგრამ ელისონმა და ოთარმა ცოტა მეტსაც მიაღწიეს. მე-19 ნომრებად შესულებმა პროგრამაში კიდევ ერთ წყვილს აჯობეს.

თავისუფალ ცეკვებში ჩვენებურებმა მსაჯებისგან 70,67 ქულა დაიმსახურეს, ანუ თავიანთივე რეკორდი თითქმის 3 ქულით გააუმჯობესეს. ამან კი ელისონსა და ოთარს იტალიური დუეტის გადასწრების საშუალება მისცა, ბრიტანელებს კი ისინი ისედაც უსწრებდნენ. ასე გავიდნენ ქართველები საბოლოოდ მე-18 ადგილზე. ჩვენებურებს მომავალში წინსვლის კარგი პერსპექტივა აქვთ, ოთარი 23 წლისაა, ხოლო ელისონი სულაც 16-ის.

ყინულზე ცეკვებში მსოფლიოს ჩემპიონები ამერიკელები გახდნენ - **მერილ დევისმა** და **ჩარლი უაითმა** ჯამში 185,27 ქულას მოუყარეს თავი. ჩვენი დუეტის ჯამური მაჩვენებელი კი 120,11 ქულაა (ესეც მათი ახალი რეკორდია). აღსანიშნავია, რომ ელისონ რიდის დაძმამ, იაპონიის სახელით მოასპარეზე **კეტი** და **კრის რიდებმა** საბოლოოდ მე-13 ადგილი დაიკავეს 133,33 ქულით.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ელისონ რიდი და ოთარ ჯაფარიძე ასპარეზობისას

ძიუდო

ჩემპიონაჟი ძველი სახეებით

გუშინ დიღომში, ძიუდოს აკადემიაში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის. როგორც ყველა ასაკის ნაკრებისთვის, მათთვისაც სეზონის უმთავრესი ტურნირები ევროპისა და მსოფლიოს პირველობებია, ოღონდ ამ ასაკის ძიუდოისტებს 20-ნლიანთა გარდა, ევროპა 23-წლიანთა შორისაც უწევთ. საქართველოს პირველობაც ამ შეჯიბრებებისთვის კანდიდატთა შერჩევას ემსახურება, თუმცა ეს პროცესი კარგა ხნის დაწყებულია - ახალგაზრდებმა საკუთარი შესაძლებლობები უკვე გამოსცადეს რამდენიმე შიდა ტურნირზე, ცოტა ხნის წინ კი საბერძნეთშიც იასპარეზეს. შეიძლება ითქვას, ეროვნული ნაკრების ბირთვიც იმ შეჯიბრებებზე გამოიკვეთა, თუმცა ქვეყნის პირველობა მაინც უმნიშვნელოვანესი ასპარეზია. ამიტომ მან მთელი ელიტა შეკრიბა თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა - ზოგს ტრავმა აწუხებდა, ზოგი კი ობიექტურობით სახელდაგდებულმა გუნდის თავკაცმა **გიორგი გუგავამ** გაათავისუფლა, რადგან მათ, პრაქტიკულად, გაინაღდეს ადგილი ნაკრებში. თუმცა ვიმეორებთ - გათავისუფლებულები ცოტანი იყვნენ, უმეტესობამ კი ჩემპიონატში იჭიდავა. მონაწილეთა რაოდენობაც სოლიდური მოგროვდა - 220-ზე მეტი, თუმცა ზედა წონებში მათი რიცხვი თანდათან შემცირდა. ტრადიციულად, ძალზე ცოტა მოჭიდავე იყო მძიმე წონაში, სადაც თავიდან 17 სპორტსმენი დარეგისტრირდა, მაგრამ აწონვაზე უმეტესობა არ გამოცხადდა. შედეგად, ნახევარფინალში რამდენიმე უბრძოლველად შევიდა.

რაკი წინა ასპარეზობებიდან მედალოსანთა უმრავლესობა სპეციალისტებისთვის ცნობილი იყო, ჩემპიონატმა ახალი სახეები ნაკლებად ნარმოაჩინა - სიურპრიზი არავის შემოუთავაზებია. ცხადია, მეტ-ნაკლებად მოულოდნელი შედეგები იყო, მაგრამ ესეც ლიდერთა კონკურენციაში ადგილების გადანაცვლებაში გამოიხატა მხოლოდ. მთლიანობაში, გუგავა ჩემპიონატის საერთო დონით კმაყოფილია, საევროპოდ კი გადამწყვეტი ივნისში ჩეხეთში გასამართი ევროპის ახალგაზრდული თასი იქნება. *„სიურპრიზები ნამდვილად არ ყოფილა. ერთადერთი, მხოლოდ თბილისელმა გიორგი კაციამ ვერ გამიმართლა იმედები - მისგან მედალს ველოდი, სხვა წონებში კი ყველაფერი ლოგიკურად წარიმართა. 55-ში მესაბლიშვილი და ჭელიძეც კარგი ბიჭები არიან და, სავარაუდოდ, ევროპაზე ორივეს ვაჭიდავებ. მათ საბერძნეთშიც მედლები მოიპოვეს. 60-ში მეგონა მარგველაშვილი იჩემპიონებდა, მეორე ფინალისტი კი კაცია იქნებოდა. მან ჰანტეით წაგო, თუმცა იყო სადავო ეპიზოდი, როცა გდება არ შეუფასეს. 66-ში ფინალისტად სწორედ იმ წყვილს მოვიაზრებდი, რომელიც გავიდა კიდეც - შავდათუაშვილი და არჩუაძე. აქ ლაგა ზაურიც არის, მაგრამ ამ ეტაპზე ვერაა სათანადო ფორმაში. ახლანდელი ფინალისტები სტაბილური და კარგი სპორტსმენები არიან. არ გამოვრიცხავ, ევროპაზე ორივე წავიყვანო, თუმცა მანამდე ჩეხეთში გამოვცდი - თუ მედლები მოიპოვეს, ორივეს ვაჭიდავებ. 73 კილოგრამი ჩავარდნილი წონაა - ვერც საბერძნეთში იყოჩაღა ვერავინ და ვერც ახლა. ისევ ახლებს ველოდები. უპირველესად, ჩოხელს, რომელმაც გორისა და ყვარელის ტურნირები მოიგო, ამჯერად კი ტრავმის გამო არ უჭიდავია. მასაც ჩეხეთში გამოვცდი. ამ ეტაპზე მასთან ერთად აქცენტს ქვეყნის ჩემპიონგიგანზეც ვაკეთებ, რომელიც ასევე მიმყავს ჩეხეთში, ოღონდ იქ თუ მათ მედალი ვერ მოიპოვეს, შეიძლება, ევროპაზე არც ერთი არ დავაყენო. საერთოდაც, სადაც უცხოურ შეჯიბრებებზე შედეგი არ მექნება, იქ, შესაძლოა, არავინ წავიყვანო. 81-ში, ვფიქრობ, ჩეხეთში სამი კაცი გამოვცადო - ახლანდელი ჩემპიონი ეპიტაშვილი, მესამე პრიზიორი რატიანი

მძიმეწონოსანთა (+ 100 კგ) კვარცხლბეკი

და ნინიძე. იქ ვინც უკეთ იჭიდავებს, ევროპაზეც ის გამოვა. ყოველ შემთხვევაში, ამ წუთას, ცხელ გულზე ასე ვფიქრობ. მათ თითქმის ერთნაირი შედეგები აქვთ - რატიანმა გაიმარჯვა გორში და ყვარელში, მაგრამ წაგო საბერძნეთში; ნინიძე მეორე და მესამე იყო შიდა შეჯიბრებებში, საბერძნეთში - პირველი, ახლა საქართველოზე უმეტესლოდ დარჩა, ეპიტაშვილი კი ამჯერად ჩემპიონი გახდა, ბრინჯაო მოიპოვა გორსა და ყვარელში, საბერძნეთში კი მესამესთვის შეხვედრა წაგო. შანსს სამივეს მივცემ. 90-ში ამჯერად დავასვენეთ გიორგი მერმანიშვილი, რომელიც ძალზე სტაბილურია - შიდა ტურნირებიც მოიგო და საბერძნეთისაც. მას ჩეხეთში სტარტისთვის წავიყვანთ, თორემ ევროპაზე წასვლა განაღდებული აქვს - რა უნდა მოხდეს, იქ რომ არ დავაყენო. ის ნამდვილი მოჭიდავეა, ნამდვილი ძიუდოისტი, რომელმაც საბერძნეთშიც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და აქაურ შეჯიბრებებშიც. 100-ში ამ ფინალისტებს გამოვცდი ჩეხეთში და ვინც უკეთ გამოვა, ევროპაზეც ის დადგება, გაორება კი მაგ წონაში გამორიცხულია. მძიმეში გამოსაცდელად კოკაურსა და ლევან მატიაშვილს ნავიყვან. მატიაშვილს ფეხი სტკიოდა და ახლა ამიტომ ვერ გამოვიდა, მაგრამ მანამდე გორში მეორე იყო, ყვარელში - მესამე, საბერძნეთში კი მოიგო. ამასთან ამ შეჯიბრებებში ორჯერ დაამარცხა კოკაური - გორშიც და საბერძნეთშიც, გადასასვლელი. მთლიანობაში, მჩატე წონებში კარგი სურათი დავინახეთ, მძიმე წონებში კი შედარებით გვიჭირს", - გვითხრა გუგავამ.

დასასრულს, გეტყვით, რომ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა შიდა ქართლის გუნდს ერგო, მეორეზე ქვემო ქართლი გავიდა, მესამეზე - კახეთი. რაც ყველაზე გასაკვირია, თბილისს მხოლოდ ერთი ოქრო ერგო, თუმცა ესეც კახეთთან საზიარო - დედაქალაქელებმა 90 კილოგრამში **გიორგი ქავთარაძის** ჩემპიონობა მიითვალეს აქტივში, რომელიც თბილისში კი ვარჯიშობს, მაგრამ ჩემპიონატში კახეთის სახელით გამოვიდა. „ნაღდ თბილისელთაგან" ფინალშიც კი მხოლოდ ერთმა იჭიდავა - **თეიმურაზ ხაჩიძემ** 81-ში. რაკი რეგიონებს შევეხეთ, იმერელები პროგრესსაც აღვნიშნავთ - ასაკობრივ შეჯიბრებებში იქაურები სულ უფრო უმატებენ და ლიდერთა შორის მყარად მკვიდრდებიან, ამჯერად კი 100-ში სულაც იმერული ფინალი ვიხილეთ.

კვარცხლბეკი. ბიჭები
55 კგ. 1. გიორგი მესაბლიშვილი (კახეთი), 2. ლერი ჭელიძე (იმერეთი), 3. ზაზა როსტომაშვილი (კახეთი), ტარიელ ნამგალაური (ქვემო ქართლი).
60 კგ. 1. ვაჟა მარგველაშვილი (შიდა ქართლი), 2. ტრისტან ფეიქრიშვილი (აჭარა), 3. ასლან გურჩიანი (იმერეთი), გიორგი ახალკაციშვილი (სამცხე-ჯავახეთი).
66 კგ. 1. ლაშა შავდათუაშვილი, 2. ოთარ არჩუაძე (ორივე - შიდა ქართლი), 3. პავლე ქავთარაძე (მცხეთა-მთიანეთი), ვანო თოთლაძე (თბილისი).
73 კგ. 1. ფრიდონ გიგანი (ქვემო ქართლი), 2. ნიკა გოგინაშვილი (შიდა ქართლი), 3. თამაზ ონიანი (იმერეთი), გიორგი ოშაყმაშვილი (ქვემო ქართლი).
81 კგ. 1. ზურაბ ეპიტაშვილი (ქვემო ქართლი), 2. თეიმურაზ ხაჩიძე (თბილისი), 3. ბექა რატიანი, თენგიზ კაკლიაშვილი (ორივე - ქვემო ქართლი).
90 კგ. 1. გიორგი ქავთარაძე, 2. ილია ოტიაშვილი (ორივე - კახეთი), 3. თორნიკე ოთინაშვილი (სამხრეთ ოსეთი), გიორგი სეტიელი (თბილისი).
100 კგ. 1. ელგუჯა ბიბილაშვილი, 2. გიორგი ცნობილაძე (ორივე - იმერეთი), 3. გიგა თაყაძე (შიდა ქართლი), დავით მერაბიშვილი (თბილისი).
+100 კგ. 1. უშანგი კოკაური (შიდა ქართლი), 2. სლავა რეზესიძე (ქვემო ქართლი), 3. ამბროსი კონკოშვილი (თბილისი), როსტომ ხახალეიშვილი (იმერეთი).

ირაკლი თავაძე

წყალბურთი

ლიგამუსი პირველია

საცურაოაუზ „ოლიმპიკში" დამთავრდა 1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა. უკვე ვწერდით, რომ ნახევარფინალში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყლოსნო კლუბ „ლიგამუსის" წარმომადგენლებმა „ქუთაისს" სძლიეს 23:1, ხოლო სასპორტო კლუბ „ივერიის" პირველმა გუნდმა „ბათუმს" მოუგო — 20:2.

ფინალური მატჩი დაძაბული გამოდგა. საინტერესო პაექრობაში ლიგამუსელებმა (ილია გიგაური, ჯემალ ზაბახიძე, ლაშა ბერიშვილი, რეზი იმნაიშვილი, მამუკა თუხარელი, ვიქტორ გვიმრაძე, გიორგი ჭედია, ილია დუმბაძე, ალეკო ფირცხალავა, თედო შავიშვილი, ირაკლი რაზმაძე, ზურაბ კვირკველია, ლუკა მგელაძე, ლევან მოსაშვილი, გოჩა ვადაჭკორია, დაჩი ხეჩუაშვილი, მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე) ერთი ბურთის სხვაობით იმარჯვეს — 8:7 (2:1, 2:3, 3:2, 1:1) და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილი ივერიელებს ხვდათ, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „ბათუმმა", „ქუთაისს" 9:4 (3:0, 3:1, 3:3, 0:0) აჯობა.

ვაჟა დანელია

ცურვა

ბრინჯაპო რეკორდით

ოთხი ქართველი მოცურავე (**გიორგი მთვრალაშვილი, ირაკლი ბოლქვაძე, დათო სიხარულიძე, გიორგი ბუხრიკიძე**) მონაწილეობდა ბელარუსის ღია პირველობაში, რომელსაც ბრესტმა უმასპინძლა. ჩვენებურთაგან განსაკუთრებით ბოლქვაძემ იყოჩაღა. 17 წლის სპორტსმენმა რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ჩემპიონატში თანატოლთა შორის ქვეყნის რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში. ბრესტში კი მან ამავე დისტანციაზე უფროსებშიც მოხსნა საქართველოს რეკორდი — 2.21,8 , რითაც ტურნირზე ბრინჯაოს მედალიც დაიმსახურა (საგულისხმოა, რომ ივლისის მინურულს ბოლქვაძე შანხაიში მსოფლიოს ჩემპიონატზეც მოსინჯავეს ძალებს). დანარჩენმა ქართველმა მოცურავეებმა პირადი შედეგები კი გააუმჯობესეს, მაგრამ კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

ვაჟა დანელია

ნი წლის წინათ...

1-8 მაისი, 1951 წ.

ყოველი სტრიქონი, რომელიც ისტორიაში იმკვიდრებს ადგილს, დროთა განმავლობაში ძვირფასი ხდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ წარსულის ამბებს გვამცნობს, არამედ ეპოქის სუნთქვა-მაჯისცემასაც ვიგებთ, რაც თავისთავად საინტერესოა, მით უმეტეს თუ სპორტთან გვაქვს შეხება.

მაშ ასე, ვნახოთ რა ამბები შემოგვინახა 1951 წლის მაისის პირველი კვირის „ლელომ".

■ **1951 წლის** მაისის პირველ რიცხვებში დაფუძნდა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი. საბჭოთა სპორტსმენებმა, მათ შორის საქართველოში, დაიწყეს მზადება ჰელსინკის 1952 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის.

■ **ტალინში** 8 ქალაქის ვაუ ფრენბურთელთა ასპარეზობაში თბილისის გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა.

■ **გორში** ჩატარდა პირველი საქალაქო სპარტაკიადა.

■ **თბილისის** „დინამომ" 2 მაისს რიგაში „დაუგავას" 1:0 მოუგო და სსრ კავშირის ჩემპიონატში 9 ქულით გალიდერდა.

■ **ბათუმში** ჩატარდა ლექციები ფეხბურთის ისტორიაში.

■ **სპორტის** დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭათ მოკრივეებს **ლევან ღუდუშაურსა** და **შალვა გორგასლიძეს.**

ჩოგბურთი

ბიგულთან ახლოს

ანთალიის 10-ათასიან ტურნირში საკვალიფიკაციო ტურნირიდან ძირითადის ფინალში გავიდა 19 წლის **ეკა გორგოძე** (503). ჩვენ ამ ტურნირის შესახებ თხრობა მეოთხედფინალზე შევაჩერეთ, სადაც ეკამ რუს **ალექსანდრა რომანოვას** (738) მოუგო - 6:0, 7:5. მე-2 ნომრად განთესილმა ქართველმა ნახევარფინალში გერმანელ **კატარინა ლენერტს** (860) სძლია - 6:3, 6:7 (5), 6:2. გორგოძე ტიტულთან ასე ახლოს იყო, მაგრამ ვერ შეწვდა - ფინალში რუს **იანა ბუჩინასთან** (600) დამარცხდა - 3:6, 4:6. ამ დღეებში ეკა ეროვნულ ნაკრებს ქაიროში შეუერთდება, სადაც ჩვენი გუნდი „ფედერაციის თასზე" იასპარეზებს.

ეკა გორგოძე

17 წლის **ალექსანდრე მეტრეველმა** (მსოფლიოს 82-ე ჩოგანი ახალგაზრდებში) იტალიურ სალსომაჯორეში მე-2 კატეგორიის ტურნირში კარგად იასპარეზა. მე-13 ნომრად განთესილი ქართველი საბოლოოდ ერთეულთა თანრიგს ნახევარფინალში დაემშვიდობა. აღსანიშნავია, რომ მეტრეველმა გზად შეჯიბრების ორი ფავორიტი გამოთიშა - პირველ ნომრად განთესილი შვეიცარიელი **დიმიტრი ბრეტინგის** (29) დამარცხების შემდეგ, ჩვენებურმა მე-5 ნომრად განთესილ ჩეხ **ადამ პავლაშეკსაც** (72) აჯობა - 7:5, 6:2. ნახევარფინალში ჩვენს თანამემამულეს მასპინძელი **ამერიგო კონტინი** (299) ელოდა, პირველი სეტი ქართველმა მოიგო, მაგრამ შემდეგ იტალიელმა იმძლავრა - 6:3, 4:6, 4:6. ახლა მეტრეველი „დევისის თასზე" საქართველოს ნაკრებში გამოცდის ძალებს, ჩვენი გუნდი მალტაში ითამაშებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქადრაკი

ქართული დესანტი ათეულს მიღმა

აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის - **ჰეიდარ ალიევის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში საქართველოდან 7 მოჭადრაკე მონაწილეობდა. რვა ტურის შემდეგ ჩვენებურთაგან საპრიზო ადგილებთან მიახლოების შანსი ჰქონდათ **მერაბ გაგუნაშვილსა** და **მიხეილ მჭედლიშვილს.** გაგუნაშვილი თეთრი ფიგურებით ალექსანდრ იპატოვთან (ესპანეთი) დამარცხდა, მჭედლიშვილი კი აზერბაიჯანელ ლოგმენ გულიევს დაუზავდა. ორივემ 5,5-5,5 ქულა მოაგროვა და, შესაბამისად, მე-14 და მე-16 ადგილები დაიკავეს.

დანარჩენ ქართველთა ბოლო ტურის შედეგები ასეთია: **დავით ბენიძე**-სერგეი სოკოლოვი (რუსეთი), 0,5:0,5, ევგენი მიროშნიჩენკო (უკრაინა)-**სოფიკო გურამიშვილი** 1:0, შოჯაათ ჩეინი (ირანი)-**კონსტანტინე შანავა** 0:1, **ალექსანდრე ყაშაშვილი**-ჯახანგირ აგარაგიმოვი (აზერბაიჯანი) 0,5:0,5, ფარვანა ისმაილოვა (აზერბაიჯანი)-**აკაკი შალამბერიძე** 0:1. რაც შეეხება ლიდერთა პაექრობას, ანტონ კორობოვმა (უკრაინა) ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ ფრანსისკო ვალეხოს (ესპანეთი) აჯობა და 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ივან სოკოლოვმა (ჰოლანდია) ვან იუეს (ჩინეთი) მოუგო. დაზავდნენ: ზოლტან ალმაში (უნგრეთი)-ილია სმირინი (ისრაელი), ელთაჯ საფარლი (აზერბაიჯანი)-გადირ გუსეინოვი (აზერბაიჯანი). გამარჯვებულს (კორობოვს 10 ათასი დოლარი ერგო) ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და მეორე-მესამე ადგილები ალმაშიმ და ვალეხომ გაინაწილეს. ჩვენებურთა მონაგარი: 14. გაგუნაშვილი (5,5), 16. მჭედლიშვილი (5,5), 18. ბენიძე (5), 23. შანავა (5), 32. გურამიშვილი (4), 34. ყაშაშვილი (4), 46. შალამბერიძე (3,5). გურამიშვილმა ქალებში მე-2 ადგილი დაიკავა. მას ნახევარი ქულით მასპინძელმა ტურკან მამედიაროვამ გაუსწრო. მესამე ადგილზეც აზერბაიჯანელი გულნარ მამადოვა გავიდა.

ვაჟა დანელია

მილოცვა

1 მაისს 80 წელი შეუსრულდა ვეტერან მძლეოსანს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **ნოე ლობჟანიძეს.**

ბატონმა ნოემ 12 წლის ასაკიდან დაუკავშირა თავისი მომავალი სპორტს და დიდ წარმატებასაც მიაღწია. იყო საქართველოს რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში. 1955 წლიდან დაიწყო მწვრთნელის კარიერა და სპორტის 13 ოსტატი აღუზარდა ქართულ მძლეოსნობას. თავი გამოიჩინა აგრეთვე, როგორც შესანიშნავმა ორგანიზატორმა. 9 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა უმაღლესი დაოსტატების სპორტულ სკოლას, 1986 წლიდან 2004 წლამდე კი იყო ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი. დღემდე, 80 წლის ასაკშიც, იგი აქტიურად არის ჩაბმული სპორტულ ცხოვრებაში, ავარჯიშებს და მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს.

უდავოდ დიდია მისი ღვაწლი საერთოდ ქართულ სპორტში და ამის ნათელი დადასტურებაა ღირსების ორდენი, რომელსაც იგი დიდი პატივით ატარებს.

ვულოცავთ ბატონ ნოეს 80 წლის იუბილეს.

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ელ კლასიკო; 5. აშიკი; 9. ფლო; 10. პეტრიაშვილი; 12. დჰაულაგირი; 13. ბანერი; 14. ამადეი; 15. ანისიმოვი; 17. ოროლი; 18. იპოდრომი; 24. ასპრილია; 26. მვილა; 27. კეპკე; 28. "პარტიზანი"; 29. ფორლანი; 30. იონგი.

შვეულად: 2. ლილეჰამერი; 3. სტეფანია; 4. კარტინგი; 6. შევჩენკო; 7. კულჰარდი; 8. კალიბრი; 11. ბურდული; 16. ნეპელა; 19. დიავარა; 20. "ოლიმპიკი"; 21. იგუიტა; 22. საბატინი; 23. ცრვენა; 25. საპორო; 27. კაფუ; 28. პიტ.

დაფასება და პარალელები

უბინაოდ დარჩენილი ქართველები

რას იღებენ უცხოელები და როგორ აფასებენ სპორტსმენებს საქართველოში

საბედნიეროდ, საქართველოში სპორტსმენთა ანაზღაურება პრობლემად აღარ რჩება - სამთავრობო განკარგულებით ეს საკითხი დღის წესრიგიდან ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნა. ბოლო ხანებში ჩვენებურთა დაფასება რამდენჯერმე შევადარეთ უცხოელებისას და ამ თემასთან მიბრუნება პოსტფაქტუმ, ახლახან დასრულებული ძიუდოსა და ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატების შემდეგ ისევ გვიწევს, ვინაიდან ორი ახალი საინტერესო ფაქტი ამოტივტივდა. საინტერესოა, რომ ორივე ქართველებს ეხებათ, ოღონდ უცხოეთის სახელით მოასპარეზეებს, რომლებმაც ზემოაღნიშნულ პირველობაზე გაიმარჯვეს. პირველ შემთხვევაში რუსეთის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი **ამბაკო ვაჩაძე** (66) ფიგურირებს, მეორეში - უკრაინის ძიუდოისტთა ნაკრების ლიდერი **გიორგი ზანთარაია** (60).

მოგეხსენებათ, ქუთაისელი ვაჩაძე წლეულს ზედიზედ მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი, შარშან კი მსოფლიოს პირველობაც მოიგო. დორტმუნდში დასრულებული კონტინენტის პირველობის შემდეგ მასთან ინტერვიუ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდა, სადაც სოციალურ თემატიკაზე საუბრისას განაცხადა, რომ მსოფლიოს პირველობაზე გამარჯვების შემდეგ მოსკოვში ერთოთახიანი ბინა მისცეს! საბინაო პრობლემა გაცილებით მწვავედ დგას ზანთარაიას წინაშე - ის მშობლებთან და უმცროს ძმასთან ერთად თავიდანვე ერთოთახიანში ცხოვრობდა, შარშან კი ოჯახის წევრებს მისი მეუღლეც დაემატა! წარმოიდგინეთ, რა სივიწროვე იქნება ასეთ ბინაში, სპორტსმენს კი განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. ერთხელ ზანთარაიამ ისიც განაცხადა, ყოველ ღამე 22 საათზე უკვე მძინავს, რათა დავისვენო და მეორე დღისთვის ენერგია მოვიკრიბოო, თუმცა საეჭვოა, იმ სახლში, იმდენ ხალხში მშვიდად ძილის საშუალება ჰქონდეს. მას საბინაო პრობლემაზე ადრეც დაუჩივლია და ახლაც გამოთქვა სინანული, რომ მთავრობა უკრაინის ისტორიაში ძიუდოში მსოფლიოს პირველი ჩემპიონისადმი სათანადო ყურადღებას არ იჩენს. მან ევროპის პირველობაზე გამარჯვებისთვის პრემიად 2500 ევრო მიიღო ძიუდოს ევროპული ფედერაციისგან, ადგილობრივი ხელისუფლებისგან - 25 ათასი უკრაინული გრივნა. ზანთარაიას თქმით, ამ თანხით კიევში ერთოთახიან ბინას ვერ იყიდის. *„ყველა მპირდება, მაგრამ სანყენია, ხელისუფლება ჩემს მიღწევებს რომ არ აფასებს. უკვე ვგრძნობ, ნელ-ნელა სტიმულიც მერომევა და თანდათან ხელებიც ჩამოვყარე. უკრაინიდან პირველი მე გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოში, მოვიგე ევროპის პირველობა და არ ვიცი, კიდევ რა უნდა გავაკეთო, ბინა რომ მომცენ!"* - ამბობს გაკვირვებული ზანთარაია. კორესპოდენტი მას ოლიმპიადას შეახსენებს, მოიგე და 100 ათას დოლარს მიიღებო, რაზეც სპორტსმენმა უპასუხა, ოლიმპიადა ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება, მე კი მინდა, მას კარგ ფორმაში შევხვდე და არა გულგატეხილიო. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დასასრულს ზანთარაია მაინც ამბობს, უკრაინის სახელით მინდა ვიბრძოლოო. კეთილი და პატიოსანი - მისი ნებაა, ვისი სახელით იჭიდავებს, მაგრამ იმავე ინტერვიუთი ირკვევა, რომ თურმე ორი წლის წინ თურქები ეპატიჟებოდნენ. საინტერესოა, სად იყვნენ ამ დროს ქართველები? მართალია, ზანთარაიას ასე იოლად არავინ გამოუშვებს უკრაინიდან, მაგრამ როცა მუმი კეთდება და ძალაუნებურად ხელი არ უნდა ვუბიძგოთ ვაჭრობა-ულტიმატუმისკენ. მათ უნდა ვასწავლოთ, რომ ყველაზე დიდი ჯილდო სამშობლოს სახელის წარმატებით დაცვა იქნება და არა ფული, ბინა ან მანქანა. ერთხელ ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მზია ჯუღელმა** მომავალ სპორტსმენებს, პატარა ბავშვებს მიმართა, თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, რამდენად ბედნიერები ხართ, შენიანზე სხვები ტაციაობენ, ცოტა ჩვენც უნდა გავტოკდეთ. არადა, წლების წინ ჩვენს ფედერაციაში ზანთარაიაზე მითხრეს, რომ ის არ სჭირდებოდათ, რადგან ამ წონაში საკუთარი სპორტსმენებიც ჰყავდათ!

თუმცა ეს სხვა საკითხია, მათი საბინაო პრობლემა კი საყურადღებო სხვა მხრივაც მოგვეჩვენა. ევროპის წლევანდელ პირველობებზე საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი ახალმა თაობამ, რომელმაც საოლიმპიადოდ დიდი იმედები ჩაგვისახა. თბილისში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მათ კიდევ ერთხელ აღუთქვეს, რომ წლის ბოლოს კუთვნილ პრემიებს მიიღებენ და თან რამდენჯერმე მოუბოდიშეს კიდეც, ეს მინიმუმია, რასაც სახელმწიფო გიკეთებთო. არადა, არაა მინიმუმი და აჯობებს, სპორტულ წარმატებებს მეშჩანურ საბურველში ნუ გავხვევთ - საქართველოში სხვებზე უკეთ აფასებენ მათს მიღწევებს და არასოდეს კმაყოფილდებიან მხოლოდ სახელმწიფო პრემიებით. არადა, ბოლო ხანებში თითქოს რაღაც ჩვეულებრივი სახე მიიღო ბინებითა და პრემიებით ვაჭრობამ, ბევრისგან თითქოს ისეთი პოზიცია გამოიკვეთა, თუ ამას არ გამიკეთებთ, არ ვიჭიდავებო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთებს ხელფასი სტიპენდიაში აერიათ და მაინც ითხოვდნენ ანაზღაურებას, ბინებს, პრივილეგიებს იმის მიუხედავად, რომ წარმატებები უკვე აღარ ჰქონდათ. ეს პრობლემა როგორღაც მოგვარდა და ვფიქრობთ, ახალ თაობას მაინც აღარ უნდა ჩავუბეჭდოთ, რომ მათთვის მინიუცხოეთში საქართველოს სახელის დაცვა რომ შეგიძლიათო და ამის თქმაზე ატირდა... მართლაც დიდი ბედნიერებაა, მთელი მსოფლიო რომ ქართველად გაგიცნობს და რუსს არ დაგიძახებს! აი, სწორედ ეს უნდა იყოს ნებისმიერი ქართველი სპორტსმენისთვის უპირველესი მიზანი, თუმცა კიდევ ვიმეორებთ - ქვეყანა არც ფინანსურად ივიწყებს მათს მიღწევას. ეს ორი მაგალითი ხომ შემოგთავაზეთ და რამდენიმეს ადრინდელსაც შეგახსენებთ: ძიუდოში უკრაინის ორგზის ოლიმპიური ვერცხლ-ბრინჯაოს პრიზიორი **რომან გონტიუკი** (81) და თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიადის ვიცე, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ვასილ ფედორიშინი** (60) დღემდე თითო-ოთახიან ბინებში ცხოვრობენ; შარშან რუსი ძიუდოისტი **ივან ნიფონტოვი** (81) ევროპის ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოსიც, ეს მიღწევა კი იმით დაუფასეს, რომ ბინა მოსკოვში კი არა, მშობლიურ ბარნაულში უყიდეს. ისიც ერთოთახიანი და ისიც 10% მას დაეფარინეს! სამშობლოში, საერთოდ, გაუგონარი ამბავი შეემთხვა ტაჯიკ ძიუდოისტ **რასულ ბოკიევს** (73) - მსოფლიოსა და ოლიმპიურ პრიზიორს არათუ რაიმე მისცეს, შეჯიბრებებზეც ვერ აგზავნიდნენ, ხელფასსაც ვერ უხდიდნენ და იძულებული გახადეს, რუსეთში წასულიყო. ტაჯიკეთის ხელისუფლება მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდა და უკანაც დააბრუნა, თან ყველანაირი პირობა შეუქმნა სავარჯიშოდ.

ირაკლი თავაძე

ქართული ჭიდაობა

7 გუნდის ფალავნები 6 წონაში

დასრულდა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ზონალური და ფინალური პირველობები ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის და უმალვე დაიწყო მოზრდილთა იმავე რანგის ასპარეზობა, რომლის ფინალური ეტაპი ივნისის შუა რიცხვებში თბილისში გაიმართება.

პირველ ზონალურ პირველობაში საჩხერის სპორტსკოლის ახალ დარბაზში საჭიდაოდ გამოვიდნენ: ზესტაფონის, ცაგერის, ტყიბულის, ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიისა და საჩხერის წარმომადგენლები. სხვათა შორის, საჩხერე და აქაური სპორტსკოლა (დირექტორი **ჯონი მიქაძე**) ზედიზედ მეორედ წარმატებით მასპინძლობდა ამ პირველობას. მასპინძლებმა არც საჭიდაო სარბიელზე შეირცხვინეს თავი. მძიმეწონოსანთა შორის პირველი ადგილი **ონისე ბუღაძემ** მოიპოვა. საჩხერელები რამდენიმე საპრიზო ადგილსაც დაეუფლნენ სხვადასხვა წონით კატეგორიაში...

სასიამოვნო სიურპრიზი იყო სამტრედიელთა გამოჩენა. ქუთაისელებმა (მწვრთნელი **გურამ მელიქიშვილი**) კი ყველაზე მეტი (3) ოქროს მედალი მოიპოვეს.

იმერეთის შემდეგ ზონალური პირველობის ეპიცენტრი უკვე კახეთში, თელავში გადაინაცვლებს. როგორც კახეთის ქართული ჭიდაობის რეგიონული ფედერაციის მესვეურებმა გვაცნობეს, შეჯიბრების გამართვა კახელებს ალავერდის დიდებული ტაძრის მიდამოებში ღია ცის ქვეშ გადაუწყვეტიათ. ახლა კი 6 წონით კატეგორიაში საჩხერეში გამარჯვებულებს გაგაცნობთ. ესენია: **ნიკა გაჩეჩილაძე** (60 კგ. ცაგერი), **ლევან ჩუბინიძე** (66, ზესტაფონი), **ლაშა ონიანი** (73), **გურამ წულუკიძე** (81), **იასონ ნემსაძე** (90, სამივე-ქუთაისი), **ონისე ბუღაძე** (+90, საჩხერე).

გაბრიელ ბარჯაძე
საჩხერე

ოლიმპიური საქართველო 1952-2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

ხუან ანტონიო სამარანჩი

● ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე

1956-1960

1956 წლის მელბურნის ზაფხულის ოლიმპიურმა თამაშებმა მისცა ქართულ სპორტს ახალი იმპულსი. სულ უფრო რთულდებოდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში ადგილის დამკვიდრება. ხალხთა სპარტაკიადამ, რომელიც 1956 წელს ოლიმპიურ თამაშებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩატარდა მოსკოვში, მიზნად დაისახა, ოლიმპიური ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევის პრობლემა ამ კომპლექსური ასპარეზობის გამარჯვებულებით მაქსიმალურად გადაეწყვიტა. სპარტაკიადამ გაამართლა და შემდეგ ტრადიციად დამკვიდრდა, ოღონდ უკვე 1959 წლიდან ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე ტარდებოდა. დავძენთ, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები დონით და მასშტაბით არაფრით ჩამორჩებოდა უდიდეს კონტინენტურ სპორტულ ასპარეზობებსაც კი. აღარაფერს ვამბობთ სპორტის ცალკეულ სახეობებში კონკურენციაზე, რომელიც, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, ევროპის ჩემპიონატს უტოლდებოდა.

ასეთმა მძიმე კონკურენციამ საბოლოოდ მხოლოდ უძლიერესებს - რჩეულთა შორის რჩეულებს გაუკვალა გზა საკავშირო ოლიმპიურ ნაკრებში. ხალხთა I სპარტაკიადაში რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელარუსის შემდეგ საქართველო მეოთხე იყო მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგრამ რუსეთმა დამატებით თავისი ოლქებისა და მხარეების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებები ცალკე სუბიექტად გამოიყვანა და, ბუნებრივია, მათაც გაგვისწრეს. საბოლოოდ საქართველო დარჩა მე-6 ადგილზე 17 კონკურენტს შორის.

საბჭოთა მთავრობამ პოლიტიკის რანგში აიყვანა სპორტი, ყველაფერი კეთდებოდა, რომ პირველობა საბჭოეთს არც რომის ოლიმპიადაში დაეთმო. ამჯერად საქართველოდან საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებში 16 სპორტსმენი მოხვდა. მათ შორის ოთხი იყო მძლეოსანი, სამი - თავისუფალი სტილის მოჭიდავე, ორი - კალათბურთელი, წყალბურთელი, მოფარიკავე და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე, ერთიც - მოცურავე (კონკრეტულ გვარებს და მათ შედეგებს გაზეთის ამავე გვერდზე გაეცნობით).

რომი, 1960 წ. მარცხნიდან: ჯონ თომასი, რობერტ შავლაყაძე, ვალერი ბრუმელი

● შეკითხვა ლელოს



- რას გამოხატავს „ოლიმპიური სიმბოლო“?

- ოლიმპიური სიმბოლო შედგება 5 ოლიმპიური რგოლისაგან, რომელიც ცალკე გამოისახება ერთ ან რამდენიმე ფერში.

„ოლიმპიური სიმბოლო“ გამოხატავს ხუთი კონტინენტის ერთობას და ოლიმპიურ თამაშებზე მთელი მსოფლიოს სპორტსმენთა თავმოყრას.

● თქვენთვის, ერუდიტებო

ვიქტორინა

ეძღვნება XVIII ოლიმპიურ თამაშებს

1. სად ჩატარდა რომის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები 1964 წელს?

ა — მონრეალში
ბ — მეხიკოში
გ — ტოკიოში

2. დაასახელეთ 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი საქართველოდან ბერძნულ- რომაულ ჭიდაობაში

ა — გივი კარტოზია
ბ — ჩემპიონი არ გვყოლია
გ — ავთანდილ ქორიძე

3. საქართველოს სპორტსმენებმა სულ რამდენი მედალი მოიპოვეს XVIII ოლიმპიურ თამაშებში?

ა — 8
ბ — 10
გ — 11

4. ვინ გახდა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ფარიკაობაში საქართველოდან?

ა — გურამ კოსტავა
ბ — ნუგზარ ასათიანი
გ — რევაზ ცირეკიძე

5. საქართველოდან რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებში?

ა — 18
ბ — 19
გ — 24

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ბ, 4-ბ, 5-ბ

● საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე

წლები და შედეგები

ოლიმპიადა: XVII, 1960 წ. რომი

რობერტ შავლაყაძე. დაიბადა 1933 წლის 1 აპრილს, თბილისში. მძლეოსნობა, სიმაღლეზე ხტომა. 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილე (IV-V ადგილი). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1962), სსრკ ჩემპიონი (1964) და სამგზის მეორე პრიზიორი (1959, 60, 62), სოციალისტური ქვეყნების თამაშებში შვიდგზის გამარჯვებული (1957-63), ძმები ზნამენსკების საერთაშორისო ტურნირის ხუთგზის ჩემპიონი (1958-62), „გიგანტთა მატჩში“ (აშშ-სსრკ) გამარჯვებული (1959). საუკეთესო შედეგი — 217 სმ. სპორტის დამსახურებული ოსტატი. იყო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი და ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე (1981-93). სეოკ-ის აღმასკომის ნევრი. ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სოკის ორდენების კავალერი.

რობერტ შავლაყაძემ მსოფლიოს მძლეოსნებიდან პირველმა დაარღვია ამერიკელთა ჰეგემონია გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში.

ავთანდილ ქორიძე. დაიბადა 1936 წლის 15 აპრილს, თბილისში. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (67 კგ). 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი (1961), სსრკ ჩემპიონატის ორგზის მეორე (1957, 60) და მესამე (1958) პრიზიორი, „ადრიატიკის“ თასის მფლობელი (1959). სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1966 წლის 11 აპრილს დაილუპა ავტოკატასტროფაში ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორ რომან ძნელაძესთან ერთად. დაკრძალულია თერჯოლაში.

I ადგილი: **რობერტ შავლაყაძე** - მძლეოსნობა (სიმაღლეზე ხტომა - 216 სმ. ოლიმპიური რეკორდი); **ავთანდილ ქორიძე** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (67 კგ).

II ადგილი: **გივი ჩიქვანაია, ლერი გოგოლაძე** (ორივე - წყალბურთი); **გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე** (ორივე - კალათბურთი); **გიორგი სხირტლაძე** - თავისუფალი ჭიდაობა (87 კგ).

III ადგილი: **გივი კარტოზია** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (87 კგ); **ვლადიმერ რუბაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა (63 კგ); **გურამ კოსტავა** (ფარიკაობა, გუნდური, პირადი - ნახევარფინალი, დაშნა).

IV ადგილი: **ალექსანდრე შჩერბინა** (მძლეოსნობა, სპორტული სიარული, 50 კმ).

I – VI ადგილებს მიღმა დარჩნენ: ვახტანგ ბალავაძე - თავისუფალი ჭიდაობა (73 კგ, XI), **რევაზ ქვაჩაკიძე, იური დიაჩკოვი** (ორივე - მძლეოსნობა). ქვაჩაკიძემ (გამორბენით სიგრძეზე ხტომა) ვერ შეასრულა საკვალიფიკაციო ნორმატივი; დიაჩკოვი ათჭიდში 8 სახეობის შემდეგ ტრავმის გამო გამოეთიშა ასპარეზობას. **ნუგზარ ასათიანი** (ფარიკაობა, პირადი - მეოთხედფინალი, გუნდი გამოეთიშა I წრიდან,ხმალი), **ბორის ნიკიტინი** (ცურვა, ესტაფეტა 4X200, VIII)

მონაწილე - 16. ოქრო-2, ვერცხლი-5, ბრინჯაო-3; სულ მედალი-10.

● გაზეთი მემატიანე

ლელო და ლელოელები

„ლელოს“ ისტორია განუყოფელია ქართული სპორტის ისტორიისგან.

ვაგრძელებთ „ლელოს“ ვეტერანი ჟურნალისტის **თენგიზ გიორგაძის** მოგონებების ციკლს „ლელოსა“ და ლელოელებზე:

1964 წელს „ლელოში“ რედაქტორად მიხეილ კაკაბაძე დააბრუნეს. გაზეთის რედაქცია ახალი თანამშრომლებით შეივსო. გაფართოვდა მოღვაწეობის სარბიელი. შესაძლებელი გახდა ლელოელთა აკრედიტაცია საზღვარგარეთ, დიდ შეჯიბრებებზე. რამდენიმე ლელოელი გაემგზავრა, მაგალითად, რომისა და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში მსოფლიო პირველობაზე. წარგზავნილებმა ნანახ-გაგონილი ნიგნებში აღნერეს. გაზეთში საგრძნობლად იმატა ნარკვევებმა, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სპორტული ცხოვრების ამსახველმა წერილებმა.

ძნელია გაიხსენო ლელოელთა იმ პერიოდის ყველა მიღწევა, მაგრამ ზოგ მაღალჩინოსანს „არ მოსნონდა“ რედაქტორის მუყაითობა, პრინციპულობა და უშნოდ დაადგეს თვალი. საბოლოოდ, მათ თავიანთი გაიტანეს - 1976 წელს რედაქტორი ჩამოაშორეს გაზეთს. ეს დიდად განიცადეს „ლელოელებმა“. ზოგმა დატოვა კიდეც გაზეთი.

იმავე წელს „ლელოს“ სათავეში მოვიდა თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ნარსულში ცნობილი სპორტსმენი (ტანმოვარჯიშე) ანზორ ბასილაია (დაბ. 1935). იგი დიდი მონდომებით და რუდუნებით ნარუძღვა კოლექტივს, შეინარჩუნა გაზეთის პრინციპები და მისწრაფება მაღალი პროფესიონალიზმისკენ. ბასილაიას დროსაც (1976-1983) მაღალ შემოქმედებით დონეზე შუქდებოდა ჩვენი სპორტსმენების თვალსაჩინო მიღწევები. მაგალითად, ახალგაზრდა მაია ჩიბურდანიძის საოცარი წარმატებები მსოფლიოს პირველობისთვის ბრძოლაში.

1984 წელს „ლელოს“ რედაქტორად დაინიშნა ნიჭიერი ჟურნალისტი, მიხეილ კაკაბაძის მოწაფე და მეგობარი, სახელგანთქმული ოსტატი-მოფარიკავე არჩილ გოგელია (დაბ. 1940). იგი ადრეც მუშაობდა „ლელოში“. შემდეგ კი ჟურნალების - „მართვესა“ და „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორი იყო. გოგელია ენერგიულად ხელმძღვანელობდა გაზეთს, შეუნარჩუნა ყველა კარგი თვისება. მაგრამ არჩილი დიდხანს არ გააჩერეს „ლელოში“. იგი გაზეთ „თბილისის“ რედაქტორად გადაიყვანეს.

„ლელოში“ მუშაობის მოკლე პერიოდში გოგელიამ მრავალი კარგი საქმე გააკეთა. მაია ჩიბურდანიძისა და მისი ძალისხმევით აღსრულდა ქართველ მოჭადრაკეთა ოცნება - „ლელოს“ დამატებად დაარსდა პირველი ქართული საჭადრაკო გაზეთი „მერანი“.

1985 წლიდან (26 წელია!) „ლელოს“ რედაქტორობს ნიჭიერი და ენერგიული ჟურნალისტი თენგიზ გაჩეჩილაძე (დაბ. 1939 წ.) მას უძნელეს პირობებში (90-იანი წლებიდან მოყოლებული) მოუხდა მუშაობა. მან გაზეთის შენარჩუნება და გამოშვება შეძლო, მაგრამ რედაქცია დიდხანს მძიმე მდგომარეობაში იყო. 2008 წლიდან „ლელო“ საგამომცემლო სახლ „კვირის პალიტრის“ პარტნიორი გახდა და საბოლოოდ გაიმართა წელში.

■ ■ ■

დღევანდელი „ლელო“ მტკიცედ იცავს თაობათა ტრადიციებს და თავდაუზოგავად შრომობს ქართული სპორტის განვითარებისა და ახალი გამარჯვებებისთვის.

ამის ნათელი მაგალითია „ლელოს“ და მისი თავკაცის თენგიზ გაჩეჩილაძის ძალისხმევა საქართველოში დიდებული საერთაშორისო სპორტული მოძრაობის - ოლიმპიზმის დამკვიდრებისთვის.

1989 წელს დაწყებული ახალი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელი იყო „ლელოს“ რედაქცია. მისი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე არჩეული იქნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარედ.

ამ ჯგუფის 46 წევრს შორის იყო 12 ლელოელი: ნ. გუგუშვილი, ა. გურასაშვილი, თ. მიგრიაული, პ. ბოჭორიშვილი, გ. ჩოჩიშვილი, დ. ჭელიძე, ზ. კახაძე, ა. კოტორაშვილი, ჯ. კასრაძე, ნ. სიმონიშვილი.

შემდგომ თენგიზ გაჩეჩილაძეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეობა დაევალა. ამ საქმესაც წარმატებით გაუძღვა ლელოელთა თავკაცი. 1989 წლის 6 ოქტომბერს სეოკ-ის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა. 175-მა წევრმა პრეზიდენტად აირჩია ნონა გაფრინდაშვილი, ვიცე-პრეზიდენტებად - თენგიზ გაჩეჩილაძე, ვიქტორ სანეევი და პაატა ნაცვლიშვილი. ახალშექმნილმა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, ისევე, როგორც მანამდე მისმა დამფუძნებელმა ჯგუფმა, ვიდრე 1990 წლის აგვისტოში დავით აღმაშენებლის გამზირზე მიიღებდა ახალ ბინას, „ლელოს“ რედაქციაში იმუშავა.

განვლილ წლებში საქართველოში ოლიმპიურმა მოძრაობამ ფართო გასაქანი ჰპოვა. ჩვენმა ოლიმპიელებმა მრავალი საამაყო გამარჯვება იზეიმეს - ოლიმპიური თამაშების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაამშვენეს საქართველოს სპორტის ისტორია.

ამ მიღწევებში ლელოელთა მცირე წვლილიც იგულისხმება.

თენგიზ გიორგაძე

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/

გაგრძელება ორშაბათობით

პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერები

საპლეიოფო ზღვართან



პეპინსტერი-მონსი. შენგელია ვან პაასენის წინააღმდეგ

ბელგიის ჩემპიონატში საპლეიოფო ზღურბლთანაა **თორნიკე შენგელიას** „პეპინსტერი". შაბათს ბელგიის თასის მფლობელ „მონსთან" სტუმრად გამართულ მატჩში პეპინსტერელები 70:78 დამარცხდნენ. შედეგად 10 მოგების ნილ 18 ნაგება მოუგროვდათ. ასეთივე მაჩვენებელი აქვს „ლუვენს", რომელიც შენგელიას გუნდთან ერთად მეექვსე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებს. პლეი ოფში 6 გუნდი გადის. რეგულარული ეტაპის დასრულებამდე დრო კიდევაა - ოთხი ტურია დარჩენილი. მომდევნო ტურში, 4 მაისს „პეპინსტერი" „ოსტენდეს" უმასპინძლებს.

ალბათ მიხვდით, შენგელიას „მონსთან" ეფექტურად რომ ეთამაშა, სტატიას მასზე ლაპარაკით დავიწყებდით. ქართველს მწვრთნელმა 9 წუთი უბოძა. დროის ამ მცირე მონაკვეთში შენგელიამ ერთი სამქულიანი ჩააგდო, რასაც თითო მოხსნა-ჩაჭრა მიაყოლა.

21 ქულით მატჩის ბომბარდირი „პეპინსტერის" ამერიკელი ლეგიონერი **რაშუან ფრიმენი** გახდა. „მონსის" რიგებში ჰოლანდიის ნაკრების ნევრი **ვან პაასენი** თამაშობს, რომელსაც ქართველი კალათბურთელები კარგად იცნობენ: 2009 წელს სანაკრებო ამხანაგური მატჩებიდან და 2007 წელს „ენერჯი"-"ამსტერდამის" საევროჩელენჯო დაპირისპირებებიდან. სხვათა შორის, „ამსტერდამის" მაშინდელი თავკაცი **არიკ შივეკი** ახლა „მონსისა" და ისრაელის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

სოხუმს ზრდელი დაეხმარება

შაბათს ამერიკიდან ჩამოფრინდა **ლევან ფაცაცია** (1988 წელსაა დაბადებული), რომელიც იმავე დღეს „სოხუმს" შეუერთდა და გუნდთან ერთად ორი ვარჯიში უკვე ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამერიკის კოლეჯების ლიგაში „ტროას" ღირსებას იცავდა, „სოხუმის" განაცხადში მისმა ყოფილმა მწვრთნელმა **ვაჟა კვარაცხაელიამ** მაინც შეიყვანა (ცხადია, ამის სურვილი თავად ფაცაციას ჰქონდა).

საქმე ისაა, რომ ამერიკის კოლეჯების ლიგაში საკალათბურთო სეზონი მარტში დამთავრდა და „სოხუმის" მწვრთნელმა იცოდა, რომ ფაცაცია საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფებისთვის „ტროადან" თავისუფალი იქნებოდა. კალათბურთელმა სასწავლებელში გამოცდები გასულ კვირას დაასრულა და საქართველოში ისე ჩამოვიდა.

შეგახსენებთ, რომ ლევან ფაცაცია ამერიკაში წასვლამდე თამაშობდა სსუ-ში (2002-04 წლებში „სოხუმს" ასე ერქვა), ესპანურ „არონაში", ხოლო კატალონიის „ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდში ორი წელი გაატარა.

სამი ქართული მოგება

იტალიის ჩემპიონატში 28-ე ტურის მატჩები გაიმართა. **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსი" „ბიელას" მასპინძლობდა, ხოლო **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ" - „პესაროს". ორივე ჩვენიანის გუნდს გამარჯვება ძალიან სჭირდებოდა: „კანტუს" მეორე ადგილის განსამტკიცებლად, „ვირტუსს" - პლეი ოფში მოსახვედრად. ამიტომ ორივე მასპინძელი მატჩზე მაქსიმალურად კონცენტრირებული გავიდა და გამარჯვება მოიპოვა. კანტუელებმა „პესაროს" 63:55 სძლიეს, ბოლონიელებმა „ბიელას" - 83:81. სერია A-ს სატურნირო ცხრილს ბოლოს განვიხილავთ, მანამდე ქართველთა თამაშზე შევჩერდეთ.

■ ■ ■

მანუჩარს ტრავმირებული ფეხის ცერი აწუხებს და გამაყუჩებლის გარეშე ვერ თამაშობს. ამიტომ მწვრთნელი **ანდრეა ტრინჩიერი** ცდილობს ქართველი ზედმეტად არ დატვირთოს, მაგრამ რეგულარულის ბოლოს ძალიან უჭირს მანუს დახმარების გარეშე... ამის მაგალითი „პესაროსთან" მატჩი იყო: საწყის სამ პერიოდში „კანტუს" არ უჭირდა, 5-6-ქულიან უპირატესობას ინარჩუნებდა. შესაბამისად, საწყის 30 წუთში მანუჩარმა მხოლოდ 11 წუთი ითამაშა და მეტოქის კალათის მიმართულებით ერთხელ ისროლა. მეოთხე პერიოდი კი შეუცველელად ჩაატარა და შვიდივე ქულა ბოლო რაუნდში ჩააგდო (2-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი). როცა „კანტუს" ყველაზე მეტად გაუჭირდა, მანუმ ერთადერთი სამქულიანი სწორედ მაშინ ჩააგდო: საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე პესაროელმა **დიასმა** ორქულიანით თავისი გუნდის ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა (42:43), თუმცა საპასუხო იერიშისას მანუჩარისგან სამქულიანი მიიღო, ამას **ლეუნენის** ზუსტი შორეული ტყორცნა მოჰყვა და 49:42. დარჩენილ დროში მანუჩარმა კიდევ ოთხი ქულა მიითვალა და მეტოქისთვის თამაშის გადარჩენის მცირე შანსიც არ დაუტოვებია. საბოლოო ანგარიში შესავალში მოგახსენეთ.

■ ■ ■

თუ მარკოიშვილმა შვიდივე ქულა მეოთხე პერიოდში ჩააგდო, ვიქტორ სანიკიძემ თავისი შვიდი ბალი საწყის სამ პერიოდზე გადაანაწილა. საბოლოოდ 31 წუთში 7 ქულა, 12 მოხსნა, 2 დაფარება და 1 პასი მიითვალა.

მესამე პერიოდის შემდეგ „ვირტუსი" 67:60-ს იგებდა და თითქოს ბოლო რაუნდში უფრო უნდა მოემატებინა, მაგრამ ასე არ მოხდა - **ჯეფ ვიჯიანოს** სიზუსტის წყალობით „ბიელამ" მასპინძლებს მალე გადაასწრო (74:73)რის შემდეგაც თანაბარი ბრძოლა წარმართა და ბოლო წამებზე **პოეტასა** და **კოპონენის** ზუსტი საჯარიმოების შედეგად „ვირტუსმა" 83:81 მოიგო.

■ ■ ■

ახლა გავარკვიოთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს გამარჯვება ბოლონელებისთვის. მათ 14-14 მოგება-წაგება აქვთ და სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზე არიან. იტალიის ჩემპიონატის პლეი ოფში კი რვა გუნდი გადის. 13-13 მოგება უწერიათ „ვირტუსის" მდევრებს „რომას", „პესაროსა" და „სისარის", რომლებიც მერვე-მეათე ადგილებს ინაწილებენ. მათგან ორმა დარჩენილი ორი მატჩი რომ მოიგოს, ხოლო „ვირტუსმა" ორივე წააგოს, პლეი ოფს მიღმა ბოლონიელები აღმოჩნდებიან. თუმცა, ამის ალბათობა ძალიან მცირეა. სწორედ ამიტომ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა „ბიელასთან" „ვირტუსის" გამარჯვებას. მომდევნო ტურში სანიკიძის გუნდი რომში ითამაშებს (7 მაისს), ხოლო ბოლო ტურში (12 მაისს) აუტსაიდერ „ტერამოს" უმასპინძლებს.

„კანტუს" პლეი ოფის საგზური დიდი ხანია, ჯიბეში აქვს. მისი მთავარი ამოცანა რეგულარული ეტაპის მეორე ადგილზე დასრულებაა, რათა ნახევარფინალურ სერიაში „მილანთან" მოედნის უპირატესობა დაიბევოს (იმ შემთხვევაში თუ ეს გუნდები მეოთხედფინალურ ბარიერს დაძლევენ). ამ მიზნისკენ კანტუელებს დიდი ნაბიჯი უკვე გადადგმული აქვთ: ურთიერთშეხვედრებში „მილანს" სჯობნიან. ამასთან, მდევარზე ერთით მეტი მოგება (21) აქვთ და თუ დარჩენილ ორ ტურში ერთი მატჩი მაინც მოიგეს („მილანმა" ორივეშიც რომ იმარჯვოს), რეგულარულში მეორე ადგილს გაინაღდებენ. 29-ე ტურში „კანტუ" „ბენეტონს" სტუმრობს, ხოლო 30-ში „ვარეზეს" დაუხვდება.

აქვე თქვენს ყურადღებას ერთ სენსაციურ შედეგზე გავამახვილებთ: სიენაში „აველინოსთან" წააგო ერთპიროვნულმა ლიდერმა „მონტეპასკიმ" - 77:82. აველინოელთა განაცხადში მე-20 ნომრით **მერაბ ბოქოლიშვილი** იყო, თუმცა მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. ამ გამარჯვებით „აველინომ" პლეი ოფში თამაში გაინაღდა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

მეგრეველის ათ-ათი

იტალიის ჩემპიონატის მეორე ლიგაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა **ნიკა მატრეველმა**. მან 32 წუთში 8-დან 5 ორქულიანი ჩააგდო და 10-10 ქულა მოხსნას 2-2 ჩაჭრა-დაფარება მიამატა.

მეტრეველის „რიმინიმ" ბოლოადგილოსანი „სან სევერო" 64:34 დაიბრიყვა. საყურადღებოა, რომ პირველი ტაიმის შემდეგ რიმინელები 45:6-ს იგებდნენ.

რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ნიკას გუნდი ცხრილში მეოთხე ადგილზეა (18 მოგება, 11 წაგება). ასეთივე მაჩვენებლით მეხუთეა „პრიმა ვეროლი".

- ბოლო ტური ბევრს გადაწყვეტს, არაერთ გუნდს აქვს მეოთხე ადგილის დაკავების შანსი, ყველას სურს პლეი ოფში მოედნის უპირატესობა დაიბევოს, - გვითხრა მეტრეველმა.

30-ე ტურში, 6 მაისს „რიმინი" უდინეს „სნაიდეროს" ეწვევა.

● ვარსკვლავთა მატჩი

გაიმარჯვა მეგობრობამ

23 აპრილი. ქუთაისი

1600 მაყურებელი

მოსეშვილი-ჟვიშვილი	**115:115**

32:40, 32:28, 20:22, 31:25

ლევან მოსეშვილის გუნდი: ბაქრაძე (4ქ, 7ბ), ბოისა (16ქ, 6ბ), ტულუში (3ქ), პირველაშვილი (6ქ), დ. ბარბაქაძე (13ქ), შარაბიძე, ჰალისი (8ქ), ლეჟავა, კ. დამუსი (6ქ), ათუაშვილი (15ქ, 9მ), საყვარელიძე (36ქ, 14მ, 5ბ), ფარღალავა (8ქ).

ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი: გაფრინდაშვილი (2ქ), კვიმსაძე (36ქ, 6მ, 9ბ), მათიაშვილი (4ქ, 8მ), სანაძე (12ქ), გ. ბარბაქაძე (24ქ, 15მ), დიდია (8ქ), ჩიტაშვილი (10ქ), ლონდარიძე (2ქ), დვალიშვილი (5ქ), მ. ბერიშვილი (4ქ), ბექაური (4ქ), ჭოჭუა (4ქ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ზ. მაჩალაძე.

ქუთაისში გამართული ვარსკვლავთა მატჩი მეგობრულად დასრულდა - 115:115. ეს ანგარიში ბოლო წამებზე **რეზო დიდიას** ზუსტი სამქულიანის შედეგად დაფიქსირდა.

ნუგზარ ჭეიშვილის გუნდიდან 36 ქულითა და 9 პასით **ბუბა კვიმსაძე** გამოირჩა, ხოლო **ლევან მოსეშვილის** განვრთნილთაგან **დავით საყვარელიძემ** იყოჩაღა - 36 ქულა, 14 მოხსნა. „ოლ სტარის" საუკეთესო კალათბურთელადაც საყვარელიძე დასახელდა.

■ ■ ■

სამქულიანების კონკურსში **ბუბა კვიმსაძე, ლევან ცეკვავა, იუჯინ ჰარისი, ნიკოლოზ ჩაველაშვილი, ზურაბ კორკოტაძე, დავით ბარბაქაძე** და **კოტე ტულუში** მონაწილეობდნენ. ფინალში ტულუში და კორკოტაძე გავიდნენ, სადაც კოტემ იმარჯვა და ზედიზედ მოიგო ეს შეჯიბრება.

■ ■ ■

ჩატენვების კონკურსის ნახევარფინალურ ეტაპზე **გიგი ბარბაქაძემ** და **ბექა ახალაიამ დათო ბარბაქაძეს** და **აკაკი დვალიშვილს** აჯობეს. ფინალში უკეთესი ქულებით გიგი ბარბაქაძის ჩატენვები შეფასდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი

არმიამ არმიის დღეობა იზეიმა

ლელო	21
არმია	23

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე (ზაალიშვილი 46), მჭედლიშვილი, ლომინაძე, გუგავა, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) სანიკიძე (პატარაია 63), ჭყონია, სუჯაშვილი, ხორბალაძე, ი.დაუშვილი (კოლელიშვილი 60), მძინარიშვილი, დ.დაუშვილი, აზალაძე.

2ლ: საჯარიმო, ჯოგლიძე. 3ს: ყიასაშვილი (2), მჭედლიშვილი. გ: ყიასაშვილი.

არმია (15-9) ბ. კობახიძე, ქავთარაშვილი, მჭედლიძე, ნადარეიშვილი (ნუცუბიძე 53), ხარაზიშვილი, ბაირამაშვილი, სამხარაძე. (1-8) კაკოვინი (ქორიძე 41), ბრეგვაძე, ნავროზაშვილი, ჟღენტი, კიკვიძე (ნატრიაშვილი 54), კალმახელიძე, დარასელია, ცხადაძე (კ.კობახიძე 61)

2ლ: სამხარაძე (2). 3ს,2გ: ბ.კობახიძე

მსაჯი: მ.ჩაჩუა

საქართველოს ჩემპიონატში მესამე ტურის შემდეგ დაუმარცხებელი ერთი გუნდიღა დარჩა. ქუთაისის „აიამ“ სამი თამაშიდან სამივეს მოგება შეძლო და სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს. მესამე ტურში ქუთათურებმა მალთაყვაში თბილისის „არმაზს“ სძლიეს 36:16.

ტურის ცენტრალური შეხვედრა კი თბილისში - „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გაიმართა, სადაც აქამდე დაუმარცხებელი „ლელო“ ჩემპიონატის ახალბედა „არმიას“ დაუპირისპირდა. პაექრობა ძალიან საინტერესო გამოდგა და დრამატული სცენარით წარიმართა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლელომ“, ფაქტობრივად, მოგებული მატჩი 21:23 წააგო.

საქართველოს თასის მფლობელმა შეხვედრის მიწურულს ისეთი ელემენტარული შეცდომა დაუშვა, რაც ახალბედებსაც არ მოსდით. თამაშის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, „არმია“ ორი ქულის სხვაობით იგებდა. „ლელო“ 22-მეტრიან ზონაში მორკინალების მოკლე დარტყმებით უტევდა და რაკში თამაშისას მეტოქეს წესის დარღვევა აიძულა. არბიტრმა, ცხადია, საჯარიმო დანიშნა. ლელოელებმა, რატომღაც კარში არ დაარტყეს და შერკინება მოითხოვეს.

ჩათვლის მოედნიდან 7-8 მეტრში დანიშნული შერკინება „ლელომ“ ოდნავ დასძრა, მაგრამ იმდენად ვერა, რომ მოწინააღმდეგე ლელოში შეეთრია. არმიელებმა ორჯერ დაარღვიეს წესი. ორივეჯერ საჯარიმო დაინიშნა და „ლელომ“ არც ისინი დაარტყა კარში. ბოლოს კი, რაკში თამაშისას ბურთი წინ გაუვარდათ. შერკინებიდან არმიელებმა ბურთი აუტში გადაიტანეს და თამაშიც დასრულდა.

მანამდე კი „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ მისული ქომაგი შესანიშნავი სანახაობის მომსწრე შეიქნა. თამაში დაძაბულ, უშელავათო ბრძოლაში რომ წარიმართებოდა, თავიდანვე ყველასთვის ცხადი იყო, მაგრამ საკმაოდ მაღალი დონის რაგბობას, ალბათ, ცოტა ვინმე თუ ელოდა.

მატჩი არმიელთა შეტევებით დაიწყო. საწყისი ათი წუთის განმავლობაში „ლელო“ თავს იცავდა და მეტოქეს ანგარიშის გახსნის საშუალება არ მისცა. სამაგიეროდ, ლელოელთა პირველივე იერიში, მე-11 წუთზე, შედეგიანი აღმოჩნდა. მრავალფაზიანი შეტევა „არმიამ“ საკუთარი 22-მეტრიანი ზონის ხაზთან შეაჩერა. იმ მომენტში, როცა თითქოს იერიშის გაგრძელების გზა არსად ჩანდა, „ლელოს“ ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** ბურთი ფეხით მოწინააღმდეგის ლელოსკენ დაჰკიდა.

იქ არმიელთა გამოცდილი გარემარბი **არჩილ ქავთარაშვილი** იძულებული გახდა, ჩათვლის მოედანში შესული ბურთი გვერდით ხაზს იქით გადაეგდო. არბიტრმა „ლელოს“ სასარგებლოდ შერკინება დანიშნა, რომელშიც არმიელთა მესამეხაზელმა **ლევან დარასელიამ** ზედიზედ ორჯერ დაარღვია თამაშის წესი და ლელოელებმა საჯარიმო ლელო მიითვალეს, გარდასახვა ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** გაიტანა - 7:0.

„არმია“ მდგომარეობის სწრაფად გამოსწორებას შეეცადა, მაგრამ ამაში ხელს დერეფანში ცუდი თამაში და შერკინებაში მეტოქის უპირატესობა უშლიდა. „ლელომ“ მეტოქე ამ ორ კომპონენტში აშკარად დაჯაბნა, თუმცა საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ასეთი დიდი უპირატესობა ვერაფრით გამოიყენა.

მალე არმიელებმა თამაში დაალაგეს და მწყობრი შეტევების ორგანიზება დაიწყეს. მე-19 წუთზე „ლელოს“ 22-მეტრიან ზონაში დანიშნული შერკინებიდან იერიში მარცხნივ, გრძელ ფრთაზე განავითარეს. რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ, ბურთი ისევ მარჯვნივ გამოათამაშეს. ლელომდე სამიოდ მეტრი იყო დარჩენილი, როცა „არმიას“ ცხრა ნომერმა **ბიძინა სამხარაძემ** ბურთი რაკიდან აიტაცა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** გარდასახა - 7:7.

მომდევნო 14 წუთის განმავლობაში „ლელოს“ თამაშში რაღაც მოიშალა. რითაც „არმიამ“ ისარგებლა და კობახიძის მიერ გატანილი ორი საჯარიმოთი დაწინაურდა - 13:7. პირველი ტაიმის დასკვნითი ხუთი წუთი კი უკვე „ლელოსი“ იყო. კობახიძის ორ საჯარიმოს ყიასაშვილმა ასევე ორით უპასუხა - 13:13 და ტაიმის ბოლო წუთზე ლელოელებმა შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს.

„ლელომ“ დერეფანი მარცხენა ფრთაზე 22-მეტრიანი ზონის ხაზთან მოიგო. ბურთი მარჯვნივ, ხაზზე გაიტანეს, პირველი დარტყმა შუამარბმა **უჩა მჭედლიშვილმა** განახორციელა, მერე **გიორგი ლომინაძემ** ნაინია წინ, ამას ყიასაშვილის ინდივიდუალური გარღვევა მოჰყვა და ლელო გარემარბ **გოდერძი ჯოგლიძეს** გაატანინა. ყიასაშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გარდასახა - 18:13, ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ თამაში კიდევ უფრო დაიძაბა. ხშირი იყო ტრავმები და თამაშიც, შესაბამისად, ჩერდებოდა. „ლელომ“ ანგარიშის გაზრდა 54-ე წუთზე შეძლო. საჯარიმო ამჯერად უჩა მჭედლიშვილმა წარმატებით გამოიყენა - 21:13. ამის მეტი, ლელოელებს მონაგრისთვის აღარაფერი მიუმატებიათ.

„არმიამ“ 65-ე წუთზე მჭედლიშვილის საჯარიმოს კობახიძის საჯარიმოთივე უპასუხა - 16:21. რის შემდეგაც, არმიელებმა თამაშში ვეტერანი **კახა კობახიძე** (ბახვა კობახიძის მამა) და საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი** ჩართეს. მათ გუნდის იერიშები უფრო მობილური და აგრესიული გახადეს, რამაც შედეგი მალე გამოიღო.

73-ე წუთზე არმიელებმა დერეფანი მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში მოიგეს, მოლი შეკრეს, თუმცა ვერ დაძრეს, თამაში რაკში გადავიდა. აქ ლელოელები მიწაზე თამაშისას დაჯარიმდნენ. „არმიამ“ საჯარიმო გაათამაშა და მორკინალების მოკლე დარტყმებით სცადა ფონს გასვლა. „ლელომ“ ისევ დაარღვია თამაშის წესი. სამხარაძემ საჯარიმო სწრაფად გაათამაშა, თვითონვე შეუტია და მეორე ლელო მიითვალა. კობახიძემ გარდასახა - 23:21.

„ლელოს“ მატჩის გადარჩენის შანსი რომ ჰქონდა და ვერ გამოიყენა, ამაზე უკვე ვთქვით. „არმიამ“ კი საქართველოს შეიარაღებული ძალების დღე გამარჯვებით აღნიშნა.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია რუსთავის „ხარების“ გამარჯვება. რუსთაველებმა შინ მოუგეს თბილისის „აკადემიას“ 22:19. ქვეყნის ჩემპიონმა „ლოკომოტივმა“ მარცხი აგება „ყორჩებს“ - 33:17.

P.S. მატჩის შემდეგ ერთ-ერთმა გულშემატკივარმა თქვა, ლელოელებს ანგარიში არ სცოდნიათ და საჯარიმო კარში ამიტომ არ დაარტყესო. შესაძლოა, ეს ასეც იყო, რადგან სტადიონზე ტაბლო არაა და ანგარიშის ათვლა არსად ხდება.

III ჯერი

ლოკომოტივი-ყოჩები 33:17, ხარები-აკადემია 22:19, აია-არმაზი 36:16

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1.აია	3	3	0	0	+73	6
2.ლელო	3	2	0	1	+30	4
3.ლოკომოტივი	3	2	0	1	+18	4
4.არმია	3	2	0	1	-2	4
5.არმაზი	3	1	0	2	-28	2
6.ხარები	3	1	0	2	-38	2
7.აკადემია	3	1	0	2	-17	2
8.ყოჩები	3	0	0	3	-36	0

ბურთით ჯაბა ბრეგვაძე

● ზე რაგბი

ფორსი-კრუსეიდერზი

მაკქოუ დაბრუნდა, კრუსეიდერზი?

ზე რაბბის გათამაშების მე-11 ტურში ლიდერებიდან მხოლოდ ერთმა - ბრისბენის „რედსმა“ წააგო. A ჯგუფის პირველადგილოსანი სტუმრად ეთამაშა B ჯგუფის მესამეადგილოსან ველინგთონის „ჰარიკენზს“ და ურთულეს ბრძოლაში დამარცხდა - 26:28.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა შესანიშნავად იასპარეზეს პირველ ტაიმში, მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს და 22:5 მოუგეს. ბრისბენელები შესვენების შემდეგღა გამოცოცხლდნენ და 71-ე წუთისთვის ანგარიშში დანინაურებაც მოახერხეს - 26:25. თუმცა ველინგთონელებმა ბოლო წუთზე მაინც შეძლეს მგეზავი **აარონ კრადენის** საჯარიმოთი გამარჯვების მოპოვება - 28:26.

კრადენის ანგარიშზე ამ შეხვედრაში 13 ქულაა (ერთი ლელო, ერთი გარდასახვა და ორი საჯარიმო). ბრისბენელთაგან ორი ლელო მიითვალა **ლუკ მორჰენმა.**

დიდი ინტერესი გამოიწვია სიდნეიში „ვორათაზისა“ და „მელბურნ რებლზის“ დაპირისპირებამ. ამ გუნდების პირველი შეხვედრა ზე რაგბის დებიუტანტის განადგურებით დასრულდა - 0:43. მელბურნელებმა გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტს წინააღმდეგობა ვერც ამჯერად გაუწიეს და 9:28 ნაადგეს.

„რებლზის“ მთავარმა მწვრთნელმა **როდ მაკქუინმა** ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა ინგლისელი მგეზავი **დენი სიპრიანი,** თუმცა ექსპერიმენტმა არ გაამართლა. „ვორათაზმა“ სტუმრებს სამი ლელო გაუტანა. ფულბეკმა **ქართლი ბეილიმ** სამი საჯარიმო და ორი გარდასახვა მიითვალა (13 ქულა).

უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად პერთში, „ფორსთან“ მატჩში ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“ - 42:30. საკმაოდ უხვქულიანი მატჩი სტუმართა გუნდის ლიდერის **რიჩი მაკქოუს** დაბრუნებით აღინიშნა, რომელიც 47-ე წუთზე არბიტრმა გაასინბინა.

ქრაისთჩერჩელებმა მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს. აქედან ორი ფულბეკ **იზრაელ დაგის** ანგარიშზეა. ფეხჩუბინობით გამოირჩა **დენ კარტერის** დუბლიორი **მეთ ბერკვისტი,** მან სამი საჯარიმო და ოთხი გარდასახვა გაიტანა (17 ქულა). მასპინძელთაგან კი საუკეთესი **ქემერონ შეპარდი** იყო, მან ორი ლელო მიითვალა.

B ჯგუფის ლიდერმა ოქლენდის „ბლუზმა“ სტუმრად დანიდინის „ჰაილენდერზთან“ გაიმარჯვა - 15:10. აღსანიშნავია, რომ პირველი ნახევარი ოქლენდელების სრული უპირატესობით წარიმართა. ტაიმი „ბლუზმა“ მშრალი ანგარიშით 9:0 მოიგო. მასპინძლები შესვენების შემდეგ გააქტიურდნენ, თუმცა მატჩის გადარჩენა ვერ შეძლეს. შეხვედრა დანიდინელთა ფულბეკის **რობი რობინსონისა** და „ბლუზის“ შუამარბის **ლუკ მაკალისტერის** დუელად გადაიქცა. რობინსონმა თითო ლელო, გარდასახვა და საჯარიმო გაიტანა (10 ქულა). მაკალისტერმა კი ხუთი საჯარიმო მიითვალა (15 ქულა).

საკმაოდ უხვლელოიანი გამოდგა პრეტორიის „ბლუ ბულზისა“ და ჰემილთონის „ჩიფსის“ მატჩი. ზე რაგბის ჩემპიონებმა შინ 43:27 მოიგეს. მასპინძელთა ოთხი ლელოდან ორი შუამარბმა **ვინანდ ულიფიემ** გაიტანა. მგეზავი **მორნი სტეინი** კი გუნდს 23 ქულით შეეწია (ოთხი გარდასახვა, ოთხი საჯარიმო და ერთი არეკნი).

C ჯგუფის ლიდერმა კეიპთაუნის „სტრომერზმა“ შინ უპრობლემოდ სძლია ერთ-ერთ ფავორიტ დურბანის „ნატალ შარქსს“ - 32:12. მასპინძლებმა მეტოქე ყველა კომპონენტში აშკარად დაჯაბნეს და ოთხი ლელო გაუტანეს, რაზეც სტუმრებმა მგეზავი **პატრიკ ლამბიეს** ამდენივე საჯარიმოთი უპასუხეს.

XI ჯერი

A ჯგუფი

ვორათაზი-მელბურნ რებლზი 28:9, ფორსი-კრუსეიდერზი 30:42

საბურნირო მდგომარეობა

1. რედსი - 40 ქულა, 2. ვორათაზი - 32, 3. ბრამბიზი - 22, 4. ფორსი - 20, 5. მელბურნ რებლზი - 19

XII ჯერი

მელბურნ რებლზი-რედსი, ვორათაზი-ფორსი

B ჯგუფი

ჰაილენდერზი-ბლუზი 10:15, ჰარიკენზი-რედსი 28:26

საბურნირო მდგომარეობა

1. ბლუზი - 43 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 40, 3. ჰაილენდერზი - 35, 4. ჰარიკენზი - 23, 5. ჩიფსი - 21.

XII ჯერი

ჰარიკენზი-ბლუზი, ჩიფსი-ჰაილენდერზი

C ჯგუფი

ჩიტაზი-ბრამბიზი 47:36, ბლუ ბულზი-ჩიფსი 43:27, სტორმერზი-ნატალ შარქსი 32:12

საბურნირო მდგომარეობა

1. სტორმერზი - 42 ქულა, 2. ნატალ შარქსი -34, 3. ბლუ ბულზი - 4. ჩიტაზი - 20, 5. ლაიონზი - 14

XII ჯერი

ლაიონზი-ჩიტაზი, სტორმერზი-კრუსეიდერზი, ნატალ შარქსი-ბრამბიზი

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

სენსაცია მაინც მოხდა

გასულ უქმეებზე ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფში ერთადერთი მატჩი იყო დაგეგმილი - მერვედფინალურ ეტაპს მხოლოდ „სან ანტონიო“ და „მემფისი“ შემორჩნენ. დანარჩენ სერიებში ერთადერთი მოულოდნელი შედეგი „ატლანტას“ მოგება იყო „ორლანდოს“ წინააღმდეგ, სხვა შემთხვევაში კი გამარჯვება იმ გუნდებს დარჩათ, რომლებსაც თავიდანვე მოგებას უწინასწარმეტყველებდნენ.

„სპურსისა“ და „გრიზლისის“ წყვილში კი ძალიან ახლოს იყო მერვედფინალური ეტაპის ყველაზე ხმამაღალი სენსაცია. ეს შეიძლებოდა უფრო ადრე - სერიის მეხუთე მატჩში მომხდარიყო, მაგრამ ძირითადი დროის დასრულებამდე ორი (!) წამით ადრე „სან ანტონიომ“ თამაშიდან ორი ბურთი ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა, იქ კი შეძლო სტუმრების წინააღმდეგობის დაძლევა. ამის შემდეგ **გრეგ პოპოვიჩის** გუნდს ასეთივე გმირობა სტუმრად უნდა ჩაედინა, რათა გაეთანაბრებინა ანგარიში და ბოლო მეშვიდე მატჩში შინ მოეპოვებინა საბოლოო გამარჯვება.

მეექვსე მატჩის წინ თითქმის ყველა სპეციალისტი ერთხმად აღნიშნავდა, რომ „სპურსს“, პირველ რიგში, „მემფისის“ ლიდერის **ზაკ რენდოლფის** განეიტრალებაზე უნდა ეზრუნა. დასავლეთის ჩემპიონმა სწორედ ამ ამოცანას ვერ გაართვა თავი.

მატჩის დებიუტი დაცვითი კალათბურთით აღინიშნა. ორივე გუნდის მთამაშეები ერთმანეთის ძლიერი მხარეების ნეიტრალიზაციით იყვნენ დაკავებულნი. ამ მხრივ ზედმეტად მოინდომა **მაიკ კონლიმ**, რომელმაც ორ წუთში **ჯინობილიზე** ორი პერსონალური მიიღო და „მემფისის“ ძირითადი გამთამაშებელი სასწრაფოდ ახალბედა **გრეივის ვასკესით** შეცვალეს, რომელმაც ჯერ ფარქვეშ შესვლის შემდეგ აიღო ორი ქულა, ორი ჯარიმა გამოიყენა და **მარკ გასოლს** ჩააგდებინა - 10:2.

გრეგ პოპოვიჩმა სასწრაფოდ ტაიმაუტი მოითხოვა, მაგრამ ამის შემდეგაც ვასკესმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი და სხვაობა 10 ქულამდე ავიდა. მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. ჯინობილი თანაგუნდელ **პარკერს** შეეკამათა და ნაადრევად დატოვა მოედანი, თავად პარკერი მარწუხებში მოაქცია **ტონი ალენმა**, ვეტერანებს - **ტიმ დანკანსა** და **ანტონიო მაკდაესს** კი ახალგაზრდა მეტოქეების წინააღმდეგ აშკარად უჭირდათ. საბოლოოდ, პირველი მეოთხედი „მემფისმა“ რვა ქულით მოიგო.

მეორე მეოთხედში სათადარიგო მოთამაშეების დუელისას „სპურსმა“ მოახერხა სხვაობის შემცირება, თუმცა სტუმრების წარმატებაში შემთხვევითობის ელემენტი უფრო მეტი იყო, ვიდრე გააზრებული მოქმედება. ორჯერ ჩააგდო შორიდან ლიგაში სამქულიანების საუკეთესო სპეციალისტმა **მეტ ბონერმა** (რეგულარულში სამქულიანების 46-პროცენტიანი სიზუსტე), ერთი-ორჯერ ეფექტური კომბინაცია ჩაატარეს პარკერმა და დანკანმა. მაგრამ „სან ანტონიო“ მაინც არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც რეგულარულში 61 მატჩი მოიგო. სხვაობის შემცირება მან იმის ხარჯზე მოახერხა, რომ მასპინძლებმა ტყორცნების სიზუსტეს მოუკლეს. სტუმრებს ბრძოლისუნარიანობაც აკლდათ - პირველ ტაიმში „სპურსის“ სასტარტოებმა ერთად ცხრა მოხსნა მოაგროვეს და აქედან რვა დანკანზე მოდიოდა, მაკდაესმა, **ჯეფერსონმა**, ჯინობილიმ და პარკერმა კი ჯამში ერთი მოხსნა მიითვალეს.

ასეთი უღიმღამო თამაშის მიუხედავად, „სპურსი“ მაინც უნარჩუნებდა ინტრიგას მატჩს. სტუმრებს ეხმარებოდა კარგი დაცვა და მეტოქის შედარებით დაბალი ტემპი. უფრო მეტიც, დიდი შესვენების სტარტზე „სან ანტონიომ“ ანგარიშიც კი გაათანაბრა. მასპინძლებს წარბიც არ შეუხრიათ - მათ იგივე სტილში გააგრძელეს თამაში და მეოთხედის ბოლოს აღადგინეს ის უპირატესობა, რაც პირველი ტაიმის ბოლოს ჰქონდათ. მესამე მეოთხედი ასეც დასრულდებოდა, რომ არა სირენასთაც ერთად ჯინობილის ჩაგდებული სამქულიანი - 66:70. ამ ტყორცნით „სან ანტონიომ“ ყველას მიანიშნა, რომ იოლად არ დანებდებოდა.

და მართლაც, შეხვედრის დასასრულმა გაამართლა. საფინალო სირენამდე ხუთწუთნახევრით ადრე იმავე ჯინობილიმ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა - 78:79. შემდეგ შეტევაში მემფისელებმა ბურთი დაკარგეს და მაკდაესმა საპასუხოდ ზუსტად ისროლა საშუალო მანძილიდან. შეხვედრის საწყის წუთს თუ არ ჩავთვლით, „სპურსი“ პირველად გავიდა წინ - 80:79.

ამის შემდეგ კი დაიწყო ერთი მსახიობის შოუ. ზაკ რენდოლფმა, ფაქტობრივად, მარტომ გადაუწურა წარმატების იმედი „სან ანტონიოს“. რა თქმა უნდა, ტრიუმფში ასევე დიდი წვლილი შეიტანა „მემფისის“ კარგმა დაცვამ, თუმცა ამ მხრივ „სპურსიც“ მშვენივრად გამოიყურებოდა, მაგრამ რენდოლფი მაინც აგდებდა... მეოთხე მეოთხედში „ბეჰემოტმა“ 17 ქულა დააგროვა და თითქმის ყველა ბურთი ფანტასტიკური სირთულისა იყო. მატჩის დასრულებამდე წუთითა და 11 წამით ადრე მან მორიგი ურთულესი საშუალო ტყორცნა გამოიყენა და საბოლოოდ მოხსნა დღის წესრიგიდან გამარჯვებულის საკითხი - 91:82. გადაჭედილი FedEx Forum ფეხზე ადგა და ისე მიესალმა თავის საყვარელ გუნდს. ისტორიაში მხოლოდ მეოთხედ მოხდა, როცა პლეი ოფში მერვედ განთესილმა გუნდმა პირველს მოუგო და მეორე რაუნდში გავიდა. და ეს „მემფისმა“ ასი პროცენტით დაიმსახურა.

მემფისი-სან ანტონიო 91:91

24:16, 22:27, 24:23, 29:25

მ: რენდოლფი (31+11 მოხსნა), მ. გასოლი (12+13 მოხსნა), ტ. ალენი (11), კონლი (9), იანგი (9) - ვასკესი (11), არტური (8), მაიო (6), ბატიე (2+7 მოხსნა).

ს-ა: პარკერი (23), ჯინობილი (16), დანკანი (12+10 მოხსნა), მაკდაესი (10), ჯეფერსონი (0) - ბონერი (9), ნილი (8), ჰილი (6+7 მოხსნა), სპლიტერი (4), გრინი (3).

სერია: 4-2

1/8 ფინალის სტატისტიკა

ქულა

კევინ დურანტი (ოკლ)	32.4
დერიკ როუზი (ჩიკ)	27.6
დირკ ნოვიცკი (დალ)	27.3
დუაიტ ჰოვარდი (ორლ)	27.0
კარმელო ენტონი (ნ-იორ)	26.0
ლებრონ ჯეიმსი (მაი)	24.2
რასელ უესტბრუკი (ოკლ)	23.8
კობი ბრაიანტი (ლეი)	22.5
პოლ პირსი (ბოს)	22.3
დუეინ უეიდი (მაი)	22.2

მოხსნა

დუაიტ ჰოვარდი (ორლ)	15.5
მარკ გასოლი (მემ)	12.3
კევინ გარნეტი (ბოს)	11.3
სერჟ იბაკა (ოკლ)	11.0
ლებრონ ჯეიმსი (მაი)	10.6
ჟოაკიმ ნოა (ჩიკ)	10.6
ტიმ დანკანი (ს-ანტ)	10.5
ენდრიუ ბინუმი (ლეი)	10.3
კარმელო ენტონი (ნ-იორ)	10.3

პასი

რაჟონ რონდო (ბოს)	12.0
კრის პოლი (ნ-ორლ)	11.5
ანდრე იგუოდალა (ფილ)	6.8
ჯეისონ კიდი (დალ)	6.5
მაიკ კონლი (მემ)	6.2
ლებრონ ჯეიმსი (მაი)	6.2
დერიკ როუზი (ჩიკ)	6.2
რასელ უესტბრუკი (ოკლ)	6.2
ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ)	5.6
ანდრე მილერი (პორ)	5.5

ჩაჭრა

დერიკ როუზი (ჩიკ)	2.6
მანუ ჯინობილი (ს-ანტ)	2.6
ტონი ალენი (მემ)	2.3
ჯამირ ნელსონი (ორლ)	2.0
პოლ პირსი (ბოს)	2.0
კევინ გარნეტი (ბოს)	2.0
ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ)	2.0
კრის პოლი (ნ-ორლ)	1.8

დაფარება

სერჟ იბაკა (ოკლ)	4.8
ჟოაკიმ ნოა (ჩიკ)	2.6
ტიმ დანკანი (ს-ანტ)	2.5
ჯერმეინ ო'ნილი (ბოს)	2.5
პაუ გასოლი (ლეი)	2.3
პოლ ჯორჯი (ინდ)	2.0
დუეინ უეიდი (მაი)	2.0

1/4 ფინალი. კალენდარი

აღმოსავლეთი

მაიამი (2)-ბოსტონი (3)

1 მაისი. მაიამი-ბოსტონი
3 მაისი. მაიამი-ბოსტონი
7 მაისი. ბოსტონი-მაიამი
9 მაისი. ბოსტონი-მაიამი
11 მაისი. მაიამი-ბოსტონი*
13 მაისი. ბოსტონი-მაიამი*
16 მაისი. მაიამი-ბოსტონი*

ჩიკაგო (1)-ატლანტა (5)

2 მაისი. ჩიკაგო-ატლანტა
4 მაისი. ჩიკაგო-ატლანტა
6 მაისი. ატლანტა-ჩიკაგო
8 მაისი. ატლანტა-ჩიკაგო
10 მაისი. ჩიკაგო-ატლანტა*
12 მაისი. ატლანტა-ჩიკაგო*
15 მაისი. ჩიკაგო-ატლანტა*

დასავლეთი

ლეიკერსი (2)-დალასი (3)

2 მაისი. ლეიკერსი-დალასი
4 მაისი. ლეიკერსი-დალასი
6 მაისი. დალასი-ლეიკერსი
8 მაისი. დალასი-ლეიკერსი
10 მაისი. ლეიკერსი-დალასი*
12 მაისი. დალასი-ლეიკერსი*
15 მაისი. ლეიკერსი-დალასი*

ოკლაჰომა (4)-მემფისი (8)

1 მაისი. ოკლაჰომა-მემფისი
3 მაისი. ოკლაჰომა-მემფისი
7 მაისი. მემფისი-ოკლაჰომა
9 მაისი. მემფისი-ოკლაჰომა
11 მაისი. ოკლაჰომა-მემფისი*
13 მაისი. მემფისი-ოკლაჰომა*
15 მაისი. ოკლაჰომა-მემფისი*

** - საჭიროების შემთხვევაში*

დანკანისთვის ყველაფერი დასრულდა

აგლანგა ჰაინრიხის გარეშე

შაკილი მეორე მატჩს ითამაშებს?

„ატლანტა ჰოქსი“, შესაძლოა, სერიოზული დანაკლისით შეხვდეს „ჩიკაგოსთან“ მეოთხედფინალურ სერიას. არ არის გამორიცხული, გუნდის ძირითადმა გამთამაშებელმა **კირკ ჰაინრიხმა** საერთოდ ვერ შეძლოს „ხარებთან“ სერიაში მოედანზე გასვლა.

ამ შემთხვევაში, ჰაინრიხის ადგილს სასტარტო ხუთეულში **ჯამალ კრუფორდი** ან **ჯეფ ტიგი** დაიკავებს.

თავის მხრივ, გარკვეული საკადრო პრობლემები „ჩიკაგოსაც“ შეექმნა. ბოლო ვარჯიში გამოტოვა ასევე სასტარტო ხუთეულის წევრმა **კარლოს ბუზერმა**. მძიმე ფორვარდს მარჯვენა ფეხის ცერა თითი აქვს დაზიანებული. „ბულზის“ დამრიგებელი **ტომ ტიბოდო** დარწმუნებული არ არის, რომ კარლოსი შეძლებს „ატლანტასთან“ სერიის პირველ მატჩში მონაწილეობას.

■ ■ ■

ბოსტონელი გულშემატკივრები კი კვლავაც ვეტერანი ცენტრის **შაკილ ო'ნილის** დაბრუნებას ელიან. 39 წლის ცენტრმა ვერ შეძლო „ნიუ იორკთან“ პირველი წრის სერიაში მონაწილეობის მიღება და, როგორც ჩანს, „მაიამისთან“ დაპირისპირების პირველ მატჩსაც გამოტოვებს. თუმცა „ბოსტონის“ დამრიგებელი **დოკ რივერსი** თითქმის დარწმუნებულია, რომ ვეტერანი მეორე მატჩისთვის მწყობრში იქნება.

შეგახსენებთ, რომ შაკს უკვე დიდი ხანია მარჯვენა ფეხის ტრავმა აწუხებს.

სუპერმენს ორლანდო აღარ უნდა

მაკდაესმა კარიერა დაასრულა

პლეი ოფში „ორლანდოს“ მიერიგი ფიასკოს შემდეგ დღის წესრიგში დადგა ამ გუნდის ლიდერის, ლიგის საუკეთესო ცენტრის **დუაიტ ჰოვარდის** მომავალი კარიერა.

„მეჯიქის“ ვიცე-პრეზიდენტმა **ოტის სმიტმა** განაცხადა, რომ კლუბმა ახალი კონტრაქტი შესთავაზა „სუპერმენს“. წესების თანახმად, პირველ ივლისამდე „ორლანდოს“ კალათბურთელისთვის მხოლოდ ორწლიანი ხელშეკრულების შეთავაზება შეუძლია.

ამ ინფორმაციის გავრცელებიდან მეორე დღეს სმიტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჰოვარდმა ახალ პირობებზე უარი განაცხადა, რაც დუაიტის განწყობას ადასტურებს - სუპერცენტრს უფრო ძლიერ და ამბიციურ კლუბში სურს კარიერის გაგრძელება. მაგრამ ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ოტის სმიტს შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. ყოველ შემთხვევაში, ჰოვარდთან მისულმა ჟურნალისტებმა კალათბურთელისგან ასეთი კომენტარი მიიღეს: *„ახალი კონტრაქტი თვალით არ მინახავს“*.

შეგახსენებთ, რომ „სუპერმენი“ 2011-12 წლების სეზონის შემდეგ გახდება თავისუფალი აგენტი.

■ ■ ■

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ „მემფისთან“ სერიის ნაგების შემდეგ კარიერის დასრულება გადაწყვიტა „სან ანტონიოს“ 36 წლის ცენტრმა **ანტონიო მაკდაესმა**. ამჯერად ამ კალათბურთელმა საბოლოოდ გადაწყვიტა დიდი სპორტიდან წასვლა.

„ახლა უკვე დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ ეს ჩემი ბოლო მატჩი იყო კარიერაში. სამწუხაროა, რომ ყველაფერი ასე სავალალოდ დასრულდა“, - თქვა ანტონიომ „მემფისთან“ მეექვსე მატჩის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ მაკდაესის მოქმედი კონტრაქტი 2012 წლის ზაფხულში იწურება. ლიგაში კიდევ ერთი წლით დარჩენის შემთხვევაში ვეტერანი 5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

● ამბები

როუზი: MVP ჯერ არ ვარ

ბოლო დღეებში ამერიკულ პრესაში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ნლევანდელ სეზონში უძვირფასესი მოთამაშის პრიზს „ჩიკაგო ბულზის“ გამთამაშებელი **დერიკ როუზი** მიიღებს. ჟურნალისტებმა ისიც კი დაწერეს, რომ თავად კალათბურთელმა იცის მოსალოდნელი ტრიუმფის შესახებ, მაგრამ ამაზე საჯაროდ ჯერ არ ლაპარაკობს. თუმცა როუზმა მაშინვე უარყო ეს ჭორი და განაცხადა, რომ ინფორმაცია პრესის ფანტაზიის ნაყოფია.

„ჩემთვის ჯერ არავის უთქვამს, რომ MVP გავხდი, ასე რომ, მილოცვამდე ჯერ ძალიან ადრეა“, - განაცხადა როუზმა.

სლოუნი მეოცრებს გაწვრთნის?

მომავალი სეზონიდან NBA-ის ვეტერანმა სპეციალისტმა **ჯერი სლოუნმა**, შესაძლოა, სამწვრთნელო მოღვაწეობა გააგრძელოს. მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღის წინ „გოლდენ სტეიტის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს **კიტ სმარტი**, აქტიურად დაიწყეს ჭორაობა იმაზე, რომ „მეომრებში“ მის შემცვლელად „იუტას“ ყოფილ დამრიგებელს ვიხილავთ.

შეგახსენებთ, რომ 69 წლის სპეციალისტმა ამა წლის თებერვალში თავისი ნებით დატოვა „ჯაზმენთა“ რიგები და მას შემდეგ კალათბურთში სავარაუდო დაბრუნების შესახებ განცხადება არ გაუკეთებია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

მექსიკელი კლიჩკოები

წლის ბრძოლა ისევ საფრთხეშია

მექსიკელმა მოკრივეებმა - ძმებმა **გარსიებმა** გაიმეორეს უკრაინელი **ვიტალი** და **ვლადიმირ კლიჩკოების** მიღწევა. გასული უქმეების შემდეგ ძმები ერთდროულად ფლობენ საჩემპიონო ტიტულებს.

რაულ და რამონ გარსიებმა სამშობლოში მოიპოვეს გამარჯვებები. პირველმა შეინარჩუნა WBO-ის ტიტული 47-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში: რაულმა მესამე რაუნდში ნოკაუტში გაუშვა ფილიპინელი **რომელ ასენხო**. მეორე ძმამ რამონმა, რომელიც 49-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBO-ის საჩემპიონო ქამარს ფლობდა, ეს ტიტული დაიბრუნა. მან რევანში აიღო შარშან დეკემბერში კოლუმბიელ **ხესუს ხელესთან** მარცხის გამო. ბრძოლა მეოთხე რაუნდში ნოკაუტით დასრულდა.

■ ■ ■

ჩაშლის პირას მივიდა 2 ივლისს დანიშნული ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლა **ვლადიმერ კლიჩკოსა** და **დევიდ ჰეის** შორის - ასეთი დასკვნა გააკეთა ინგლისურმა გაზეთმა „გარდიანმა“. საქმე ისაა, რომ ამ კვირას დაგეგმილი იყო ორი პრესკონფერენცია ჰამბურგსა და ლონდონში, თუმცა უკვე ოფიციალურად გახდა ცნობილი იმის შესახებ, რომ ჟურნალისტებთან ორივე შეხვედრა გაუქმებულია.

ამ ცნობის გავრცელების შემდეგ მთელი საკრივო სამყარო აფორიაქდა, რადგან წარმოიშვა თავად ბრძოლის გაუქმების საფრთხე. WBA-ის ჩემპიონის დევიდ ჰეის მენეჯერი და მწვრთნელი **ადამ ბუტი** არ პასუხობდა ინგლისური გამოცემის სატელეფონო ზარებს, თუმცა ჰეის პრეს-ატაშემ **ელიოტ უორსელმა** კორესპონდენტს განუცხადა, რომ *„გუნდებს რამდენიმე საკითხი აქვთ გასარკვევი“* და იქვე დაამატა, რომ საჩემპიონო ბრძოლის გაუქმება ეეჭვება.

■ ■ ■

წლევანდელ ზაფხულს კრივის მოყვარულებს უცნაური პარფიუმერიული სიახლე ელოდებათ. საკუთარი არომატის შექმნა და გამოშვება გადაწყვიტა მსოფლიოს კრივის მთავარმა ვარსკვლავმა **მენი პაკიაომ**. სუნამომ ასეთი სახელწოდება მიიღო - Manny Pacman Pacquiao MP8 Scent of The Champion.

სახელწოდებაში ციფრი „8“ შემთხვევით არ არის მოხვედრილი - ის გვახსენებს, რომ ფილიპინელი რვა წონით კატეგორიაში იყო მსოფლიოს ჩემპიონი.

სუნამო პაკიაოსგან

● სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი

დიდი ბრძოლა ფინალის წინ

შეფილდში „კრუსიბლის“ თეატრის დარბაზში ნახევარფინალების დრო დადგა. ორი უმაღლესი კლასის დაპირისპირება გულგრილს არავის ტოვებს: ერთში **ჯონ ჰიგინსი მარკ უილიამსის** წინააღმდეგ, მეორეში - **დინ ჯუნჰუ ჯად ტრამპის** პირისპირ.

დინისა და ჯადის ნახევარფინალში უკვე სამი სესიის გამართვა მოესწრო. თავიდან ტრამპი (მან წინა ორ ეტაპზე მსოფლიოს ორი ჩემპიონი გამოთიშა ბრძოლას) დაწინაურდა - 7:4, მაგრამ ჩინელმა ბრწყინვალე გარღვევა განახორციელა - ზედიზედ 5 ფრეიმი მოიგო და 9:7 გაიჭრა წინ.

საღამოს სესიაზე ჯუნჰუმ კიდევ ერთი ფრეიმი აიღო, მაგრამ შემდეგ ტრამპის სპურტის ჯერი დადგა - ინგლისელმა ასევე მიჯრით ხუთი პარტიის აღება შეძლო, თანაც ორჯერ „სენჩური-ბრეიკი“ (102 და 133) დააფიქსირა. საღამოს სესიაში ბოლო ფრეიმი ჩინელს ერგო და ანგარიში 12:12 გახდა.

რაც შეეხება ტოპმატჩს ჰიგინსსა და უილიამსს შორის, აქ მეორე სესიის შემდეგ ის სხვაობა შენარჩუნდა, რაც პირველის ბოლოს იყო. უილიამსმა რამდენიმე ასიანი სერია აჩვენა და რამდენჯერმე სცადა ამ ტურნირზე საუკეთესო ბრეიკის დაფიქსირება, მაგრამ ლიდერი ამ მხრივ კვლავაც **მარკ კინგი** რჩება.

უილიამსისთვის მთავარი ის იყო, რომ ასეთი კარგი თამაშის წყალობით 9:5 დაწინაურდა, ოღონდ ბოლოში ოდნავ მოდუნდა და ბოლო ორი ფრეიმი დათმო, რითაც მომდევნო სესიის წინ ასეთი ანგარიში დააფიქსირა - 9:7 მარკის სასარგებლოდ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჯად ტრამპი

● ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი



ტურის გმირი ენდრაში

ორი სენსაცია

ექსპერტებს გერმანიის რუსეთზე გამარჯვება დამსახურებულად მიაჩნიათ

სანახაობრივი თვალსაზრისით პირველ ტურში გამორჩეული შეხვედრა გაიმართა კანადისა და ბელარუსის ნაკრებებს შორის. ბევრი სხვა მატჩისგან განსხვავებით, ამ თამაშმა ერთი ამოსუნთქვით ჩაიარა. 60 წუთის განმავლობაში გუნდები შეტევითი ჰოკეის ჩვენებას ცდილობდნენ. ბუნებრივია, უპირატესობა კანადელების მხარეს იყო, თუმცა ანგარიშის გათანაბრების (1:1) შემდეგ **კენ ჰიჩკოკის** გუნდი ოდნავ ანერვიულდა, მაგრამ **სკინერმა** ნათლად დაანახვა ევროპულ პუბლიკას, რომ შემთხვევით არ ითვლება „კოლდერ ტროფის“ (სეზონის საუკეთესო დებიუტანტი) მთავარ კანდიდატად.

იმის მიუხედავად, რომ კანადელებმა სოლიდური სხვაობით მოიგეს, ბელარუსები მთელ რიგ ეპიზოდებში სჯობდნენ მეტოქეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია NHL-ის ლეგიონერის **მიხაილ გრაბოვსკის** კარგი თამაში. ის ზედიზედ უგებდა ორთაბრძოლებს „ტორონტოში“ თავის თანაგუნდელ **დიონ ფანოფს**, ოღონდ ბელარუსელთა კაპიტანს შეტევების დასკვნით ფაზაში არ უმართლებდა. ასევე უნდა აღვნიშნოთ „ტორონტოში“ გრაბოვსკის კიდევ ერთი თანაგუნდელის, კანადელთა მეკარის **ჯეიმს რეიმერის** დამაჯერებელი თამაში.

ასევე ხარისხიანი და თან დაძაბული გამოვიდა ჩეხეთისა და ლატვიის მატჩი. ბალტიისპირელებმა ტრადიციულად ანერვიულეს ჩეხი გულშემატკივრები. ისინი ორჯერ გავიდნენ წინ, მაგრამ ლატვიელთა მეკარის სუსტმა თამაშმა მოქმედ ჩემპიონს ორჯერ მისცა ანგარიშის გათანაბრების საშუალება. ხოლო მესამე პერიოდში **ჰავლატმა** გამარჯვების შაიბა გაიტანა, თუმცა ლატვიას აქაც ჰქონდა თუნდაც ქულის აღების ყველანაირი შანსი.

სენსაციები

ტურნირზე ფავორიტების პირველი მატჩები რთულად წარიმართა. მაგალითად, კანადელებმა, ჩეხებმა და სლოვაკებმა, გამარჯვების მიუხედავად, სერიოზულად ანერვიულეს თავიანთი გულშემატკივრები. შვეიცარიელებმა კი საერთოდ მხოლოდ ოვერტაიმში მოუგეს საფრანგეთს.

იყო ორი ხმაურიანი სენსაციაც. გახსნის მატჩში რუსეთის ნაკრებმა წააგო **უვე კრუპის** გერმანიასთან. ფავორიტის შემადგენლობაში არ იგრძნობოდა რგოლებს შორის შეთამაშება, განწყობაც არ იყო საბრძოლო. შესაბამისად, რუსების შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მოთამაშის - მეკარე **ევგენი ნაბოკოვის** გამოყოფა შეიძლება. გერმანელთა რიგებში კი ყველა ჰოკეისტმა კარგად ითამაშა. **რანკელი** მთელი მატჩი ანიოკებდა რუსების დაცვას, **ენდრაში** კარში გაუვალი იყო, **გრაილინგერმა** და **რაიმერმა** კი კარგად გამოიყენეს თავიანთი მომენტები. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანიამ ორჯერ ძელს გაარტყა შაიბა. ასე რომ, ამ გუნდის გამარჯვება სენსაციად კი მონათლეს, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ შედეგს შეიძლება სავსებით კანონზომიერი ვუწოდოთ.

მეორე სენსაცია კოშიცეში მოხდა, სადაც ნორვეგიამ მოულოდნელად შვედეთი ბულიტების სერიაში დაამარცხა. თუმცა „ვიკინგებმა“, გერმანელებისგან განსხვავებით, შემთხვევით მოიგეს. „ტრე კრუნურის“ წაგება მთლიანად მეკარის - **ერიკ ერსბერგის** სინდისზეა. შვედების გოლკიპერმა 19 დარტყმიდან ოთხი გაუშვა, შემდეგ კი ბულიტების სერიაში ვერც ერთი დუელი ვერ მოიგო. მოკლედ, ფავორიტის კარში ყველა დარტყმული შევარდა, არადა, თამაშით შვედეთს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა.

ტურის სამი ვარსკვლავი

მესამე ვარსკვლავი - კრისტობალ იუე (საფრანგეთი). როცა გაირკვა, რომ საფრანგეთის ნაკრები სლოვაკეთის ნაცვლად პოლონეთში ჩაფრინდა და შემდეგ დანიშნულების ადგილას ავტობუსით ჩააღწია, ყველამ გაიფიქრა, რომ „მამლები“ ტურნირზე ტურისტებად ჩავიდნენ. მაგრამ ასეთმა ირონიამ მხოლოდ გააბრაზა ეს გუნდი. შვეიცარიასთან მატჩში მათ არა მხოლოდ მეტოქე, არამედ ყველა გულშემატკივარი და ექსპერტი გააკვირვეს. ღირსეული წინააღმდეგობის გარდა, ფრანგებმა ქულათა მარაგიც შეავსეს - თამაში მხოლოდ ოვერტაიმში წააგეს. აუტსაიდერი ასეთ შედეგს ვერ მიაღწევდა, მის კარში კრისტობალ იუე რომ არ მდგარიყო. მართალია, ეს გოლკიპერი ფრანგია, მაგრამ მისი ოსტატობა მთელ მსოფლიოშია ცნობილი. იუეს, წესით, ეს სეზონი NHL-ში უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ თავისივე დიდი კონტრაქტის „მძევალი“ გახდა, ამიტომაც „ჩიკაგომ“ ის ივჯარით შვეიცარიის „ფრიბურგში“ გაუშვა. და, როგორც ჩანს, ამ დროის განმავლობაში ფრანგმა კარგად შეისწავლა შვეიცარიელი ფორვარდების თამაშის მანერა. აღნიშნულ შეხვედრაში მან 34 დარტყმა მოიგერია.

მეორე ვარსკვლავი - ჯორდან ებერლე (კანადა). წინა ხაზის მოთამაშეებს შორის პირველ ტურში ყველაზე შთამბეჭდავი თამაში სწორედ ებერლემ აჩვენა. ამ კანადელმა თავდამსხმელმა უბრალოდ აანიოკა ბელარუსელთა დაცვა და ორი შაიბა გაიტანა. საერთოდ, ებერლეს, **სპეცასა** და **ევანდერ კეინის** სამეულმა ძალიან ნაყოფიერად ითამაშა, ისევე როგორც სკინერისა და **ტავარესის** წყვილმა. რთული დასათვლელია რამდენი ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს ამ ჰოკეისტებმა.

პირველი ვარსკვლავი - დენის ენდრაში (გერმანია). ამ მეკარეს რუსეთის წინააღმდეგ ეფექტური „სეივები“ არ ჰქონია, მაგრამ მისი დამაჯერებელი თამაში მთელ გუნდს გადაედო და ეს განწყობა უვე კრუპის შეგირდებმა მთელი 60 წუთის განმავლობაში შეინარჩუნეს. რუსებს დამატებაზე თამაშის შანსი არ ჰქონიათ, რაშიც, გერმანელი მცველების გარდა, ენდრაშის დიდი დამსახურებაცაა - ის ან აფიქსირებდა შაიბას, ან გვერდით იგერიებდა. სხვათა შორის, შარშანდელ ჩემპიონატზე ენდრაში ტურნირის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს და ახლა მან პირველი ნაბიჯი გადადგა ზედიზედ მეორე ინდივიდუალური პრიზისკენ.

A ჯგუფი

გერმანია-რუსეთი 2:0

0:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 გრაილინგერი-1 (ბრაუნი-1), 2:0 რაიმერი-1.

სლოვაკეთი-სლოვენია 3:1

0:0, 1:1, 2:0

გოლები: 0:1 კრანიჩი-1 (კუუნიკი-1, რაჟინგარი-1), 1:1 შატანი-1 (სუროვი-1), 2:1 მარსელ ჰოსა-1 (პოდრადსკი-1, ზედნიკი-1), 3:1 ბარტეჩკო-1.

B ჯგუფი

შვეიცარია-საფრანგეთი 1:0 (ოვ)

0:0, 0:0, 0:0, 1:0

გოლი: ვოკლერი-1 (რუტემანი-1).

ბელარუსი-კანადა 1:4

1:1 , 0:1 , 0:2

გოლები: 0:1 ებერლე-1 (ე. კეინი-1, სკალზო-1), 1:1 სტეპანოვი-1 (კულაკოვი-1, კიტაროვი-1), 1:2 სკინერი-1 (ტავარესი-1), 1:3 ტავარესი-1 (სკინერი-1, შენი-1), 1:4 ებერლე-2 (ფანოფი-1, სკალზო-2).

C ჯგუფი

აშშ-ავსტრია 5:1

2:0, 1:1, 2:0

გოლები: 1:0 კრეიდერი-1 (ფეინი-1, სტეპანი-1), 2:0 ველერი-1 (სტეპანი-2), 2:1 პევალი-1 (ტ. რაფლი-1, მ. რაფლი-1), 3:1 ი. შრასტნი-1 (უილსონი-1, ფაულერი-1), 4:1 შატენკირკი-1 (ჰალმიერი-1, შენონი-1).

ნორვეგია-შვედეთი 5:4 (ბ)

1:3, 2:0, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ლ. ერიქსონი-1 (რ. ნილსონი-1), 1:1 როიმარკი-1 (ჰანსენი-1, ასკი-1), 1:2 ბერგლუნდი-1 (ტორნბერგი-1), 1:3 ბერგლუნდი-2 (პეტრაშეკი-1, ჰაიარვი-1), 2:3 ასკი-1 (ოლიმბი-1), 3:3 ჰოლტეტი-1 (ბასტიანსენი-1, სკროდერი-1), 3:4 ლ. ერიქსონი-2 (რ. ნილსონი-2), 4:4 ბასტიანსენი-1 (ოლიმბი-2, სპეტსი-1).

D ჯგუფი

ფინეთი-დანია 5:1

0:0, 2:0, 3:1

გოლები: 1:0 იმონენი-1 (ვალიავარა-1), 2:0 აალტონენი-1 (მ. კოივუ-1, ლეპისტო-1), 3:0 პილსტრიომი-1 (პიორალა-1, ნოკელაინენი-1), 3:1 ჰარდტი-1 (იაკობსენი-1, გრინი-1), 4:1 გრანლუნდი-1 (პუისტოლა-1, ნისკალა-1), 5:1 ტ. რუუტუ-1 (აალტონენი-1).

ჩეხეთი-ლატვია 4:2

1:1, 1:1, 2:0

გოლი: 0:1 დარძინსი-1 (რედლიჰსი-1, სოტნიესკი-1), 1:1 როლინეკი-1 (ვორაჩეკი-1, სკოულა-1), 1:2 ბუკარტსი-1 (ბერძინსი-1, მეია-1), 2:2 ელიაში-1 (ჰაელატი-1, მ. მიხალეკი-1), 3:2 ჰავლატი-1 (ელიაში-1), 4:2 ჩერვენკა-1.

ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

დათვების შურისძიება

პლეი ოფის მეოთხედფინალში კიდევ სამ სერიაში დაიწყეს გუნდებმა ურთიერთობის გარკვევა. აღმოსავლეთში ორივე ფავორიტმა წააგო, დასავლეთში „სან ხოსემ“ უმნიშვნელოვანეს მატჩში აჯობა „დეტროიტს“, „ვანკუვერმა“ და „ნეშვილმა“ კი უკვე მეორე თამაშის ჩატარება მოასწრეს

ფილადელფიას კარში შვიდი შაიბა შეუარდა

აღმოსავლეთი

ვაშინგტონი-ტამპა ბეი 2:4

1:1, 1:2, 0:1

გოლები: 0:1 ბერგენჰაიმი-4 (დაუნი-7, ლუნდინი-2), 1:1 სიომინი-4 (შტურმი-2), 2:1 ფერი-1 (ჩიმერა-1, მ. იოჰანსონი-3), 2:2 დაუნი-2 (ლეკავალიე-5, ჰურსელი-5), 2:3 სტემკოსი-3 (ბრიუერი-5, ლეკავალიე-6), 2:4 მური-2 (ა. ჰოლი-2, ჰედმანი-2).

სერია: 0-1

„ტამპა ბეიმ“ წინა სერიაში „პიტსბურგის“ დამარცხებით დაამტკიცა, რომ ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეუძლია. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდთან - „ვაშინგტონთან“ სერიის პირველ შეხვედრაში.

ბრწყინვალედ გამოიყურება ბოლო მატჩებში **შონ ბერგენჰაიმი**, რომელმაც „პიტსბურგთან“ მეშვიდე მატჩში გაიტანა გამარჯვების გოლი, ახლა კი „კეპიტალზთან“ სერიის დებიუტშივე აიღო **ნოივირტის** კარი. მასპინძლები არ დაიბნენ და მალე ინიციატივა მათ ხელში გადავიდა. რუსმა **ალექსანდრ სიომინმა** ანგარიში გაათანაბრა, მეორე პერიოდის სტარტზე კი **ერიკ ფერმა** ფავორიტი წინ გაიყვანა.

მაგრამ „ვაშინგტონის“ სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ამოქმედდნენ მატჩის საუკეთესო მოთამაშე **სტივ დაუნი** (1+1) და **სტივენ სტემკოსი** - მათ ორჯერ მოიგეს ნოივირტის კარის სიახლოვეს დუელი და ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს, რამაც თამაშის სურათი თავდაყირა დააყენა.

„ტამპა ბეი“ დაწინაურდა სერიაში და საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა, „კეპიტალზი“ კი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა - პირველივე შეხვედრის შინ წაგება კარგი ნიშანი ნამდვილად არ არის.

ფილადელფია-ბოსტონი 3:7

1:2, 1:3, 1:2

გოლები: 0:1 კრეისი-2 (ჰორტონი-1, საიდენბერგი-3), 1:1 ბრიერი-7 (ქობურნი-2, ლეინონ-2), 1:2 ჰორტონი-4 (კრეისი-1, საიდენბერგი-4), 1:3 რეკი-2 (ჰ. ბერჟერონი-6, მარშანი-5), 1:4 კრეისი-3 (მაკუეიდი-3), 1:5 მარშანი-2 (ჰ. ბერჟერონი-7, ფერენსი-4), 2:5 ვან რიმსდიკი-5 (ო'დონელი-2, ჟირუ-9), 3:5 მ. რიჩარდსი-1 (ტიმონენი-4, ჟირუ-10), 3:6 მარშანი-3 (ჰ. ბერჟერონი-8), 3:7 გ. კემპბელი-1 (კრეისი-2, პეი-1).

სერია: 0-1

„ბოსტონს“ „ფილადელფიასთან“ პირადი ანგარიში აქვს გასასწორებელი და სერიის პირველივე მატჩიდან დაიწყო შურისძიება. ალბათ, გახსოვთ ამ გუნდების შარშანდელი სერია, როცა „ბრუინზი“ 3:0 იყო დაწინაურებული სერიაში და მოახერხა ზედიზედ ოთხი მატჩის წაგება.

შეხვედრა უხვგოლიანი გამოვიდა, რაც დაცვის უხეში შეცდომებით იყო გამოწვეული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფილადელფიელებმა, გარდა ამისა, **ბრაიან ბუშემ** გაუშვა რამდენიმე არააუცილებელი შაიბა, რითაც კიდევ ერთხელ დავინახეთ „ფლაერზში“ მეკარის პრობლემა.

„დათვები“ უფრო დამაჯერებლად და ორგანიზებულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ძირითადად მეტოქის შეცდომებზე თამაშობდა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ბოსტონის“ პირველი სამეულის წევრმა **კრეისიმ**, ვინც ოთხ საგოლე (2+2) კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. სხვათა შორის, შარშანდელ სერიაში კრეისიმ ბოლო ოთხი მატჩი გამოტოვა - სწორედ ის თამაშები, რომლებშიც „ბრუინზმა“ წააგო.

დასავლეთი

სან ხოსე-დეტროიტი 2:1 (ო)

0:1, 0:0, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ლიდსტრიომი-1 (დაციუკი-5), 1:1 პაველსკი-4 (ჯ. ტორნტონი-4, დ. ბოილი-4), 2:1 ფერეირო-1 (კუტური-4, დ. ბოილი-5).

სერია: 1-0

ამ სერიაში ფავორიტი უბრალოდ არ არსებობს და პრინციპში ნებისმიერი შედეგი კანონზომიერად ჩაითვლებოდა. „სან ხოსე“ სერიას შინ გადაჭედილი ტრიბუნების ქვეშ იწყებდა და ეს ერთგვარი ზენოლა იყო „ზვიგენებზე“. „შარქსმა“ გაუძლო ამ მძიმე გამოცდას და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

არადა, **მაკლელანის** შეგირდებს თავიდანვე მდევრის როლში ყოფნამ მოუწიათ - სტუმრების კაპიტანმა **ნიკლას ლიდსტრიომმა** მეათე წუთზე შორი მანძილიდან გაუტანა **ანტი ნიემის**. „სან ხოსეს“ სიტუაციის გამოსწორებისთვის დრო თავსაყრელი ჰქონდა, მაგრამ „დეტროიტმა“ პირველი სერიოზული შეცდომა მხოლოდ მესამე პერიოდში დაუშვა. **ტოდ ბერტუცის** გაძევებამ ამერიკელი **ჯო პაველსკის** გოლი გამოინვია. ოვერტაიმს წინ აღარაფერი ედგა.

დამატებით დროში „დეტროიტს“ ისევ მოუწია რიცხობრივ უმცირესობაში თამაშმა (გუნდი დაალალატა **აბდელკადერმა**). ამჯერად სტუმრებმა მოიგერიეს შტურმი და მოდუნდნენ. შედეგად **ბენ ფერეიროს** აქტიურობა გამოეპარათ და ამ უკანასკნელმა გამარჯვება მოუტანა „ზვიგენებს“. ამ ჰოკეისტზე ცალკე უნდა ვთქვათ. ის იუბილარი იყო - მატჩის დღეს 24 წელი შეუსრულდა, პირველად ითამაშა პლეი ოფის მატჩში და პირველი მოთამაშე გახდა ისტორიაში, ვინც სადებიუტო შეხვედრის ოვერტაიმში გამარჯვების შაიბა გაიტანა. არადა, ფერეირომ მოედანზე ჯამში მხოლოდ 5 წუთი და 33 წამი დაყო.

ვანკუვერი-ნეშვილი 1:2 (2ო)

0:0, 1:0, 0:1, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 ბაროუზი-4 (კესლერი-5), 1:1 რ. სატერი-1 (ერატი-3, ჯ. უორდი-3), 1:2 ჰალიშჩუკი-2 (სპალინგი-3, რ. სატერი-4).

სერია: 1-1

ძალიან მძიმედ მიმდინარეობს ეს პლეი ოფი რეგულარული ჩემპიონატის ლიდერ „ვანკუვერისთვის“. სანამ ძმები **სედინების** წყვილი შედეგიანად თამაშობდა, „კენაქსი“ კარგ შედეგს აღწევდა. პირველ სამ მატჩში შვედურმა წყვილმა ცხრა ქულა მოიპოვა, მაგრამ ბოლო ექვს მატჩში (ორი მოგება და ოთხი წაგება, შაიბების სხვაობა - 9:19) დანიელმა ორი გოლი გაიტანა, ჰენრიკის მონაგარი კი ერთი პასი იყო. თავისი ვარსკვლავების ასეთი შედეგიანობით „ვანკუვერს“ გაუჭირდება წინსვლა. მთელი იმედი მეკარე **ლუონგზეა**, რომელმაც „ჩიკაგოსთან“ კოშმარული მატჩების შემდეგ ფორმა აკრიფა.

ეს მატჩიც შეიძლება ისეთივე ანგარიშით დასრულებულიყო, როგორც პირველი, მაგრამ კანადურ კლუბს ზუსტად 67 წამი არ ეყო 1:0-ის შესანარჩუნებლად. **რაიან სატერმა** საპასუხო გოლი გაიტანა და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა. იქ „ნეშვილის“ მთავარმა გმირმა, მეკარე **პეკა რინემ** ერთი სასწაული შაიბა მოიგერია, მეორე ოვერტაიმში **მეტ ჰალიშჩუკმა** სტუმრების კონტრშეტევა გოლით დაასრულა და „ნეშვილმა“ სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

იაგრის NHL-ში აბრუნებენ

იაგრი პიტსბურგში 1995 წელს

30 აპრილს ამოინურა ლეგენდარული ჩეხი ფორვარდის **იარომირ იაგრის** კონტრაქტი რუსულ კლუბ „ავანგარდთან“. იმის გათვალისწინებით, რომ თავდამსხმელი არ აპირებს დიდი სპორტის მიტოვებას, ყველას აინტერესებს, სად გააგრძელებს კარიერას ვეტერანი ვარსკვლავი. ბოლო დროს გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იაგრის სამსახურით NHL-ის კლუბი „მონრეალ კანადიენსია“ დაინტერესებული.

„ბევრი წინადადება მაქვს - „ავანგარდიდან“, სხვა რუსული კლუბებიდან, ჰოკეის ეროვნული ლიგიდან... ვფიქრობ, ჯერ კიდევ შემიძლია უმაღლეს დონე ზე თამაში. სავარაუდოდ, გადაწყვეტილებას მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მივიღებ“, - განაცხადა იაგრმა, რომელიც სლოვაკეთში პლანეტის პირველობაზე გამოდის. პირველ მატჩში ლატვიის ნიკაალმდეგ იარომირმა ქულა ვერ შესძინა თავის გუნდს.

ცხელი ხაზი

კალათბურთი

NBA

ოკლაჰომა-მემფისი	101:114
მაიამი-ბოსტონი	99:90

გერმანია

ბამბერგი-ბრემერჰავენი	91:80
არტლანდი-ბრაუნშვაიგი	90:61

იტალია

კანტუ-სკავოლინი	63:55
ბრინდიზი-ბენეტონი	74:75
ვანოლი-ტერამო	80:73
ბოლონია-ბიელა	83:81
კაზერტა-მილანი	74:85
მონტეგრანარო-რომა	75:66
სასარი-ვარეზე	88:83 (ო)

რუსეთი

დინამო-ენისეი	67:81
უნიქსი-კრ. კრილია	100:79

ესპანეთი

სარაგოსა-ხუვენტუდი	91:74
მენორკა-მანრესა	71:65
გრან კანარია-უნიკახა	89:84
კახა ლაგორალი-ვალიადოლ.	77:73
ფუენლაბრადა-რეალი	88:79
ბარსელონა-ხირონა	81:55

ეროკეი

NHL

სან ხოსე-დეტროიტი	2:1

მსოფლიოს ჩემპიონატი

კანადა-საფრანგეთი	9:1
რუსეთი-სლოვენია	6:4
სლოვაკეთი-ბელორუსი	3:4
შვეიცარია-ბელორუსი	4:1

ჩოგბურთი

ATP. ბელგრადი

ჯოკოვიჩი-ფ. ლოპესი	7:6, 6:2

ATP. ეშგორილი

დელ პოტრო-ვერდასკო	6:2, 6:2

ATP. მიუნხენი

ფ. მაიერი-დავიდენკო	3:6, 6:3, 1:6

ATP. მადრიდი

ვავრინკა-გარსია ლოპესი	4:6, 7:5, 4:6
დოლგოპოლოვი-ხირალდო	1:6, 5:7
მონაკო-გოლუბევი	2:6, 6:2, 6:2
ცონგა-ალმაგრო	6:1, 6:3

WTA. მადრიდი

შარაპოვა-რუსი	2:6, 6:3, 6:2
პენგი-სკიავონე	5:7, 6:7
ჰანტუხოვა-დატე	6:3, 6:3
პენეტა-პარა სანტონხა	3:6, 5:7
ვოზნიაცკი-მორიტა	6:2, 6:3
გორჯესი-კანეპი	6:7, 6:1, 6:4
რეზაი-არვიდსონი	3:6, 6:3, 4:6
ვესნინა-მირზა	6:4, 6:3
ივანოვიჩი-მატეკი	6:0, 4:6, 4:6
ბარტოლი-ჰალეპი	6:4, 6:1
ერანი-ზაკოპალოვა	7:6, 6:4
ვიკმაიერი-მაკაროვა	4:6, 4:6
იოვანოვსკი-არნი	6:4, 2:6, 6:3
პეტროვა-კინგი	1:6, 6:7
ნიკულესკუ-სხეპერსი	6:4, 3:6, 6:7
იანკოვიჩი-პოუს ტიო	6:2, 6:0

TV პროგრამა

2 მაისი. ორშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვენი-აიაქსი.
12:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ვალენსია.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ვოლფსბურგი.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ველესი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-არლე.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
23:45 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-იუვენტუსი (LIVE).
00:40 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. I მატჩი.
14:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. სტად ფრანსე-კლერმონი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I წრე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. I მატჩი.
04:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ჩიკაგო-ატლანტა. II მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ბილბაო (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

SPORT+

22:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-იუვენტუსი (LIVE).

EUROSPORT

14:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
17:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

EUROSPORT-2

16:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა (LIVE).
16:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
20:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა (LIVE).

ფიგურული სრიალი

დეტროიტული გარჩევები

მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების ბოლო კომპლექტი ცეკვებში გათამაშდა. ამ სახეობისთვის განკუთვნილი ოქროს მედალი დეტროიტის საკუთრება გახდა - როგორც ეს ბოლო წლებში ხშირად ხდებოდა. ამერიკის ამ ქალაქში მუშაობენ ცნობილი მწვრთნელები - **მარინა ზუევა** და **იგორ შპიბლანდი**, რომლებიც ხაზს უსვამენ იმას, რომ თავიანთი შეგირდებისთვის ერთნაირ მომგებიან პროგრამებს ადგენენ და საშუალებას აძლევენ მათ, უძლიერესი ყინულზე გამოავლინონ. ტრადიცია მოსკოვში გაგრძელდა.

მოკლე პროგრამის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს კანადელმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა - **ტესა ვირტუმ** და **სკოტ მოირმა**. მათი თავისუფალი ცეკვაც (ლათინური მუსიკის ჰანგებზე) ბრწყინვალე იყო, მაგრამ საბოლოოდ ოქროს მედალი **მერილ დევისისა** და **ჩარლი უაიტის** ამერიკულმა წყვილმა მოიპოვა.

მხოლოდ მსაჯებმა შეიძლება ახსნან, რატომ მიანიჭეს თანაბარ ბრძოლაში უპირატესობა ამერიკელებს. მაყურებელმა სხვაგვარად განსაჯა - ვირტუსა და მოირს პუბლიკა ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს, ჩემპიონებს კი ასეთი პატივი არ რგებიათ.

სამაგიეროდ, გასაგები იყო მსაჯების გადაწყვეტილება ბრინჯაოს მედლის მფლობელთა გამოვლენისას. ნორჩმა ამერიკელებმა - და-ძმა **შიბუტანებმა** „ტანგო“ უშეცდომოდ შეასრულეს, ევროპის ჩემპიონები - **ნატალი პეშალა** და **ფაბიან ბურზა** „ჩაპლინიანას“ ცეკვისას დაეცნენ. ამას ორი ქულის ჩამოკლება მოჰყვა, რამაც ამერიკელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა ამ დუელის ბედი, ფრანგები კი საერთოდ მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდნენ.

საბოლოო შედეგები

1. **მერილ დევისი-ჩარლი უაიტი (აშშ) - 111,51**
2. **ტესა ვირტუ-სკოტ მოირი (კან) - 107,50**
3. **მაია შიბუტანი-ალექს შიბუტანი (აშშ) - 96,91**
4. **კეილინ უივერი-ენდრიუ პოჟე (კან) - 95,25**
5. **კატერინა ბობროვა-დმიტრი სოლოვიოვი (რუს) - 94,35**
6. **ნატალი პეშალა-ფაბიან ბურზა (საფ) - 92,57**

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

მთავარი ბრძოლები ახლა იწყება

ძალმა ჩოგბურთელებმა ნაადრევად დაასრულეს ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა - ბარსელონასა და ეშტორილში შაბათს გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ამის მიზეზი ის არის, რომ შაბათსვე მადრიდში სტარტი აიღო უმაღლესი კატეგორიის ტურნირმა და გასული კვირის ლაურეატებს დრო სჭირდებოდათ ესპანეთის დედაქალაქში ჩასასვლელად.

რაც შეეხება ბარსელონასა და ეშტორილის ტურნირებს, რეიტინგის ლიდერებმა არ შეიწუხეს თავი იქ ჩასვლით და მადრიდის ტურნირზე გააკეთეს აქცენტი. საუკეთესო ოცდაათეულის წევრებიდან საქმეში მხოლოდ **ალისა კლეიბანოვა**, **ალექსანდრა დულგერუ** და **მარიან ბარტოლი** ვიხილეთ. ფრანგი ბარსელონას ტურნირის პირველი ნომერი იყო, რუსი - ეშტორილის ბადეს ედგა სათავეში. თუმცა პირველი მათგანი უკვე საწყის წრეში გამოეთიშა ბრძოლას, კლეიბანოვამ კი მეორე ეტაპის ბარიერი ვერ გაიარა.

ეშტორილში გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ გერმანელი **კრისტინა ბაროისი** და ესპანელი **ანაბელ მედინა გარიგესი**. 28 წლის პირნეელს აქამდე კარიერაში ცხრა ტიტული ჰქონდა მოგებული, მათ შორის რვა - გრუნტზე. ამ მხრივ, მისი მეტოქე ბევრით ვერაფრით დაიკვეხნიდა. ასე რომ, გადამწყვეტ მატჩებში თამაშის გამოცდილებამ დიდი როლი ითამაშა ტიტულისთვის ბრძოლაში. ბაროისმა ყველა კომპონენტში დათმო მატჩი მედინა გარიგესთან. გერმანელს წვიმის გამო წარმოქმნილმა პაუზამაც ვერ უშველა და ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმი აიღო - 1:6, 2:6.

ბარსელონას ფინალში ურთიერთობას არკვევდნენ **რობერტა ვინჩი** და **ლუსი ჰრადეცკა**. იტალიელმა ნახევარფინალში მხოლოდ მესამე სეტის ტაიბრეიკზე გამოსტაცა გამარჯვება ესპანელ **ლაურა პოუს ტიოს**. სხვათა შორის, ვინჩი კარიერაში მეოთხე ტიტულისთვის იბრძოდა, ჩეხს კი აქამდე სამიდან სამი ფინალი ჰქონდა წაგებული და ნავსი ვერც ამჯერად გატეხა.

არადა, ჰრადეცკამ შეხვედრა უკეთ დაიწყო და პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა, მაგრამ რობერტამ ინიციატივა მოიპოვა და ბარსელონაში მეორედ გაიმარჯვა - 4:6, 6:2, 6:2.

■ ■ ■

შაბათს კი, როგორც გითხარით, მადრიდში უმაღლესი კატეგორიის ტურნირი დაიწყო და პირველივე დღე უიღბლო აღმოჩნდა რუსი ჩოგბურთელებისთვის.

ბოლო პერიოდში „დიდი სლემის“ ტურნირების ორგზის ჩემპიონ **სვეტლანა კუზნეცოვასთვის** უხერხულ მეტოქედ იქცა სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვა**. რეიტინგის 28-ე ჩოგანმა ზედიზედ მესამედ დაამარცხა რუსი ჩოგბურთელი, ამჯერად იოლად ორ სეტში - 6:3, 6:2.

ასევე მოულოდნელობა იყო კიდევ ერთი რუსის - **მარია კირილენკოს** მარცხი ავსტრალიელ **იარმილა გაიდოშოვასთან**, ხოლო მესამე რუსმა **ვერა დუშევინამ** თავი შეირცხვინა **ვიქტორია აზარენკასთან** - 0:6, 0:6.

პირველი წრის მატჩი მოიგო რუსების ლიდერმა **ვერა ზვონარევამ**, თუმცა მისი სათამაშო ფორმა ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს, რადგან ვეტერან შვეიცარიელთან **პატი შნიდერთან** ტურნირის მეორე ნომერმა მეორე სეტში 1:6 წააგო.

WTA

Estoril Open

ეშტორილი (პორტუგალია). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

1/2 ფინალი

ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:1, 6:3; **კრისტინა ბაროისი (გერ)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 7:6(2), 6:4.

ფინალი

ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)-კრისტინა ბაროისი (გერ) 6:1, 6:2.

Barcelona Ladies Open

ბარსელონა (ესპანეთი). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

1/4 ფინალი

ლაურა პოუს-ტიო (ესპ)-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:7(7), 6:1, 7:5.

1/2 ფინალი

ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ)-სარა ერანი (იტა, 5) 6:1, 7:5; **რობერტა ვინჩი (იტა, 6)**-ლაურა პოუს-ტიო (ესპ) 4:6, 6:4, 7:6(4).

ფინალი

რობერტა ვინჩი (იტა, 6)-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 4:6, 6:2, 6:2.

Mutua Madrid Open

მადრიდი (ესპანეთი). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 4 500 000 ევრო

I წრე

ვერა ზვონარევა (რუს, 2)-პატი შნიდერი (შვეიც) 6:2, 2:6, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:0, 6:0; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 5)**-ხისელა დულკო (არგ) 3:6, 6:2, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 10)**-იაროსლავა შვედოვა (ლატ) 2:6, 6:1, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 12) 6:3, 6:2; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 13)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:3, 6:1; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 16)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ) 6:4, 6:1; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:0, 6:1; **აგნეს შავაი (უნგ)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 7:6(5), 4:6, 6:1; **იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა)**-მარია კირილენკო (რუს) 7:5, 3:6, 7:6(4).

ჯოკოვიჩი ისევ იგებს

ძალებისგან განსხვავებით, კაცები შაბათს მხოლოდ ნახევარფინალში არკვევდნენ ურთიერთობას. ეშტორილში მონაწილეები უამინდობამ გააწამა. მაგალითად, **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და **პაბლო კუევასის** ნახევარფინალი წვიმის გამო რამდენჯერმე შეწყდა, თუმცა ამ პაუზებს მატჩის მსვლელობაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. არგენტინელმა ჩოგბურთელმა პირველი სეტი ძალიან დამაჯერებლად მოიგო. მეორე პარტიაში ურუგვაელმა, რომელსაც მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია, მოულოდნელად რვა ბრეიკ-პოინტი მოიგერია და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ იქ ბოლო რვა გათამაშებიდან ექვსი წააგო და ფინალში დელ პოტრო გაუშვა.

მეორე ფინალისტი გახდა **ფერნანდო ვერდასკო**, რომელიც, როგორც ჩანს, ნელ-ნელა გამოდის კრიზისიდან. ესპანელს მხოლოდ ერთი სეტის ჩატარებამ მოუწია კანადელი **მილოშ რაონიჩის** ნინაღმდეგ. პირველი პარტიის წაგების შემდეგ ჩრდილოამერიკელმა ტრავმის გამო უარი თქვა შეხვედრის გაგრძელებაზე.

■ ■ ■

ბელგრადში დიდ ინტერესს იწვევდა სერბული ნახევარფინალი **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და **იანკო ტიპსარევიჩს** შორის, მაგრამ ეს უკანასკნელი კორტზე საერთოდ ვერ გავიდა, რისი მიზეზიც მარცხენა ფეხის ტრავმა იყო. ასე მოიგო „ჯოკერმა“ მიმდინარე სეზონში ზედიზედ 29-ე (!) შეხვედრა.

მეორე ნახევარფინალში **ფელისიანო ლოპესმა ფილიპო ვოლანდრი** დაამარცხა და ახლა ესპანელი ფინალში ჯოკოვიჩს დაუპირისპირდება. ამ შეხვედრაში იტალიელმა 11 ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ ორი გამოიყენა, ამასთან, ვერ მოიგერია ოთხიდან ოთხი ბრეიკ-პოინტი. ასეთი თამაშით ვოლანდრის წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

■ ■ ■

მიუნხენში ფავორიტის სტატუსს ადასტურებს მასპინძელი **ფლორიან მაიერი**. გერმანულ დერბიში მან **ფილიპ პეტცშნერი** დაამარცხა. საინტერესოა, რომ აქამდე მაიერმა სამჯერ ითამაშა მიუნხენის ტურნირში და არც ერთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული. მაგრამ წელს მას მასპინძელ ჩოგბურთელებს შორის ყველაზე მაღალი განთესვის ნომერი ჰქონდა და ამან, როგორც ჩანს, მის განწყობაზე დადებითად იმოქმედა.

ეს ფლორიანის კარიერაში მეოთხე ფინალი იქნება და კიდევ ერთი შანსი, როგორმე გატეხოს ნავსი და პირველი ტიტული მოიპოვოს პროფესიულ ტურში. ამისთვის მას ფინალში **ნიკოლაი დავიდენკოს** დამარცხება მოუწევს. რუსი **ფერნანდო ვერდასკოს** მსგავსად გამოდის ღრმა კრიზისიდან. დიდხნიანი შესვენების შემდეგ დავიდენკომ ATP-ის ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

რადეკ შტეპანეკთან ნახევარფინალში ბრძოლა არ შედგა. პირველი სეტის მოგების შემდეგ დავიდენკომ მეორეში ზედიზედ ოთხი სანყისი გეიმი აიღო, რასაც ჩეხმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარით უპასუხა. ამის მიზეზი მარცხენა ფეხის ტრავმა იყო. თუმცა შეხვედრა შეიძლება სულ სხვა შედეგით დასრულებულიყო - პირველი სეტის მეორე გეიმში რუსმა ფეხი გადაიბრუნა, მაგრამ მცირე პაუზის შემდეგ შეძლო თამაშის გაგრძელება.

ATP

BMW Open

მიუნხენი (გერმანია). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 398 500 ევრო

1/4 ფინალი

ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 7)-მარინ ჩილიჩი (ხორ, 3) 7:5, 6:3; **ფლორიან მაიერი (გერ, 5)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 7:6(4), 3:6, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 8) 6:4, 6:0; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 7:6(3), 7:6(6).

1/2 ფინალი

ფლორიან მაიერი (გერ, 5)-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 6:3, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 7)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:3, 4:0 შტეპანეკის უარი.

Serbia Open

ბელგრადი (სერბეთი). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 373 200 ევრო

1/4 ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ) 6:3, 6:2; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:4, 6:2; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 7)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 6:3, 3:6, 6:4; **ფილიპო ვოლანდრი (იტა)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:2, 6:4.

1/2 ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 7) ტიპსარევიჩის უარი; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 7:6(3), 6:2.

Estoril Open

ეშტორილი (პორტუგალია). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

1/4 ფინალი

ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 8)-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 1) 6:4, 7:5; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 2)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 7) 6:7(2), 6:2, 6:3; **პაბლო კუევასი (ურუ)**-ტომას ბელუჩი (ბრა, 6) 6:4, 6:2; **მილოშ რაონიჩი (კან, 5)**-ჟილ სიმონი (საფ, 4) 7:6(4), 4:6, 6:3.

1/2 ფინალი

ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 2)-მილოშ რაონიჩი (კან, 5) 6:4 რაონიჩის უარი; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 8)**-პაბლო კუევასი (ურუ) 6:2, 7:6(6).

ქველმოქმედი ვარსკვლავები

მადრიდის ტურნირის წინ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** და როლან გაროსის 2008 წლის ჩემპიონმა **ანა ივანოვიჩმა** ესპანური პუბლიკა საჩვენებელი მატჩით გაახარეს. ეს იყო მსოფლიოს ყოფილი მეათე ჩოგანის, ესპანელი **ფელიქს მანტიიას** მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო აქცია. შემოსული თანხა კანის კიბოთი დაავადებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხა.

ამ აქციაში ასევე მონაწილეობდნენ მამაკაცების პირველი ნომერი **რაფაელ ნადალი** და მისი თანამემამულე **კარლოს მოია**. მათ ერთმანეთში სიმბოლური ტაიბრეიკი ითამაშეს. მათ გარდა, კორტზე გავიდნენ მანტიია, **ალექს კორეჩა, დავიდ ფერერი** და **ნიკოლას ალმაგრო**.

ავტოსპორტი

ძმა უფრო სუსტია

არცთუ ისე წარმატებულად დაიწყო „მაკლარენის“ ლიდერის **ლუის ჰემილტონის** ძმის - 19 წლის **ნიკოლას ჰემილტონის** კარიერა. მარტში მომხდარი სეროიზული ავარიის მიუხედავად, ახალგაზრდა პილოტმა სარბოლო ლიცენზია მოიპოვა და აპრილის დასაწყისიდან Renault Clio Cup-ის სერიაში ჩაება. უმცროსი ჰემილტონი საჯინიბო Total Control Team-ის ღირსებას იცავს.

ამ უქმეებზე მორიგი ეტაპი ბრიტანეთში „ტრუქტონის“ ტრასაზე გაიმართა და პირველივე პრაქტიკაზე ნიკოლასი სერიოზულ ავარიაში მოხვდა - ერთ-ერთ მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და ტრასის მიღმა გადავარდა. საბედნიეროდ, პილოტი არ დაზარალებულა, მაგრამ მანქანა ისე დაიმტვრა, რომ ჰემილტონმა მომდევნო დღეს კვალიფიკაციაში მონაწილეობა ვერ შეძლო.

■ ■ ■

იტალიური პრესის ინფორმაციით, Santa Corona-ის ჰოსპიტალმა 100 ათასი ევროს ოდენობის ანგარიში გამოუწერა **რობერტ კუბიცას** იმ მკურნალობის კურსისთვის, რომელიც თებერვლის ავარიის შემდეგ ამ კლინიკაში მიმდინარეობდა. პოლონელი პილოტი საავადმყოფოში 76 დღის განმავლობაში იმყოფებოდა და ოთხი ურთულესი ოპერაცია გადაიტანა. მის ყველა დანახარჯს სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს.

ჟურნალისტებისთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ კუბიცამ ვატიკანისგან მიწვევა მიიღო **იოანე პავლე II**-ს წმინდანად კურთხევის ცერემონიაზე დასასწრებად, მაგრამ პილოტის მენეჯერმა განაცხადა, რომ რობერტი სტუმრების სიაში არ იქნება, რადგან რეაბილიტაციის შემდეგი კურსის წინ „ლოსტუს-რენოს“ პილოტს სრული სიმშვიდე ესაჭიროება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰემილტონის დამტვრეული მანქანა